ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

№115 (12 490) 17 მაისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი






## ინტერი მაფიურ სკანდალში

»» 5

## დღე უკანასკნელი, როგორც ფინალი

მსოფლიო ფეხბურთი »» 4-7

# ნავსი ახალი თასით გატყდა



საქართველოს თასის ფინალი »» 8-9

## მეხუთედ, ლიხს იქით





# ბრანკო თავს იკავებს?

## საქართველოს ნაკრებს კიოლნი და დორტმუნდი ეცილებიან

## ფინკე მზადაა, ნაკრები ჩაიბაროს

სამწვრთნელო საკითხი »» 2



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

სამწვრთნელო საკითხი

# ივანკოვიჩი და ახალკაცი დღეს კიდევ დაილაპარაკებენ

## ფინკეც გავიხსენეთ... ნაკრებს სეგრტი მოამზადებს?

ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი **ბრანკო ივანკოვიჩი** და ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა**, გუშინ, ლუბლიანაში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, თუმცა ვითარება შეიცვალა. უგულავა, რომელიც მანჩესტერში იყო გენერალური მდივნების შეხვედრაზე, სლოვენიაში აღარ წავიდა და თბილისში დაბრუნდა. რა მოხდა და რატომ შეიცვალა გეგმები?

ადრეც ვწერდით, ბრანკო ივანკოვიჩის გადაბირებით გერმანული კლუბები რომ არიან დაინტერესებულნი. ეს ცნობა **პეტარ სეგრტმაც** დაგვიდასტურა და თან დასძინა - ბრანკოს ფულსა და პრესტიჟს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. ნაკრების მწვრთნელობა მისთვის პრესტიჟია, გერმანელები კი საკმაო ფულს სთავაზობენო.

ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომ ივანკოვიჩს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა უწინდელივით აღარ აინტერესებს. თუმცა ის კი ფაქტია, რომ გერმანელთა მაცდუნებელმა შეთავაზებამ თავისი კვალი დატოვა და ჩვენთვის ბრანკო ივანკოვიჩის ვარიანტი საეჭვო გახადა. ხორვატ მწვრთნელს ინტერვიუზე 14 მაისს ნაშუადღევს დავუკავშირდით. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გეგმები შეცვლილი და ივანკოვიჩმა გვითხრა კიდეც, ლუბლიანაში პარასკევს, 16 მაისს ფედერაციის გენერალურ მდივანს შევხვდებიო. თუმცა იმავე საღამოს ვითარება შეიცვალა. უკვე 2 კვირაზე მეტია, რაც ბრანკო ივანკოვიჩს „დორტმუნდი" ეკურკურება. აქამდე თუ ნიადაგს უსინჯავდნენ, დორტმუნდელები ახლა მეტად გააქტიურდნენ. მათზე უფრო აქტიური კი „კიოლნია". **კრისტოფ დაუმი** მიდის და „კიოლნის" ხელმძღვანელებიც მის შემცვლელად სწორედ ივანკოვიჩს მოიაზრებენ. ხორვატ მწვრთნელს კიდევ ერთი გერმანული კლუბი დაუკავშირდა, მაგრამ ჯერჯერობით იმდენად არ აქტიურობს.

გუშინ, ბრანკო ივანკოვიჩსა და **ნოდარ ახალკაცს** შორის კიდევ სატელეფონო საუბარი შედგა. თუმცა მხარეები მხოლოდ ერთზე შეთანხმდნენ - დღეს კიდევ ერთი სატელეფონო საუბარი შედგება.

ბრძენი კაცის ნათქვამია - უკიდურესობა გათვალე წაგებაში რომ არ დარჩეო. სწორედ ამიტომ იყო დანიის ნაკრების მწვრთნელს **მორტენ ოლსენს** შეთავაზება რომ გაუგზავნეს. ფედერაციის თავკაცები ამ ფაქტს არ ადასტურებენ, რადგან ოლსენს მოქმედი კონტრაქტი აქვს დანიის ფეხბურთის ფედერაციასთან და ეს არაკოლეგიალური იქნებოდა. ოლსენი ქართული ვარიანტის წინააღმდეგი სულაც არაა, მაგრამ დანიიდან მაისის თვეში მისი წამოსვლა თითქმის გამორიცხულია.

ქართულმა მხარემ კიდევ ერთი ვარიანტი გაიხსენა - **ფოლკერ ფინკე**. „ფრაიბურგის" ყოფილმა თავკაცმა ხომ ჩვენი ნაკრების არაერთი ფეხბრთელი დააფრთიანა - **ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი** და კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს. ფინკეს ჩვენი ნაკრები მწვრთნელობა კი უნდა, მაგრამ ფედერაცია ჯერ ბრანკო ივანკოვიჩის პასუხს ელის.

ერთი სიტყვით, ვითარება ჯერჯერობით ბუნდოვანია - ივანკოვიჩი დროს წელავს, ოლსენი დანიიდან მაისში წამოსვლას გამორიცხავს, ფრანგმა **ჟაკ სანტინიმ** თავის დროზე მოსაფიქრებლად 14 მაისამდე ითხოვა დრო, მაგრამ მისგან პასუხი დღემდე არაა მიღებული.

ფედერაციას ნაკრების თავკაცად მაღალკვალიფიციური მწვრთნელი სჭირდება. მაისის ბოლოა, ბევრ კლუბში ჩნდება თავისუფალი ვაკანსია და მწვრთნელებიც არ ჩქარობენ გადაწყვეტილებას მიღებას. ფედერაციასაც არ სურს სიჩქარის გამო არასწორი არჩევანი გააკეთოს. შესაბამიად, არაა გამორიცხული 27 მაისს ესტონეთსა და 31 მაისს პორტუგალიაში ჩვენი ნაკრები პეტარ სეგრტმა გაიყვანოს.

რაც შეეხება ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას, ფედერაციამ გაფართოებული სია შეადგინა, რომელშიც თითქმის 40 ფეხბურთელია. მათ შორის ლეგიონერებიც, რომელთა კლუბებსაც უკვე დაუგზავნეს შეტყობინებები. ჩვენი ინფორმაციით, სიაში ცნობილ სახეთა გარდა, ერთი ახალი ფეხბურთელიცაა, **ვახტანგ ფარცხავა**, რომელიც ფრანგულ „ლე მანში" თამაშობს. გაფართოებულ შემადგენლობაში მყოფი ფეხბურთელებიდან ფედერაციამ ყველას მოუგვარა ესტონეთისა და პორტუგალიის ვიზა. მათგან კი საბოლოო კონტინგენტი შეირჩევა, რომელიც ამ მატჩებისთვის მოემზადება.

**დავით ცაბაძე**




ფოლკერ ფინკე

უცხოურ პრესაში. ინტერვიუ მიხეილ აშვეთიასთან

# თეთრაძესთან სიტყვას ვერ გავტეხდი




მიხეილ აშვეთია

**მახაჩყალის „ანჟის" 30 წლის თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია რუს გულშემატკივრებს ვლადიკავკაზის „ალანიასა" და მოსკოვის „ლოკომოტივში" ჩატარებული ორი მშვენიერი სეზონით დაამახსოვრა და შეაყვარა თავი. ამ ზამთარს, აშვეთია „ამკარსა" და ნალჩიკის „სპარტაკში" ჩარიცხვას ელოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და ახლა კვლავ „ანჟიშია". მას ყოველკვირეული „ფუტბოლი" ესაუბრა...**

- ომარ თეთრაძესთან „ალანიადან" ვმეგობრობ. ასევე არიან ჩვენი ოჯახის წევრებიც. ბუნებრიავია, როცა მან პირველ ლიგაში თამაში მთხოვა, დავთანხმდი.

**- თქვენი ურთიერთობის მიუხედავად, პრემიერლიგაში დარჩენის იმედი გქონდათ...**

- თუ რატომ ვერ მოხერხდა „ამკარში" გადასვლა, ამის თქმა არ შემიძლია. ალბათ, გუნდი უკვე დაკომპლექტებული იყო. ნალჩიკის „სპარტაკმა" კი თავად თქვა უარი. იქ სურდათ, რომ ხანგრძლივი ვადით დავრჩენილიყავი, მაგრამ ომარს პირობა მივეცი, რომ მასთან ვითამაშებდი, „სპარტაკმა" კი ჩემთან სამთვიანი კონტრაქტი არ ისურვა. იცით, პატარა ბიჭი აღარ ვარ, აქეთიქით რომ ვირბინო. და, რაც მთავარია, კიდევ გეუბნებით, თეთრაძეს სიტყვა მივეცი, ქართველებს კი სიტყვის გატეხვა არ გვჩვევია.

**- არ მსმენია, რომ ვინმეს თეთრაძეზე ცუდი ეთქვას. თქვენ გსმენიათ?**

- ის ცუდი ადამიანიც რომ იყოს, ამას არ ვიტყვი. ჩვენ მეგობრები ვართ. თუმცა, რაკი მხოლოდ კარგად ახასიათებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა კარგი ადამიანია. მას, როგორც მწვრთნელსაც, დიდი მომავალი აქვს. როგორც ვხედავ, ომარს საკუთარი საქმე უყვარს და მჯერა, მასზე მალე ალაპარაკდებიან.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ თეთრაძეს მწვრთნელისთვის შეუფერებლად რბილი ხასიათი აქვს?**

- მიუხედავად იმისა, რომ მეორე წელია მწვრთნელად მუშაობს, არც ისეთი რბილია, როგორც ადრე იყო. წაგებული თამაშების შემდეგ საკმაოდ მკაცრია. შეიძლება, ხმასაც აუწიოს (იცინის).

**- თეთრაძის მუშაობაში რა დადებით მხარეებს ხედავთ?**

- ძნელი სათქმელია... გამიგია, რომ ის მუშაობის სტილით გაჯიევს ჰგავს. მე კი გაჯიევთან არასდროს მიმუშავია და არ ვიცი, რა თვისებებით გამოირჩეოდა. თუმცა სხვებიც აღნიშნავენ. ეს არც მიკვირს, რადგან თეთრაძე მასთან დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა. ვიცი, რომ ყველა თამაშის შემდეგ ერთმანეთს ეხმიანებიან.

**- არის რაიმე საკითხი, რაშიც თეთრაძეს დახვეწა სჭირდება?**

- არ ვიცი, რა უნდა ისწავლოს. რაც არ უნდა იყოს, ომარმა ითამაშა იტალიაში, იმუშავა თვით ფაბიო კაპელოსთან და მისგან ბევრი რამ ისწავლა. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარია, რომ მწვრთნელი იყოს მშვიდი და პანიკაში არ ვარდებოდეს. ამ მხრივ, თეთრაძეს ყველაფერი წესრიგში აქვს და ამიტომაც ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო დაიხვეწება.

**- გუნდის შიგნით არსებული კარგი ურთიერთობები ძალიანაც სასარგებლოა, მაგრამ მნიშვნელოვანია კლუბის მიზნებიც. „ანჟის" პრემიერლიგაში გადასვლის ამოცანა დაუსახეს მიზნად?**

- ეს კითხვა კლუბის ხელმძღვანელობას უნდა დაუსვათ. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს პრემიერლიგაში თამაში გვსურს, მაგრამ მივაღწევთ თუ არა მიზანს, ჩვენგანზეა დამოკიდებული, კლუბის მესვეურებზე, მწვრთნელზეც და ფეხბურთელებზეც. თუ კარგად ვითამაშებთ, დაღესტნის ხელისუფლება აუცილებლად დაგვეხმარება. ყველაფერი პირველი წრის შემდეგ გაირკვევა, მაგრამ პრემიერლიგაში ადგილზე უარს არავინ იტყვის. თუკი გროზნოს იქ ჰყავს გუნდი, მახაჩყალას რა, აწყენდა?

**- რითი ახსნით „ანჟის" არასტაბილურობას? ჩემპიონატის სტარტზე „ყუბანთან " 0:4 წააგეთ, „კამასთან" კი 2:0 იმარჯვეთ...**

- არ ვიცი, რა დაგვემართა „ყუბანთან"... ფეხბურთელიც გაგვიძევეს... თუ წაგებაა, უკეთესია 0:4 გასვლაზე წავაგოთ, ვიდრე შინ, მაგრამ ჩვენ პანიკაში არ ჩავვარდნილვართ. შემდეგ შეხვედრაში გავედით მოედანზე დ იოლად მოვიგეთ. საუკეთესო ფორმისთვის ჯერ არ მიგვიღწევია და, ვფიქრობ, რამდენიმე მატჩის შემდეგ უფრო თავდაჯერებულები ვიქნებით.

**- გასულ წელს გერმანიაში, „კარლ ცაისში" თამაშობდით, რომელიც თავის დროზე თასების თასის ფინალში თბილისის „დინამოსთან" დამარცხდა. იქ ათ შეხვედრაში 5 გოლი გაიტანეთ. ნუთუ დარჩენას არ გთავაზობდნენ?**

- რამდენიმე საინტერესო წინადადება მქონდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, რუსეთში დაბრუნება მსურდა. ძალიან რთულია გერმანიასთან შეგუება. სულ სხვა ცხოვრებაა, სხვა ადამიანები არიან. ენის პრობლემაც მქონდა... აქ კი თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.

**- თქვენ ძალიან პატარა იქნებოდით, როცა „დინამომ" თასების თასი აიღო. თუმცა გაგონილი გექნებათ, როგორ აღნიშნეს გამარჯვება...**

- მშობლები მიყვებოდნენ, რომ საქართველოში დიდი ზეიმი ყოფილა, ყველაზე დიდი ჩვენი ფეხბურთის არსებობის განმავლობაში. სამწუხაროდ, მას მერე ჩვენს კლუბებს აღარაფერი მოუგიათ. დღემდე იმ გამარჯვებას იხსენებენ... თუკი 13 მაისს სუფრაზე მოვხვდებით, ფინალის მონაწილე ფეხბურთელებს აუცილებლად ვადღეგრძელებთ.

**- რომელი კლუბია თქვენთვის უფრო ძვირფასი: „ლოკომოტივი", ქუთაისის „ტორპედო" თუ „ალანია"?**

- უფრო „ალანია" და „ლოკომოტივი". ვლადიკავკაზში ხუთი სეზონი გავატარე, მოსკოვში კი რაღაც ტიტულებიც მოვიგე. იქ დღემდე მყავს მეგობრები, მაგრამ ტრავმამ სერიოზულად შემიშალა ხელი. ფორმის აღსადგენად დრო მჭირდებოდა, ისეთ ამბიციურ კლუბში კი, როგორიც „ლოკომოტივია", დიდხანს არავინ დაგელოდება.

მოამზადა

**მერაბ მამულაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფის წინ

# ვისთვის იქნება რუსთავი ავი?

## მაღაროელის გამოცდილება თუ გაგრას თინეიჯერული ჟინი

ხვალ, რუსთავში პირველი ლიგის დასვლეთი და აღმოსავლეთ ზონების გამარჯვებულები უმაღლესი ლიგის საგზურისთვის დაეჭიდებიან ერთმანეთს - ჭიათურის „მაღაროელი“ „გაგრას“ წინააღმდეგ.

რას ფიქრობენ გუნდების თავკაცები ამ მატჩზე და ერთმანეთზე - ჭიათურელთა და გაგრელთა მთავარ მწვრთნელებს, შესაბამისად, ბადრი ბრეგვაძესა და გია ჭიაბრიშვილს მეტწილად ამაზე ვესაუბრეთ.

*ბადრი ბრეგვაძე:*

- თამაშის წინა დღეს თბილისში ჩამოვალთ და სასტუმროში გავჩერდებით. რუსთავის სტადიონზე ვარჯიშს ვერ ვახერხებთ. რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს, მაგრამ ეგ არაფერი...

**- „გაგრა“ ახალგაზრდული გუნდია, „მაღაროელზე“ რას ეტყოდით მათ, ვინც თქვენს გუნდს არ იცნობს?**

- ჩვენთან ყველა ასკის ფეხბურთელია - ძალიან გამოცდილები, საშუალო ასაკისა და ახალგაზრდები. რამდენიმე მათგანს უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი უთამაშია - გიორგი ილურიძე, დავით სევასტოპულო, პაატა გამცემლიძე, გიორგი შუკაკიძე, დავით მამარდაშვილი...

**- შეიძლება ითქვას, რადგან მეტოქეს გამოცდილებით აღემატებით, გამარჯვების უკეთესი შანსიც გაქვთ...**

- ასე ვერ ვიტყოდი, გამოცდილება ერთია, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორებიც - „გაგრა“ ძალიან მოძრავი გუნდია, რომლის ფეხბურთელები საკმაოდ ბევრს დარბიან. რაც მთავარია, გაგრელები სწორ ფეხბურთს თამაშობენ.

**- „მაღაროელს“ ჭიათურელი გულშემატკივრები მოჰყვებიან რუსთავში?**

- გულშემატკივართა ნაწილი რუსთავში ჩამოსვლას აპირებს. კიდევ ის ჭიათურელები გვიქომაგებენ, საცხოვრებლად რუსთავში რომ გადავიდნენ.

**- დავუშვათ, „მაღაროელმა“ უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, შეძლებთ უმაღლესი ლიგისთვის აუცილებელი ლიცენზიის მოპოვებას?**

- ამისთვის მუშაობას უკვე შევუდექით, თუმცა პრობლემები ისევ გადაუჭრელია - ჩვენი სტადიონის ტრიბუნა და მოედანი ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია...

**- ვინ პატრონობს „მაღაროელს“?**

- ჭიათურის გამგებელი მამუკა გოგატიშვილი და „ჯორჯია მარგანეცის“ პიარმენეჯერი გურჯიძე. ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, საპარლამენტო არჩევნები როგორ ჩაივლის, ვინ დაიკავებს თანამდებობებს.

**- რუსთავში როგორ ფეხბურთს უნდა ველოდოთ „მაღაროელისგან“?**

- საკუთარი ხელწერა გვაქვს, თუმცა ერთი ტაქტიკით როდი ვთამაშობთ - ხან გუნდურ ფეხბურთს ვთამაშობთ, ხან უფრო ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალიზმზე აგებულს, ხან კონტრშეტევებით გავდივართ ფონს - გააჩნია, როგორი თამაში წავა. ალბათ, იცით, რომ ჩვენი ზონის პირველობის უახლოეს მდევარს 20 ქულით გავუსწარით. ასეთი ფორა რომ შევიქმენით, ბოლო ტურებში ჩვენს თამაშებზე გულშემატკივართა რაოდენობამ იკლო. განსაკუთრებით ბევრი ქომაგი ჩვენს სათასო მატჩებზე მოვიდა.

**- როგორ ფიქრობთ, „გაგრა“ კარგად გყავთ შესწავლილი?**

- „გაგრას“ ერთი-ორი თამაში ვნახე, დანარჩენი მატჩების ვიდეოფირებს გავეცანი.



ბადრი ბრეგვაძე

*გია ჭიაბრიშვილი:*

- ჩვენი დასახული მიზანი სწორედ უმაღლეს ლიგაში გადასვლა იყო და ნაწილობრივ ეს მიზანი უკვე შესრულებულია. ამაღლებულ განწყობაზე ვართ და სულმოუთქმელად ველით „მაღაროელთან“ მატჩს. მეტოქე ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ, იმედია, ჩვენსას მივაღწევთ.

**- გამოცდილება „მაღაროელის“ მხარეზეა...**

- მაგიტომაც გითხარით, რომ მეტოქეს კარგი ფეხბურთელები ჰყავს, უმაღლეს ლიგაში ნათამაშები ფეხბურთელები „მაღაროელისთვის“ დიდი პლუსია, თუმცა ჩვენც გვაქვს უპირატესობა - ახალგაზრდული ჟინით უნდა გავიმარჯვოთ. ოპტიმიზმის საბაბს ჩვენი ფეხბურთელების შემართების გარდა მათი კლასიც მაძლევს.

**- არის კი მზად „გაგრა“ უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ?**

- თუ უმაღლეს ლიგაში გადავალთ, „გაგრა“ ისევ ნიჭიერი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდი იქნება, რომელიც, რა თქმა უნდა, მაღალი მიზნებისთვის ჯერ ვერ იბრძოლებს. თუ უმაღლეს ლიგაში გადავალთ, კადრების პრობლემა არ გვექნება. ერთ-ორ წელიწადში „გაგრას“ სულ სხვა მიზნები ექნება.

**- კლუბის ინფრასტრუქტურაზე რას იტყოდით?**

- „გაგრა“ უკვე აკმაყოფილებს ლიცენზირების მოთხოვნებს, რასაც რამდენიმე თვის წინათ მივაღწიეთ. რაც შეეხება სტადიონს, თუ უმაღლესში გადავალთ, „გაგრა“ თბილისში იქირავებს რომელიმე სტადიონს საშინაო მატჩებისთვის.

**- „გაგრას“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი როგორია?**

- თუ ჩვენ გამოცდილ მეკარე ზურაბ ბათიაშვილს არ ჩავთვლით, ყველაზე უმცროსი ფეხბურთელი 1991 წელსაა დაბადებული, ყველაზე უფროსი კი - 1988 წელს. ძირითადად 1989-90 წლებში დაბადებული ფეხბურთელები გვყავს.

**- აქამდე „გაგრა“ მუხრანში ატარებდა საშინაო მატჩებს. როგორი იყო მაყურებელთა დასწრება?**

- გულშემატკივართა ნაკლებობას განვიცდით, მატჩებზე მეტწილად ფეხბურთელთა ახლობლები დადიან, მუხრანელთაგან ცოტა თუ მოდის ჩვენს თამაშებზე.

**- როგორ ფეხბურთს ითამაშებს „გაგრა“ „მაღაროელთან“?**

- ვითამაშებთ იმას, რასაც მთელი სეზონი ვთამაშობდით.

**დავით თავართქილაძე**

პრეზენტაცია

# გასროლა ათიანში

## გამოცემები და ძმები გაერთიანდნენ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოში ათასგვარი ტრანსფერები, სპორტული მოვლენები შუქდება და სამართლიანადაც – ეს ხალხს აინტერესებს. მედიაში მომხდარ ცვლილებებს კი ნაკლები ყურადღება ექცევა. არადა, გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - საფეხბურთო ჟურნალი "ათიანი" მედიაჰოლდინგ "კვირის პალიტრას" (რომლის ეგიდითაც 22 გამოცემა იბეჭდება) შეუამხანაგდა.

ძმების, **ლევან** და **ნიკა ყიფიანების** დაფუძნებული "ათიანი" ასევე ძმების, **ირაკლი და გოგა თევდორაშვილების** მედიასახლს გაუერთიანდა, მოვლენა კი "სპორტ კაფეში" აღინიშნა.

*"პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. ჩვენი გაერთიანება ამან განაპირობა. "კვირის პალიტრა" წარმატებული მედიასახლია და, იმედია, ამ ნაბიჯით გულშემატკივრების მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ. ალბათ, სიმბოლურია, რომ ორივე მხარეს ძმები ვდგავართ. ასე ქართულ საქმეს უკეთესად გავაკეთებთ."* – ბრძანა ლევან ყიფიანმა.

*"ეს დღე ისეთივე ბრწყინვალეა, როგორც "ათიანის" აღდგენის. მადლობა ძმებ თევდორაშვილებს, ჩვენი თანამშრომლობა შესაძლებელი რომ გახდა. ჩვენ "კვირის პალიტრას" კარგი გადაცემა მივაწოდეთ და ახლა გოლი ერთად უნდა გავიტანოთ."* - გაერთიანება ხატოვნად შეაფასა **ნიკა ყიფიანმა.**

"ათიანის" რედაქტორი **გია გორგოძე**: *"ეს ჟურნალი ჩემთვის შვილივითაა. შვილის გათხოვების დროს, მამას სურს, რომ სიძე წესიერი და ყველანაირად კარგი იყოს. ასევე ვიყავი მეც – მინდოდა, საუკეთესო პარტნიორი შემერჩია და ვფიქრობ, ასეც მოხდა. იმიტომ, რომ "კვირის პალიტრა" გამორჩეულად წესიერი გამოცემაა, რომელიც სხვის დაკრულზე არასდროს თამაშობდა და უბრწყინვალესი ქალბატონის, ლალი გუნთაიშვილის დაფუძნებულია. მიხარია, რომ "ათიანი" მედიასახლ "კვირის პალიტრის" ლამაზის ოჯახის წევრი გახდა. გაერთიანების შედეგად, ჟურნალის გვერდები და ტირაჟი მოიმატებს. არ შეიცვლება ლოგო, სახელწოდება, მაგრამ დასახელებაში "კვირის პალიტრის" სახელი გამოჩნდება."*

ბოლოს მხარეებმა საზეიმო ხელმოწერით ყველაფერი ოფიციალურად დაამტკიცეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მედიატრანსფერი, რომელიც მნიშვნელობით ორი ორგანიზაციის გარიგებას სცილდებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ასათიანის 90 წუთი და დვალის მე-13

რუსეთში 1 ივლისამდე შესვენება გამოცხადდა, გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სტუმრად 2:2 ითამაშა „ხიმკისთან“. **მალხაზ ასათიანი** დაუბრუნდა სასტარტო შემადგენლობას. მან 90 წუთი გაატარა მოედანზე. 42-ე წუთისთვის ასათიანის გუნდი 2:0-ს იგებდა, მაგრამ შემდეგ ორი გოლი გაუშვა და ორი ქულა დაკარგა, გუნდებმა მატჩი 10-10 კაცით დაასრულეს. **დავით მუჯირს** არ უთამაშია. რუსული პფლ-ის ოფიციალურმა საიტმა ასათიანს 5 ქულა დაუწერა. „ლოკომოტივი“ 19 ქულით მეოთხე ადგილზეა, ჩემპიონატს კი 24 ქულით **დავით კვირკველიას** და **ლაშა სალუქვაძის** „რუბინი“ ლიდერობს.

ავსტრიის ერსტე ლიგის ბოლო ტურში ლუსტენაუს „აუსტრიამ“ 3:1 დაამარცხა „ბად ოზი“ და ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა. **მირზა ბჟალავამ** სეზონის ბოლო მატჩში სრულად ითამაშა. მესამე საგოლე პასი მირზას ანგარიშზეა. ქართველმა ნახევარმცველმა სეზონში 15 მატჩი ითამაშა და სამი გაფრთხილება მიღო.

მოლდოვის ჩემპიონატის ბოლო ტურში კიდევ ერთი, მე-13 გოლი გაიტანა **ჯაბა დვალმა**, რომლის „დაჩიამ“ 2:0 დაამარცხა ბენდერის „დინამო“. „დაჩიამ“ ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მწვრთნელი

# აზერბაიჯანელებმა ცხადაძის მონაწილეობა დაადასტურეს

საქართველოს ნაკრების პირველი კაპიტანი **კახა ცხადაძე** აზერბაიჯანის ნაკრებში **ბერტი ფოგთსის** დანიშვნას რომ შუამავლობდა, ამაზე „ლელოს“ თავად ესაუბრა. და აი, ეს ინფორმაცია უკვე გერმანულმა და აზერბაიჯანულმა წყაროებმაც დაადასტურეს. სააგენტო „აპა-სპორტი“ წერს:

*„ჩვენი გერმანელი კოლეგები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანში ბერტი ფოგთსის ჩასვლაში შუამავლის როლი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერნარდ ლიპერტმა და ბაქოს „სტანდარდის“ მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ შეასრულეს“.*

1992-96 წლებში ცხადაძე ფრანკფურტის „აინტრახტში“ თამაშობდა და ფოგთსს იმ დროიდან იცნობს. გერმანული მედია იუწყება, რომ ორი თვის წინათ, ბუნდესგუნდის ყოფილ დამრიგებელს, ლონდონში, სწორედ ქართველი სპეციალისტი შეხვდა და აზერბაიჯანული ფედერაციის სახელით, ორდღიანი მოლაპარაკებები გამართა. 62 წლის გერმანელი წელიწადში მილიონ ევროს მიიღებს.



კახა ცხადაძე

**მერაბ მამულაშვილი**

# გახდება მუჯირი ირანის ჩემპიონი?

ირანის პრემიერლიგის დასრულებამდე ტურით ადრე 27 წლის ქართველ მცველ **ჯაბა მუჯირს** კარგი შანსი აქვს, ამ ქვეყნის ჩემპიონი გახდეს ისფაჰანის „სეფაჰანთან“ ერთად. ბოლო ტურში, რომელიც 17 მაისს გაიმართება, ჩემპიონს თეირანში მასპინძელი „პერსეპოლისისა“ და „სეფაჰანის“ შეხვედრა გამოავლენს. თუ ასე მოხდა, მუჯირი მეორე ქართველი იქნება, რომელიც ირანის ჩემპიონის ტიტულს შეწვდება – 2006 წელს თეირანის „ესტეღლალთან“ ერთად ჩემპიონი **აქვსენტი გილაური** გახდა. „სეფაჰანი“ 58 ქულით პირველია, „პერსეპოლისს“ 56 ქულა აქვს. ფრე და გამარჯვება მუჯირის გუნდს გააჩემპიონებს. სხვათა შორის, „სეფაჰანს“ სამი ქულა აქვს დაკლებული, ხოლო „პერსეპოლისს“ – ექვსი. ბოლო ორ ტურში „სეფაჰანმა“ ჯერ შინ ვერ შეძლო თეირანის „საბას“ დამარცხება, შემდეგ კი აუტსაიდერ „სანათს“ აჯობა – 1:0. ამ მატჩებში ტრავმის გამო არ უთამაშია ქართველ მცველს.

28 წლის გილაური ამჟამად გილანის პროვინციის გუნდ „პეგას“ ღირსებას იცავს. ბოლო ორ ტურში „პეგამ“ ჯერ 1:0 დაამარცხა „საიფა“ და შემდეგ სტუმრად ასეთივე ანგარიშით წააგო „ბარლთან“. ორივე შეხვედრაში ქართველმა ლეგიონერმა შეუცვლელად ითამაშა. ბოლო ტურის წინ „პეგა“ გასავარდნ ზონას სამი ქულით უსწრებს. 17 მაისს „პეგა“ შინ „საბას“ მიიღებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. ბოლო ტურის წინ

# დღე უკანასკნელი, როგორც ფინალი

## ლიდერები ფანების გარეშე. ინტერს, შეიძლება, იბრაჰიმოვიჩი დაუბრუნდეს

**დღეს**

სამპდორია-იუვენტუსი

**ხვალ**

პარმა-ინტერი
კატანია-რომა
ტორინო-ფიორენტინა
მილანი-უდინეზე
ატალანტა-ჯენოა
კალიარი-რეჯინა
ემპოლი-ლივორნო
ლაციო-ნაპოლი
სიენა-პალერმო




ლუჩანო სპალეტი და რობერტო მანჩინი გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადებიან

კარგია, როცა ყველაფერი ბოლო ტურში ირკვევა, ეს არის სწორედ მარათონული ტურნირის ხიბლი. შარშან, "ინტერის" უპირატესობა იმხელა იყო, უკვე შუა სეზონში მისი ჩემპიონობა ეჭვს არ იწვევდა. რატომღაც, ასე არ ყოფილა ამ ბატალიების დროს, როცა ერთი ხანობა "ნერაძური" "რომას" 11 ქულითაც უსწრებდა, და რატომღაც, განსხვავებით იმავე შარშანდელისგან, უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ჩემპიონატი ჯერ არ იყო დამთავრებული. მაინც რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ "ჯალოროსი" გაიზარდა, დაბრძენდა, დღევანდელი "ინტერი" კი ფსიქოლოგიურად არამდგრადია, გუნდში იმდენი გაუგებრობა და სკანდალი მოხდა, პირველ ადგილზე რომაა, ესეც საკვირველია.

ზოგადად, ტურის შინაარსს რაც შეეხება, მხოლოდ ორი გადამწყვეტი მატჩია და ბედის ირონიით, სწორედ ამ ორ დაპირისპირებაში გაირკვევა ჩემპიონისა და იმ უბედურის ვინაობაც, ვინც სერია A-ს დატოვებს. შესაბამისად, ამ თამაშებზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

მაგრამ, არის კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც ჩვენს ინტერესსაც უნდა იწვევდეს: "მილანი"-"უდინეზე" და **კახა კალაძის** საჩემპიონთალიგო მომავალი. "როსონერიმ" აუცილებლად უნდა დაამარცხოს უმოტივაციო ფრიულური კრებული, რათა მთავარი ევროტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვოს. თუმც ყველაფერი **კარლო ანჩელოტის** გუნდზეც არაა დამოკიდებული. გააჩნია, როგორ დასრულდება "ტორინო"-"ფიორენტინას" მატჩი. ამ უკანასკნელს "როსონერიმ" ორი კვირის წინათ გადაუსწრო, მაგრამ "ნაპოლისთან" ბოლო მარცხის შემდეგ კვლავ მეხუთე საფეხურზე აღმოჩნდა. სწორედაც რომ კვარტეტში მოხვედრაზეა დამოკიდებული, რამდენად შინაარსიანი იქნება "მილანის" სატრანსფერო ზაფხული. თუ შავ-წითლებმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრეს, სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება ის ყველა ხმაურიანი გარიგება, რაც ამ მომენტისთვის იგეგმება.

კიდევ ერთი უილბლო, კვირას რომ უნდა გაირკვეს, გახლავთ "ემპოლი", რომელიც ტოსკანურ დერბიში (უკვე გავარდნილ) "ლივორნოს" მასპინძლობს. **ლევან მჭედლიძის** კლუბს გამარჯვებაც ვერ იხსნის, თუ "კატანიამ" "რომასთან" ქულის აღება მაინც შეძლო. მოკლედ, სულ ეს არის, რაც ამ შაბათ-კვირას უნდა გაირკვეს. ახლა, უფრო კონკრეტულად.

"ინტერი" პარმაში გულშემატკივრების გარეშე ჩადის. საფეხბურთო ლიგამ ეს გადაწყვეტილება გართულებების თავიდან ასაცილებლად მიიღო და სწორადაც მოიქცა. მაგრამ ის კი არ ვიცით, რამდენად სწორი იყო, ბოლო ტურის წინ ემილიურ კლუბში მწვრთნელი რომ შეიცვალა. **ექტორ კუპერის** ნაცვლად, სიკვდილ-სიცოცხლის მატჩში "პარმას" ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი **ანდრეა მანცო** უხელმძღვანელებს. "ინტერს" უკვე აქვს ბოლო ტურში სკუდეტოს დაკარგვის "გამოცდილება": 2002 წლის 5 მაისს, "ლაციოსთან" მარცხის (2:4) შემდეგ, თითქმის მოპოვებული ჯილდო "იუვენტუსს" გადაულოცა. ესეც ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხია. დაძლევს თუ არა "ნერაძური" ამ ბარიერს, კვირას ვნახავთ. მანამდე კი "ინტერში" ერთი სასიამოვნო სიახლეა: ვარჯიში განაახლა **იბრაჰიმოვიჩმა** და დიდი შანსია, ხვალ მოედანზეც ვიხილოთ. ცნობილი მიზეზის გამო, **რობერტო მანჩინი მატერაცის** შინ დატოვებას აპირებდა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, "მატრიქსი" "ენიო ტარდინიზე" იქნება. მთავარი დანაკლისი კი "მანჩოს" შუა ხაზში ექნება, სადაც "სიენასთან" მატჩში დაშავებული **კამბიასო** ვერ ითამაშებს.

"პარმას" მდგომარეობა სხვა მხრივად რთულია. გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება: **კორადი, ფალკონე, დესენა, პიზანუ**... ვგონებთ, საკმარისია პესიმიზმისთვის, თუმცა პარმაში სულ სხვა განწყობაა. ქალაქიც და გუნდიც გადამწყვეტი ბრძოლისთვის მზად არიან. გასულ წელს "ინტერმა" აქ 2:1 გაიმარჯვა. სხვათა შორის, "ტარდინიზე" "ნერაძურის" სულ ორი მოგება აქვს: პირველი 2003 წელს იყო და მაშინაც 2:1. სტატისტიკა მოწმობს, რომ ლიდერს ერთობ მძიმე ვოიაჟი ელოდება.

ასევე გულშემატკივრების გარეშე იქნება "რომა", რომელიც "კატანიას" სტუმრობს. განსხვავებით "პარმასგან", სიცილიურ კლუბს ქულაც ეყოფა გადასარჩენად, "ჯალოროსის" კი, თავის მხრივ, ეს ქულა მხოლოდ იმ შემთხვევაში დასჭირდება, თუ "ინტერი" წააგებს. ასეთ შემთხვევაში, ჩემპიონის ბედი "ოქროს მატჩში" გადაწყდება. მაგრამ "რომა" ამ სცენარზე ვერ გააკეთებს აქცენტს. პირველ რიგში, თავად უნდა მოიგოს და, თუ "ნერაძურიმ" პარმაში ქულაზე მეტი ვერ აიღო, იქვე ჩემპიონად გამოცხადდება. შარშანდელ სეზონში დედაქალაქელებმა "მასიმინოზე" 2:0 მოიგეს, მთლიანობაში კი მაჩვენებლები თანაბარია: 2-2 გამარჯვება და 6 ფრე. რაც შეეხება საკადრო პრობლემებს, **ტოტის** გარდა, "რომას" არ ეყოლება **ტადეიც**. ტრავმის შემდეგ კი მწყობრში ბრუნდება ცენტრალური მცველი **ჟუანი**. თუმცა საეჭვოა მეკარე **დონის** საკითხი. მას ტრავმა აქვს და ჯერ არავინ იცის, დაიცავს თუ არა "რომას" კარს ხვალინდელ მატჩში. "კატანიას" მწვრთნელ **ვალტერ ძენგას** ბევრი ფიქრი მოუწევს იმაზე, თუ რა მოუხერხოს თავდასხმაში **სპინეზისა და მასკარას** (ორივე ტრავმირებულია) არყოფნას, შუა ხაზში კი არ იქნება **იცკო**, რომელსაც დისკვალიფიკაცია აქვს. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ძენგა, ალბათ, ერთ ფორვარდს დააყენებს **მარტინესის** სახით, ხოლო ოდნავ უკან ნახევარმცველი **კოლუჩი** იქნება.

ბოლო ოთხ სეზონში, "მილანს" "უდინეზესთან" შინ ორჯერ აქვს წაგებული, მათ შორის შარშან (2:3), და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს ამბავი 19 მაისს მოხდა. გარდა ტრავმირებულთა სოლიდური სიისა (**რონალდო, დიდა, მალდინი, ემერსონი**), ანჩელოტის არ ეყოლება დისკვალიფიცირებული **ნესტა** და **გატუზო**. პირველის ადგილს **შიმიჩი** დაიკავებს, გატუზოს კი **ბროკი** შეცვლის. უდინელთა ერთადერთი დანაკლისი მარცხენა მცველ **ფელიპეს** ტრავმაა.

"ფიორენტინა" ფრთხილად უნდა იყოს ტურინში, რადგან უმოტივაციო გუნდი ხშირად უფრო საშიშია. ფლორენციელებს არ ეყოლებათ ნახევარმცველი **დონადელი** და ფორვარდი **მუტუ**. ორივე დისკვალიფიცირებულია, **ჯანი დე ბიაზიმ** კი, შესაძლოა, ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენოს.

"ემპოლის", რომელსაც უსიკვდილოდ გამარჯვება სჭირდება, ვერ დაეხმარებიან მცველი **რაჯი**, ნახევარმცველი **პიკოლო** და ფორვარდი **პოცი**. "ლივორნოს" დანაკლისზე კი საუბარი ძნელია, რადგან არ არის გამორიცხული, **ფერნანდო ორსიმ** სულაც დუბლშემადგენლობა გამოიყვანოს. როგორც არ უნდა იყოს, მცველები - **გრანდონი** და **პასკუალე**, ასევე, ნახევარმცველი **ემანუელ ფილიპინი** დისკვალიფიკაციის გამო ისედაც ვერ ითამაშებენ, საყრდენ შუახაზელ **ვიდიგალს** კი ტრავმა აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 37 | 24 | 10 | 3 | 67-26 | 82 |
| 2. რომა | 37 | 24 | 9 | 4 | 71-36 | 81 |
| 3. იუვენტუსი | 37 | 20 | 11 | 6 | 69-34 | 71 |
| 4. ფიორენტინა | 37 | 18 | 9 | 10 | 54-39 | 63 |
| 5. მილანი | 37 | 17 | 10 | 10 | 62-37 | 61 |
| 6. სამპდორია | 37 | 17 | 8 | 12 | 53-43 | 59 |
| 7. უდინეზე | 37 | 16 | 9 | 12 | 47-49 | 57 |
| 8. ნაპოლი | 37 | 14 | 8 | 15 | 49-50 | 50 |
| 9. ჯენოა | 37 | 13 | 9 | 15 | 44-50 | 48 |
| 10. პალერმო | 37 | 12 | 10 | 15 | 45-55 | 46 |
| 11. ატალანტა | 37 | 11 | 12 | 14 | 50-56 | 45 |
| 12. ლაციო | 37 | 10 | 13 | 14 | 45-49 | 43 |
| 13. სიენა | 37 | 9 | 16 | 12 | 38-43 | 43 |
| 14. კალიარი | 37 | 11 | 8 | 18 | 38-54 | 41 |
| 15. ტორინო | 37 | 8 | 16 | 13 | 36-48 | 40 |
| 16. რეჯინა | 37 | 9 | 12 | 16 | 35-54 | 39 |
| 17. კატანია | 37 | 8 | 12 | 17 | 32-44 | 36 |
| 18. პარმა | 37 | 7 | 13 | 17 | 42-58 | 34 |
| 19. ემპოლი | 37 | 8 | 9 | 20 | 27-51 | 33 |
| 20. ლივორნო | 37 | 6 | 12 | 19 | 34-58 | 30 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანის ულტიმატუმი რონალდინიოსთვის

## როსონერიმ ეტო'ოს ფრონტიც გახსნა, ძამბროტაც ძალაშია, მაგრამ კატალონიური ტრიო ძალიან ძვირი ღირს

როგორც ჩანს, "მილანი" **რონალდინიოსთვის** ბრძოლას ასე იოლად ვერ მოეშვება. "როსონერის" ხელმძღვანელობა, კერძოდ კი ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი**, რომელმაც ერთი კვირის წინათ თითქოს ხელი ჩაიქნია, ტრანსფერისთვის ახალ ნიადაგს ამზადებს. პირველი მცდელობა ფასზე შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა. ანალოგიური პერსპექტივაა ახლაც, თუმცა "მილანმა" შეთავაზება რამდენადმე გააუმჯობესა. საუბარია უკვე 20 მილიონ გირვანქაზე. ამ ინფორმაციას კატალონიური გამოცემა "სპორტი" ავრცელებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ "ბარსა" თავის მოთხოვნას ფეხს არ უცვლის: 25 მილიონი გირვანქა.

ამავე დროს, "მილანის" კონკურენტად რჩება "მანჩესტერ სიტიც", რომელიც მზადაა, ხსენებული 25 მილიონი ულაპარაკოდ გადაიხადოს. ბუნებრივია, "ბარსელონას" ეს აწყობს, მაგრამ თუ




"სიტი" უშუალოდ ფეხბურთელს არ მოელაპარაკა, არაფერი გამოვა. არჩევანზე თუ მიუდგა საქმე, ცხადია, რონალდინიო მილანისკენ აიღებს გეზს, მით უმეტეს, ამისთვის მისი ოჯახიც დიდი ხანია ემზადება. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ხელფასზეც. როგორც ამბობენ, გალიანის ფეხბურთელთან ჯამაგირის ოდენობაც შეთანხმებული აქვს. რონალდინიო "მილანში" წლიურად 7 მილიონ გირვანქას აიღებს, მაგრამ ამაში შედის კომპენსაციაც, რომელსაც მოთამაშეს "ნაიკთან" სპონსორული კონტრაქტის გაუქმების სანაცვლოდ გადაუხდიან. სახელგანთქმული კომპანია რონალდინიოს "მილანში" ტრანსფერის წინააღმდეგია. "ნაიკი" თანახმა იყო, ფეხბურთელს "ინტერში" (რომლის ტექნიკური სპონსორიცაა) გადასვლაში დახმარებოდა, მაგრამ დღეს ეს უკვე არარეალურია.

ამასობაში, "მილანი" არც **სამუელ ეტო'ოს** ტოვებს უყურადღებოდ. ის, რომ კამერუნელს "ბარსელონიდან" წასვლა აქვს გადაწყვეტილი, ბევრს უღძრავს მადას, მათ შორის, "ინტერსა" და "ტოტენჰემს", რომელიც დღე-დღეზე აპირებს კატალონიელებთან მოლაპარაკების დაწყებას. ისიც გავითვალისწინოთ, რომ თავად ფორვარდს გული ინგლისისკენ მიუწევს. "ბარსამ" კი ეტო'ოს ფასი უკვე თქვა: 40 მილიონი ევრო. "მილანის" წინადადება მეტისმეტად მოკრძალებულია: მხოლოდ 20 მილიონი. მაგრამ "როსონერის" **ჯანლუკა ძამბროტაც** უნდა. იტალიელი, რომელიც "იუვენტუსში" დაბრუნებასაც არ გამორიცხავს, 12 მილიონი ევრო ღირს. გალიანი მზადაა, "ბარსას" სამ ფეხბურთელში (რონალდინიო, ეტო'ო, ძამბროტა) 50 მილიონი ევრო გაიღოს, და ეს მაშინ, როცა კატალონიელები ამ ოპერაციას 87 მილიონად აფასებენ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში შეთანხმება მეტისმეტად რთული იქნება.

სპეციალისტის თვალით. ინტერვიუ ზდენეკ ზემანთან

# რომას 20, ინტერს 80

ამ ათიოდ წლის წინათ, იტალიაში შემტევ ფეხბურთს მხოლოდ ზდენეკ ზემანი ქადაგებდა, რომელიც მაშინ "რომას" ედგა სათავეში. დღეს კი მისეული სტილის ერთგვარ მემკვიდრედ გვევლინება იმავე "რომას" დამრიგებელი ლუჩანო სპალეტი. სერია A-ს ბოლო უიქენდის წინ, "გაძეტა დელო სპორტმა" ექსპერტის როლზე ზემანი შეარჩია.

დიდი ხანი არაა, რაც ჩეხი სპეციალისტი პენსიაზე გავიდა და ახლა გოლფით იქცევს თავს. დღეს მას ხშირად შეხვდებით სწორედ გოლფის ჯოხითა და განუყრელი სიგარეტით. "ვითამაშებ გოლფს მანამ, ვიდრე არ შემხვდება ადამიანი, რომელიც ფეხბურთში დაბრუნებას მაიძულებს" - აცხადებს ზემანი.

ახლა კი ინტერვიუ, რომელშიც პან ზდენეკი "ინტერისა" და "რომას" შანსებზე მსჯელობს...

**- ბატონო ზემან, კვირას სკუდეტოს ბედი წყდება. ტკბებით ინტრიგით?**

- ამ ენთუზიაზმით? დიდი ხნის ძილის შემდეგ, ჩემპიონატმა ბოლო დღეს გაიღვიძა. "ინტერს" ეგონა, რომ სკუდეტო შობის შემდეგ ან თებერვალში უკვე მოპოვებული ჰქონდა, როცა 11-ქულიან უპირატესობას მიაღწია. ამიტომაც მშვიდად იყო.

**- 11 ქულა ძალიან ბევრია...**

- ბევრია, მაგრამ "რომას" ბოლომდე სჯეროდა, რომ შანსი ჰქონდა და ისარგებლა კიდეც "ინტერის" მოდუნებით.

**- ამბობენ, "ჯალოროსიმ" ჩემპიონობის შანსი პატარა კლუბებთან დაკარგული ქულების გამო გაუშვა ხელიდანო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- არა, იმიტომ, რომ 38 მატჩიდან იყო მარცხი სიენაში და საშინაო ფრე "ლივორნოსთან". ეს არის და ეს.

**- იმასაც ამბობენ, თითქოს "ინტერს" მსაჯები ეხმარებოდნენ. ამაზე რაღას იტყვით?**

- "ლივორნოს" მაგალითზე გეტყვით: ისინი სერია B-ში გავარდნას სწორედ არბიტრებს აბრალებენ. შეცდომები იყო, ეს ფაქტია, და თან უხეში შეცდომებიც, მაგრამ მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს შეგნებულად ხდებოდა. არ მგონია, რომ ვინმემ "ინტერს" უპირატესობა მისცა, ან ვინმეზე ნაკლებად დაზარალდა.

**- არის თუ არა "რომასა" და "ინტერის" დაპირისპირება დავითისა და გოლიათის შერკინება?**

- როგორ? მე მეგონა, იტალიის დედაქალაქი რომი იყო...

**- პოლიტიკური დედაქალაქი კი არის, მაგრამ ეკონომიკური?**

- აჰ... იცით, მანჩინი და სპალეტი, ორი სრულიად განსხვავებული პიროვნებაა, ორი, სრულიად განსხვავებული გუნდით, გნებავთ ხარისხითა და გნებავთ შედეგით. მანჩინი ნამდვილი ადმინისტრატორია, სპალეტი კი მწვრთნელი და, სხვათა შორის, ამ ჩემპიონატმა დაამტკიცა, რომ ფული ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს სწორედ სპალეტის დამსახურებაა.

**- რამდენად შეეფერება, რამდენად მოერგებოდა "რომას" სკუდეტო?**

- ლამაზი თამაშისთვის პრემია რომ იყოს დაწესებული, მას აუცილებლად "რომა" მიიღებდა. იტალიაში ეს გუნდი ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. მაგრამ ჩემპიონატს იგებს ის, ვისაც ბოლოს მეტ ქულას აგროვებს. ამ მომენტისთვის, წინ "ინტერია" და ეს სამართლიანია.

**- როგორ თქვით?**

- როცა პირველივე ტურიდან ცხრილის სათავეში ხარ, სკუდეტოს მოგებას ყველაზე მეტად იმსახურებ. ამასთან, იტალიაში პატარა გუნდებიც ახერხებენ თავიანთი ინდივიდუალობის დამტკიცებას.

**- არ გინდათ, "რომას" იმედი მისცეთ?**

- მხოლოდ 20 პროცენტს მივცემდი, რადგან ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუნდაც 90 წუთში. "ინტერს" კი 80 პროცენტი აქვს ჩემგან.

**- შესაძლებელია, რომ "ინტერმა" კვლავ "სცადოს" თვითმკვლელობა, როგორც ეს "სიენასთან" მატჩში მოხდა?**

- თუ ვინმე ფიქრობს, რომ "სიენასთან" შეხვედრაში პირველი "მატჩპოინტი" იყო გაშვებული ხელიდან, ასეთი ცოტა თუ იქნება.

**- მატერაცის მიერ გაფუჭებული ის პენალტი "ინტერის" გასახდელში დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევდა...**

- ...მაგრამ რამდენს ვერ გაუტანია 11-მეტრიანი გადამწყვეტ მომენტში?

**- და მაინც, რისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ რომაელებს?**

- ალბათ, ექტორ კუპერის გათავისუფლების, ეგ ხომ "ინტერის" ტიფოზი იყო (იცინის)? საერთოდ, მისმა დანიშვნამ ძალიან გამაოცა, სისულელე იყო...

**- როგორ შეაფასებდით იმას, რომ "ინტერისა" და "რომას" ტიფოზებს პარმასა და კატანიაში გამგზავრება აუკრძალეს?**

- ვფიქრობ, პარმაში სიმხურვალე ნაკლებია და დიდი დაძაბულობა არ იქნებოდა, მაგრამ კატანიაში... ისე, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილებაა. სამწუხაროდ, ფეხბურთი სულ უფრო მეტად ემსგავსება ომს, განსაკუთრებით იტალიაში.

**- როგორ გაანაწილებდით ამ სეზონის "ოსკარსა" და "ფლოპს" (flop, ანუ ჩავარდნა - რედ)? "რომასა" და "ინტერის" გარდა...**

- "ოსკარი" მარკო ბორიელოსა და "ჯენოას", "ფლოპი" "პალერმოსა" და "ლაციოს". დელიო როსის საკითხი გადაწყვეტილი მგონია, მაგრამ ჟოზე მოურინიოს შემთხვევაშიც იგივე იქნებოდა. როგორც ჩანს, პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს ის არ ესიმპათიურება.

მოამზადა **დავით ჩუბინიძე**



ინტერი მაფიურ სკანდალში

# ნარკომოვაჭრე, მკვლელი, მანჩინი, მიხაილოვიჩი და სხვები



თუ ეს ამბავი მართალია, მანჩინისა და მიხაილოვიჩს სასაცილოდ ნამდვილად არ ექნებათ საქმე

იტალიის ჩემპიონატის მიწურულს, "ინტერი" გამაოგნებელ სკანდალში გაეხვა. ხვალ სერია A-ს ფინალური რაუნდია. მოგეხსენებათ, "ნერაძური", რომელიც ერთ ქულით უსწრებს "რომას", გასვლაზე "პარმას" ხვდება და ჩემპიონობისთვის გამარჯვება სჭირდება.

ინფორმაციას, რომელიც იტალიურ პრესაში გაჩნდა, კლუბის ტიფოზებისთვის შეიძლება შოკის ეფექტი ჰქონდეს. საუბარია მაფიურ სკანდალზე, რომელშიც, თითქოს, გარეული აღმოჩნდნენ "ინტერის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** და მისი ასისტენტი **სინიშა მიხაილოვიჩი**. ეს ყველაფერი "ინტერის" მკერავის, ვინმე **დომენიკო ბრეშას** მიზეზით მოხდა. გაირკვა, რომ ის მკვლელია და კავშირი აქვს "კრისაფულის" მაფიურ ორგანიზაციასთან. 55 წლის ბრეშა ეჭვმიტანილია პოლიციის მიერ, როგორც კოკაინის გამსაღებელი და იმყოფება გამოძიების ქვეშ. სამართალდამცველებს მოპოვებული აქვთ 200-მდე აუდიოჩანაწერი, თავად ბრეშას, მანჩინის, მიხაილოვიჩისა და სხვა ფეხბურთელების საუბრებით. ჩანაწერების ნაწილი გუნდის საქმეებს ეხებოდა, ნაწილი კი კრიმინალურია. მაგალითად, ერთ-ერთ საუბარში მანჩინიმ და ბრეშამ ახსენეს ვინმე ბიძოძერო, რომელსაც თურმე ბრეშასთან აქვს კონტაქტი. ის პოლიციას ჯერ მონტე-კარლოში გაექცა, მერე კი პარიზში.

მანჩინი ეკითხება ბრეშას: "რა მოხდა, რა მოუვიდა? როგორ დააპატიმრეს? მე მას ვუთხარი, რომ დარჩენილიყო პარიზში და იქ დალოდებოდა შეწყალებას". ბრეშა კი პასუხობს, რომ ბიძოძერო სულელია, რაზეც მანჩინი ეუბნება - ის ჩემთან ყოველთვის კარგად იქცეოდაო. სხვა საუბრებში მანჩინი ისტერიულად სთხოვს ბრეშას, დაუყოვნებლივ დაიჭიროს ბიძოძერო და მოჰგვაროს მას. ფეხბურთელებთან საუბარში კი ნახსენები იყო ასეთი სიტყვებიც - გადამალეთ კომპრომატები ბრეშას მანქანიდან...

მოკლედ, დიდი ამბები დატრიალდება. ვნახოთ, როგორი იქნება გაგრძელება.

**ნოდარ დუგლაძე**

ევრო 2008. ჰოლანდია

# ვინ დარჩა ზედმეტი?

## ვან ბასტენმა ოთხი ფეხბურთელი სახლში გაუშვა, ერთი დღით ადრე შინ გაემგზავრა ზეედორფიც...

**მარკო ვან ბასტენმა** გაფართოებული სიიდან ოთხი ფეხბურთელი ამოაგდო. ჰოლანდიელთა ნაკრები 25 კაცამდე შემცირდა. ორი მათგანი ისევ ზედმეტია. მწვრთნელი საბოლოო შემადგენლობას 28 მაისამდე დაასახელებს. ამჯერად შემცირებაში მოყვნენ ნახევარმცველი **ჰედვიგეს მადურო**, მცველები - **ურბი ემანუელსონი** და **კიუ იალიენსი** და თავდამსხმელი **დენი კოვერმანსი**. ორიოდე დღით ადრე ნაკრები საკუთარი სურვილით დატოვა **კლარენს ზეედორფმა**. მილანელ ვეტერანს წასვლის მიზეზი არ დაუსახელებია. მიმომხილველთა აზრით, ზეედორფი 23 კაცში ვერ მოხვდებოდა. ამიტომ დათხოვნას საკუთარი ნებით წასვლა არჩია. ჰოლანდიელთა ნაკრები 20 მაისს შეიკრიბება. რამდენიმე ვარსკვლავი გუნდს მოგვიანებით შეუერთდება. 21 მაისს **ედვინ ვან დერ სარი** ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს, **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკს, რუუდ ვან ნისტელროის, ვესლი სნეიდერსა** და **არიენ რობენს** კი შოტლანდიისა და ესპანეთის ჩემპიონატები ჯერ არ დაუსრულებიათ. 20 მაისს, შეკრებაზე მივა სევილიელი მცველი **ხალიდ ბულარუზიც**, რომელსაც ტრავმის გამო სეზონის ნახევარი გაუცდა. ჰოლანდიამ სამი ამხანაგური მატჩი დაგეგმა - უკრაინასთან 24 მაისს, დანიასთან 28 მაისს და უელსთან 1 ივნისს. ვან ბასტენის გუნდი C ჯგუფში ითამაშებს. მისი მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონი იტალია, ვიცე-ჩემპიონი საფრანგეთი და რუმინეთი. დღეისათვის ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში იმყოფებიან:



მარკო ვან ბასტენი

**მეკარეები** - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი), სანდერ ბოსხკერი (ტვენტე);

**მცველები** - ვილფრედ ბუმა (ასტონ ვილა), ტიმ დე კლერი (ფეიენოორდი), ჰონ ჰეიტინგა (აიაქსი), იორის მატიისენი (ჰამბურგი), მარიო მელხიოტი (ვიგანი), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი).

**ნახევარმცველები** - იბრაჰიმ აფელეი (ეინდჰოვენი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ფეიენოორდი), ორლანდო ენგელაარი (ტვენტე), ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), დენი ლანდზაატი (ფეიენოორდი), ვესლი სნეიდერი (რეალი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), დემი დე ზეეუვი (ალკმაარი);

**თავდამსხმელები** - რაიან ბაბელი (ლივერპული), კლაას იან ჰუნტელაარი (აიაქსი), დირკ კუიტი (ლივერპული), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი), რობინ ვან პერსი (არსენალი), არიენ რობენი (რეალი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი).

საბერძნეთი

# ექსპერიმენტი კვიპროსთან

## სამი დებიუტანტი მეფე ოტოს სიაში

ორშაბათს ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი კვიპროსთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. **ოტო რეჰაგელმა** 17-კაციანი ექსპერიმენტული შემადგენლობა დაასახელა. მეფე ოტომ რამენიმე წამყვანი ფეხბურთელი ვერ გამოიძახა. მათ საკლუბო სეზონი ჯერ არ დაუსრულებიათ. ამიტომ მწვრთნელმა ახალგაზრდების მოსინჯვა გადაწყვიტა. ზოგიერთი მათგანი შეიძლება ევროპის ჩემპიონატზეც ვიხილოთ. ბერძენი მიმომხილველების ყურადღების ცენტრშია 18 წლის **სოტირის ნინისი**. მან "პანათინაიკოსში" სადებიუტო შეხვედრა ორი წლის წინათ ჩაატარა. მომდევნო წელს ყმაწვილმა ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი დროით გამოეთიშა ფეხბურთს. გამოჯანმრთელებისთანავე, რეჰაგელმა ნაკრებში გამოიძახა. განაცხადში კიდევ ორი დებიუტანტია: "პანიონიოსის" ნახევარმცველი **გრიგორიოს მაკოსი** და პაოკ-ის თავდამსხმელი **ლაზაროს ხრისტოდულოპულოსი**. კონტინენტის პირველობაზე ბერძნები D ჯგუფში ითამაშებენ. მათი მეტოქეები რუსეთი, ესპანეთი და შვედეთი იქნებიან.

**მეკარეები** - კოსტას ხალკიასი (არისი), ალექსანდროს ცორვასი (ოფი);

**მცველები** - ნიკოს სპიროპულოსი (პანათინაიკოსი), ლუკას ვინტრა (პანათინაიკოსი), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), ტრაიანოს დელასი (აეკი), სოკრატის პაპასტატოპულოსი (აეკი), ხრისტოს მელისისი (პაოკი);

**ნახევარმცველები** - გიორგიოს კარაგუნისი (პანათინაიკოსი), ალექსანდროს ციოლისი (პანათინაიკოსი), სოტირის ნინისი (პანათინაიკოსი), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი), კოსტას კაცურანისი (ბენფიკა), გრიგორიოს მაკოსი (პანიონიოსი);

**თავდამსხმელები** - დიმიტრის სალპიგიდისი (პანათინაიკოსი), ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკი), ლაზაროს ხრისტოდულოპულოსი (პაოკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტურის წინ

# ბოლო ტური, ბოლო კითხვა: ნიურნბერგი თუ არმინია?

## ოლივერ კანისა და ოტმარ ჰიტცფელდის ბოლო სიტყვა ბუნდესლიგაში

**დღეს**

**ლევერკუზენი-ვერდერი**
**შტუტგარტი-არმინია**
**ჰამბურგი-კარლსრუე**
**ბაიერნი-ჰერტა**
**ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი**
**აინტრახტი-დუისბურგი**
**ჰანოვერი-კოტბუსი**
**ნიურნბერგი-შალკე**
**ბოხუმი-ჰანზა**



ოტმარ ჰიტცფელდს ბუნდესლიგაში, ხოლო ოლივერ კანს კი საფეხბურთო მოედანზე, დღეს უკანასკნელად ვიხილავთ...

დღეს, გერმანიის ჩემპიონატი მთავრდება. მართალია, ჩემპიონისა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი გუნდების ვინაობა დიდი ხნის გარკვეულია, მაგრამ ბუნდესლიგამ თავის გულშემატკივრებს ბოლო ტურისთვის რამდენიმე საინტერესო კითხვა მაინც შემოუნახა - კითხვები, რომლებსაც პასუხები სწორედ დღეს უნდა გაეცეს. ვინ გავა მეორე ადგილზე, რითაც პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს გაიფორმებს? რომელი კლუბები მოიპოვებენ უეფას თასის 2 საგზურს, „ლევერკუზენი", „ჰამბურგი", „ვოლფსბურგი" თუ „შტუტგარტი"? ვინ დაქვეითდება მეორე ბუნდესლიგაში „ჰანზასთან" და „დუისბურგთან" ერთად – „არმინია" თუ „ნიურნბერგი"?

დავიწყოთ „ლევერკუზენისა" და „ვერდერის" მატჩით – გამარჯვების შემთხვევაში, სეზონის წინ დასახულ მიზანს ორივე გუნდი მიაღწევს. „ბაიერს" (მხოლოდ ორი გამარჯვება ბოლო 8 შეხვედრაში) რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული ჰყავს. უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად „ფარმაცევტებს" აუცილებლად მოგება სჭირდებათ, რადგან სამივე კონკურენტი ალესილია. ბრემენელებს **ტიმ ვიზე** არ ეყოლებათ (ტრავმა), რომელსაც სათადარიგო მეკარე **ფანდერი** შეცვლის. **დანიელ იენსენის** ნაცვლად (ტრავმა) კი **ფრანკ ბაუმანი** ითამაშებს.

„ჰამბურგმა" სეზონი ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე მოუკლო და საბოლოოდ, არის იმის საშიშროება, რომ სეზონი ჩააგდოს. მაგრამ **ჰუუბ სტევენსის** შეგირდებს ბოლო ტურში საკმაოდ იოლი მატჩი აქვთ - „ჰამბურგი" უმოტოვაციო „კარლსრუეს" მასპინძლობს და თუ მოიგებს, უეფას თასის საგზურს მოიპოვებს.

„ლევერკუზენსა" და „ჰამბურგს" „ვოლფსბურგი" მოსდევს. ზოგადად, ოთხივე კონკურენტს 51 ქულა აქვს. „მგლები" „ფარმაცევტებსა" და ჩრდილოელებს მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩებიან. **ფელიქს მაგათმა** განაცხადა, რომ მისი გუნდის მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. ამისთვის, „ვოლფებმა" დორტმუნდში გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლონ და თან იმის იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ „ლევერკუზენი" ან „ჰამბურგი" წაიფორხილებენ. ყოველ შემთხვევაში, თუ „ვოლფსბურგი" დორტმუნდიდან სამ ქულას წაიღებს, მინიმუმ ინტერტოტოს თასის საგზურს გაიფორმებს, რადგან „შტუტგარტს" „მგლებთან" შედარებით ბურთების ძალიან ცუდი შეფარდება აქვს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შვაბებს ძალიან მძიმე მატჩი ელით. მართალია, საკუთარ მოედანზე თამაშობენ, მაგრამ ხვდებიან „არმინიას", რომელიც ბუნდესლიგაში დარჩენისთვის თავგამოდებით იბრძვის და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონიდან" 3 ქულით ხელდამშვენებული გაბრუნდეს. უეფას თასს მიღმა დარჩენა ექს-ჩემპიონისთვის სერიოზული ტრაგედია იქნება, მაგრამ არმინ ფეეს გუნდს ხუთეულში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი შერჩა. „არმინიის" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ ფრონტცეკი** თავდამსხმელ **სუბისისუ ზუმას** ვერ დაიხმარს (ტრავმა). ერთი სიტყვით, დაძაბულობა ამ შეხვედრას გარანტირებული აქვს, ისევე, როგორც...

...200 კილომეტრის მოშორებით ჩასატარებელ შეხვედრას, სადაც ერთმანეთს „ნიურნბერგი" „შალკე" ხვდებიან – გუნდები, რომელთა ფანებიც ერთმანეთში მეგობრობენ. „ნიურნბერგი" დარჩენისთვის იბრძვის, გელზენკირხენელებს კი მეორე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურის მოპოვება სურთ. მოკლედ, ორივე გუნდს მოგება სჭირდება და თანაც, სხვებზე არიან დამოკიდებულები - კერძოდ, „შალკე" „ვერდერზეა" დამოკიდებული, „ნიურნბერგი" კი „არმინიაზე". აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ „შალკეს" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ნიურნბერგელი მცველის, **ხავიერ პინოლას** გადაბირება უნდათ. გელზენკირხენელებს **მლადენ კრსტაიჩი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული. მის ნაცვლად დაცვის ცენტრში **ჰაიკო ვესტერმანი** ითამაშებს, მარცხენა ფლანგს კი **კრისტიან პანდერი** გაამაგრებს.

სხვა სტადიონებზე კი, ასე ვთქვათ, განტვირთული მატჩები გაიმართება. მიუნხენში, სადაც გაჩემპიონებული „ბაიერნი" ბერლინის „ჰერტას" მასპინძლობს, ბავარიული გრანდის ფანებს ორი ლეგენდა გამოეთხოვება: **ოლივერ კანი** 557-ე ბუნდესლიგურ შეხვედრას ატარებს და კარიერას ამთავრებს, მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** კი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შვეიცარიის ნაკრების დამრიგებელი გახდება. თანაც, კანი მორიგ რეკორდს უმიზნებს. 1997/98 წლების სეზონში „ვერდერმა" 22 გოლი გაუშვა და ეს დღემდე საუკეთესო მაჩვენებელია. „ბაიერნის" კარი ამ სეზონში ჯერ მხოლოდ 20-ჯერ დალაშქრეს და ვინც კანს იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ოლი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დღეს არც ერთი ან ერთზე მეტი გოლი არ გაუშვას.

სხვა გუნდების ერთადერთი მოტივაცია კი ის გახლავთ, რომ იქნებ შედარებით მაღალი ადგილი დაიკავონ და გაისად სატელევიზიო კონტრაქტებიდან მეტი ფული მიიღონ.

გოტფრიდ **ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 33 | 21 | 10 | 2 | 64-20 | 73 |
| 2. ვერდერი | 33 | 19 | 6 | 8 | 74-45 | 63 |
| 3. შალკე | 33 | 17 | 10 | 6 | 53-32 | 61 |
| 4. ლევერკუზენი | 33 | 15 | 6 | 12 | 57-39 | 51 |
| 5. ჰამბურგი | 33 | 13 | 12 | 8 | 40-26 | 51 |
| 6. ვოლფსბურგი | 33 | 14 | 9 | 10 | 54-44 | 51 |
| 7. შტუტგარტი | 33 | 16 | 3 | 14 | 55-55 | 51 |
| 8. ჰანოვერი | 33 | 12 | 10 | 11 | 50-56 | 46 |
| 9. ჰერტა | 33 | 12 | 8 | 13 | 38-40 | 44 |
| 10. კარლსრუე | 33 | 11 | 10 | 12 | 38-46 | 43 |
| 11. აინტრახტი | 33 | 11 | 10 | 12 | 39-48 | 43 |
| 12. ბოხუმი | 33 | 10 | 11 | 12 | 47-52 | 41 |
| 13. ბორუსია (დ) | 33 | 10 | 10 | 13 | 48-58 | 40 |
| 14. კოტბუსი | 33 | 9 | 9 | 15 | 35-52 | 36 |
| 15. არმინია | 33 | 8 | 9 | 16 | 33-58 | 33 |
| 16. ნიურნბერგი | 33 | 7 | 10 | 16 | 35-49 | 31 |
| 17. დუისბურგი | 33 | 8 | 5 | 20 | 34-51 | 29 |
| 18. ჰანზა | 33 | 7 | 6 | 20 | 28-51 | 27 |

ატლეტიკო

# თორმეტწლიანი ტანჯვა და ჩემპიონთა ლიგის საგზური

## მადრიდელებმა ამ მიზნის მისაღწევად 169 ფეხბურთელი და 13 მწვრთნელი გამოიცვალეს...



მადრიდელებს ლუჩო გონსალესისა და დიეგოს შეძენა სურთ

გასულ კვირას, მადრიდის "ატლეტიკომ" ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა. ესპანური კლუბი ამ დიდი მიზნისკენ არც მეტი, არც ნაკლები 12 წელიწადი მიიწევდა. სეგუნდა დივიზიონში გატარებულ ორ წელიწადს თუ არ ჩავთვლით, "როხიბლანკოს" ხელმძღვანელობა ყოველი სეზონის დაწყების წინ პროგრამა მინუმუმად სწორედ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ასახელებდა.

უკან თუ მოვიხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ გასული 12 წლის განმავლობაში "ატლეტიკომ" 169 ფეხბურთელი და 13 მწვრთნელი გამოიცვალა. თავგანწირული მცდელობების მიუხედავად, დედაქალაქელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერა და ვერ შეწვდნენ. გემახსოვრებათ, 1995/96 წლების სეზონში **ანტიჩის** "ატლეტიკომ" პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გაიმარჯვა. ტრიუმფალური გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა ფეხბურთელებმა იმავე წლის სექტემბერში ჩემპიონთა ლიგასაც გაუგეს გემო, მაგრამ ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ამას ჩავარდნისა და დეპრესიის ხანგრძლივი ხანა მოჰყვა.

"ვისენტე კალდერონზე" ამ ხნის განმავლობაში მართლაც ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა. გულშემატკივრებს, ზოგი უზომოდ უყვარდათ. ზოგს კი პირიქით, დასანახავადაც ვერ იტანდნენ. ინჩასების კერპებად **ჟუნინიო, ვალერონი, ვიერი, ჰასელბანკი** და **ტორესი** შეგვიძლია მივიჩნიოთ. ხოლო საძულველ ფეხბურთელთა სიაში **ტორისი, სერენა, ნიმი, ფილიპაუსკასი, ლავალი, შამოტი** და **ლორენსი** უნდა ჩავწეროთ. ბინებრივია, ორივე სია არასრულია, თუმცა ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ ნანატრ წარმატებას **ფორლანმა, მაქსი როდრიგესმა, რაულ გარსიამ, ლეო ფრანკომ, სერხიო აგუერომ** და სხვებმა მიაღწიეს.

დიდი დეპრესიის ხანაში "ატლეტიკო" მხოლოდ მცირე წარმატებებით კმაყოფილდებოდა. გულშემატკივრებს მხოლოდ იმით შეეძლოთ მოეწონათ თავი, რომ **სალვა ბალესტამ** და კრისტიან ვიერიმ პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვეს. სამწუხაროდ, "როხიბლანკოს" უფრო დიდი გაქანება არ აღმოაჩნდა. ზემოთ მოგახსენეთ, რომ დაწყევლილი 12 წლიწადის განმავლობაში გუნდს 13 მწვრთნელი ავარჯიშებდა. მოდით, დროის ამ მონაკვეთს პირობითად "ანტიჩიდან-აგირემდე" დავარქვათ და "ვისენტე კალდერონზე" ნამუშევარი სპეციალისტების გვარები ჩამოვთვალოთ: **ანტიჩი, საკი, აგიარი, რანიერი, სამბრანო, არაგონესი, ალონსო, კანტარერო, მანსანო, ფერნანდო, ბიანკი, მურსია** და **აგირე**. აღსანიშნავია, რომ აგირეს გარდა ერთი სეზონის სრულად ჩატარების შესაძლებლობა მხოლოდ არაგონესს, სამბრანოსა და ანტიჩს მიეცათ. დანარჩენებს კი სულმნათი **ხესუს ხილი** და მისი მემკვიდრეები ცუდი შედეგების გამო შუა სეზონიდან ათავისუფლებდნენ. რეპრესიები თვით არიგო საკისაც კი შეეხო. ეს ბედი ლეგენდარული იტალიელი სპეციალისტის თანამემამულემ, კლაუდიო რანიერიმაც გაიზიარა. მახსოვს, კარლოს ბიანკიც დიდი იმედებით დანიშნეს, მაგრამ არგენტინელ მწვრთნელსაც ძალიან მალე მოუხდა წასვლა.

ზემოთხსენებული 169 ფეხბურთელიდან "როხიბლანკომ" აბსოლუტური უმრავლესობა იაფად ჩაიგდო ხელში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მადრიდელები ფულის დახარჯვას ერიდებოდნენ. თავად განსაჯეთ, გასული 12 წელიწადის განმავლობაში კლუბის ხელმძღვანელებმა ტრანსფერებში მთლიანობაში 400 მილიონი ევრო გადაიხადეს. ბუნებრივია, ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები ვიერი, ჟუნინიო, ჰასელბანკი, **იუგოვიჩი, იბაგასა** და სხვები იყვნენ. მხოლოდ ერთი სეზონის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, "როხიბლანკოს" ბიუჯეტმა ყველაზე დიდი თანხა სწორედ წელს გაიღო. მიმდინარე სეზონის დაწყებამდე **ენრიკე სერესომ** 71 მილიონი ევრო დახარჯა...

### ლუჩო გონსალესი და ჰეიტინგა კალდერონზე?

ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებით გახარებული პრეზიდენტი მომავალ პრეტემპორადაზეც დიდი ფულის დახარჯვას აპირებს. სერესო შემადგენლობის გაძლიერებას სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნევს. ამ მიზნით, მან **ლუჩო გონსალესისა** და **დიეგოს** გადაბირება გადაწყვიტა. სენიორ სერესოს კარგად მოეხსენება, რომ ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად ასპარეზობისთვის სუსტი რგოლების გაძლიერებაა საჭირო. მომავალი სეზონიდან "ატლეტიკოს" დაცვაში **ჰეიტინგა** და **უიფალუში** ითამაშებენ. ამით დაცვაში არსებული პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაიჭრება. აი, ნახევარდაცვა კი ჯერაც სერიოზულ გაძლიერებას საჭიროებს. მადრიდელები მიიჩნევენ, რომ ლუჩო გონსალესი და დიეგო კლუბს კარგად შეეწყობიან და დიდ წარმატებებს მიაღწევენ.

სერესოს ემისრები "პორტუსა" და "ვერდერის" მესვეურებს უკვე დაუკავშირდნენ, მაგრამ ურთიერთობის პირველივე დღეს სერიოზული პრობლემა წარმოიქმნა. "ატლეტიკო" თითოეულ ფეხბურთელში 18 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, თუმცა პორტუგალიელთა და გერმანელთა მადა გაცილებით დიდია. "პორტუ" არგენტინელი ლეგიონერის ნაცვლად 25 მილიონს ითხოვს, ბრემენელები კი აცხადებენ, რომ დიეგოს 30 მილიონ ევროზე იაფად არ გაყიდიან. ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობაა, მაგრამ ესპანელებს ტრანსფერების გაჩარხვის ჩინებული შანსი აქვთ. საქმე ის არის, რომ ორივე ფეხბურთელს თავიანთი კლუბებიდან წასვლა სურთ. 27 წლის ლუჩო გონსალესი მიიჩნევს, რომ "პორტუში" გატარებულმა სამმა სეზონმა დიდი გამოცდილება და ცოდნა შესძინა, თუმცა წინსვლისთვის ახლა წამყვან საფეხბურთო ლიგაში გადაბარგებაა საჭირო. არგენტინელისთვის პრიმერა დივიზიონი და "ატლეტიკო" სავსებით მისაღები ვარიანტია. რაც შეეხება, დიეგოს, ცნობილია, რომ მას "რეალი" იწვევდა, მაგრამ **პრედრაგ მიატოვიჩს** დიდი ხანია, "ვერდერის" ოფისში აღარ დაურეკავს. ბრაზილიელი შექმნილ სიტუაციას პრაგმატულად აფასებს. დიეგო ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხს ამჯობინებს, ყოველ შემთხვევაში, "დიარიო ასი" გვარწმუნებს, რომ ბრემენელთა ვარსკვლავი "ატლეტიკოს" წინადადებით აღფრთოვანებული დარჩა. გასათვალისწინებელია, გერმანელი საფეხბურთო ჟურნალისტების პროგნოზიც. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ "ვერდერი" დიეგოს 20 მილიონ ევროდაც შეელევა.

აღსანიშნავია, რომ ლუჩო გონსალესმა და დიეგომ 2005/06 წლების სეზონი "პორტუში" ერთად გაატარეს. ლუჩო პორტუგალიელი გულშემატკივრების კერპად იქცა. დიეგოს კი გუნდის დატოვება მალე მოუხდა. სამხრეთამერიკელს მთავარ მწვრთნელთან, **კო ადრიაანსესთან** უთანხმოება მოუვიდა და "ვერდერში" გადაბარგდა. მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ არგენტინელისა და ბრაზიელის ტანდემი "ატლეტიკოს" უდიდეს წარმატებებს მოუტანს.

ილია **ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# სამნი მეორე ბუნდესლიგიდან

## ლიოვი ნოივილსა და ოდონკორს ვერ შეელია, სამაგიეროდ ჰილდებრანდის გამოძახება ზედმეტად მიიჩნია...


იოახიმ ლიოვი

გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** 26-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. მასში ორი დებიუტანტია. 19 წლის გარემარბი **მარკო მარინი** და 23 წლის მეკარე **რენე ადლერი**. ეს უკანასკნელი **ტიმო ჰილდებრანდის** შემცვლელად გამოიძახეს. განაცხადშია ბეტისელი **დავიდ ოდონკორი**. მან ესპანეთში უსახური სეზონი ჩაატარა, მაგრამ მწვრთნელი მაინც ენდო. ლიოვი ვერც ვეტერან თავდამსხმელ **ოლივერ ნოივილს** შეელია. ნოივილი და მარინი მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ვარსკვლავები არიან. მათ გლადბახელთა ალზევებაში ლომის წვლილი შეიტანეს. ლიოვმა მეორე ბუნდესლიგიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოიძახა - კიოლნელი თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი**. გლადბახის "ბორუსიის" დარად, გაისად "კიოლნიც" უმაღლეს დივიზიონში იასპარეზებს.

ადლერი გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა გოლკიპერია. ის ევროპის ჩემპიონატზე მესამე ნომრად გაემგზავრება. პირველი **იენს ლემანი** იქნება, ხოლო მეორე - **რობერტ ენკე**. ორი წლის წინათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, გერმანელთა მესამე მეკარე ტიმო ჰილდებრანდი იყო. მას "ვალენსიაში" მძიმე სეზონი ჰქონდა. ამიტომ ლიოვმა ადლერის გამოძახება გადაწყვიტა. როგორც აღვნიშნეთ, გერმანელთა დღევანდელ სიაში 26 ფეხბურთელია. ნაკრების ხელმძღვანელობა სამ ზედმეტ მოთამაშეს ესპანური შეკრების შემდეგ დაასახელებს. ორშაბათს ბუნდესნაკრები მალიორკაში მიემგზავრება. მწვრთნელებს მოსაფიქრებლად დრო 28 მაისამდე აქვთ.

ევროპის პირველობაზე, გერმანია B ჯგუფში ითამაშებს. მისი მეტოქეები იქნებიან თანამასპინძელი ავსტრია, ხორვატია და პოლონეთი. სიმბოლური იყო, რომ ბუნდესნაკრების თავკაცმა შემადგენლობა მაღალმთიან საკურორტო ქალაქ ცუგშპიტცეში დაასახელა. ამ ქალაქიდან ავსტრია ხელის გულივით მოსჩანს. პოლონელებს გული რეჩხს უზამს, როდესაც გერმანელთა სიაში ნოივილისა და ოდონკორის გვარებს ამოიკითხავენ. ორი წლის წინანდელ მუნდიალზე, ჯგუფურ ტურნირში, პოლონეთი ბუნდესნაკრებთან 0:0-ს თამაშობდა. მსაჯისგან დამატებულ დროში, ოდონკორმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი ყველას ნოივილმა დაასწრო და ერთადერთი გოლი გაიტანა.

დასასრულს, გერმანელთა გაფართოებული შემადგენლობა:

**მეკარეები** - იენს ლემანი (არსენალი), რობერტ ენკე (ჰანოვერი), რენე ადლერი (ლევერკუზენი);

**მცველები** - კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), იარსელ იანსენი (ბაიერნი), კლემენს ფრიტცი (ვერდერი), ჰაიკო ვესტერმანი (შალკე);

**ნახევარმცველები** - მიხაელ ბალაკი (ჩელსი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი), ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), ჯერმეინ ჯოუნსი (შალკე), დავი ოდონკორი (ბეტისი), მარკო მარინი (ბორუსია, მ.);

**თავდამსხმელი** - მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი), მარიო გომესი (შტუტგარტი), კევინ კურანი (შალკე), ოლივერ ნოივილი (ბორუსია, მ.), პატრიკ ჰელმესი (კიოლნი).

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXVIII ტური

# ბრძოლა დანდობის გარეშე

## ვინ დარჩება პრიმერა დივიზიონში

**დღეს**

მურსია-ბარსელონა

**ხვალ**

ხეტაფე-ბეტისი
რეკრეატივო-ვალიადოლიდი
ვალენსია-ატლეტიკო
მალიორკა-სარაგოსა
რასინგი-ოსასუნა
რეალი-ლევანტე
ესპანიოლი-ალმერია
დეპორტივო-ვილიარეალი
სევილია-ბილბაო

დღეს ფრენკ რაიკაარდი "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელის რანგში ბოლო შეხვედრას ჩაატარებს. ჰოლანდიელ სპეციალისტს ზედიზედ მეორე სეზონის ჩაგდება არ აპატიეს. "მურსიასთან" გამარჯვება კატალონიელებს ბევრს არაფერს შესძენს, თუმცა თუ "ბარსელონა" ამ თამაშს არ მოიგებს, შესაძლოა, მესამე ადგილიც დაკარგოს. რა თქმა უნდა, გემახსოვრებათ, რომ წინა ტურის შეხვედრაში "კამპ ნოუზე" "ტრაგიკული" შეხვედრა შედგა. ეს, პირველ რიგში, ისევ და ისევ რაიკაარდის ტრაგედია გახლდათ. მისმა ბიჭებმა "მალიორკასთან" 2:3 წააგეს. ჰოლანდიელი "კამპ ნოუდან" დამცირებული და შერცხვენილი წავიდა. ეს ხომ მისი ბოლო საშინაო დაპირისპირება იყო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რომ რაიკაარდს ბოლო თამაშის მოგება უნდა. მურსიაში ის შესუსტებული შემადგენლობით წავიდა.


დღეს ფრანკ რაიკაარდი ბარსელონის მწვრთნელის რანგში უკანასკნელ მატჩს ჩაატარებს

დღევანდელ მატჩში **დეკუ** და **რაფა** მარკესი ვერ იასპარეზებენ. ორივე მათგანს ტრავმა აწუხებს. პორტუგალიელი ტერფს იტკივებს. მექსიკელს კი ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. კატალონიელთა განაცხადში შემდეგი ფეხბურთელები მოხვდნენ: **ვალდესი, პინტო, ჩავი, ესკერო, პუიოლი, ოლეგერი, კრკიჩი, ეტოო, მესი, აბიდალი, ტურამი, ანრი, ძამბროტა, გუდიონსენი, ჯოვანი, ფალი, რუედა.**

ბოლო ტურში ყველაზე დიდი ინტრიგა აუტსაიდერთა შეხვედრებს ექნება. "სარაგოსა" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ "მალიორკას" გასვლითი ორთაბრძოლა მოუგოს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამი ქულა ბალეარელებისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს. **გრეგორიო მანსანოს** შეგირდებს უეფას თასის საგზურის მოპოვების რეალური შანსი აქვთ. სასიხარულოა, რომ უპრინციპულეს დაპირისპირებას ორივე გუნდი საუკეთესო შემადგენლობით ხვდება. სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს. არაგონელები ითვალისწინებენ, რომ ამ თამაშის შედეგზე პრიმიერა დივიზიონში დარჩენის ბედია დამოკიდებული. ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და გულშემატკივრებისთვის სამი ბოინგი საკუთარი ხარჯებით დაიქირავა. ჩარტერული რეისებით პალმა დე მალიორკაში 700-ზე მეტ ინჩასს ჩაიყვანენ. ვინც ამ თვითმფრინავებში ვერ მოხვდა, ბალეარებისკენ საკუთარი ფულით გაემგზავრება. მთლიანობაში სტუმართა გუნდს კუნძულელებმა 2800 ბილეთი გამოუყვეს.

აუტსაიდერთა ბრძოლაში ფრიად უჩვეულო სიტუაციაა შექმნილი. აბსოლუტურად ყველა გუნდი მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული. ვინც გაიმარჯვებს, პრიმერა დივიზიონში დარჩება. ამ ფაქტს ის განაპირობებს, რომ "რეკრეატივო" და "ვალიადოლიდი" ერთმანეთს ხვდებიან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხვალ საკმაოდ დაძაბული და უშელავათო ორთაბრძოლები გაიმართება. გადარჩენისთვის ბრძოლა ყოველთვის დაუნდობელია...

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 37 | 26 | 4 | 7 | 79-34 | 82 |
| 2. ვილიარეალი | 37 | 23 | 5 | 9 | 61-40 | 74 |
| 3. ბარსელონა | 37 | 18 | 10 | 9 | 71-40 | 64 |
| 4. ატლეტიკო | 37 | 19 | 7 | 11 | 65-44 | 64 |
| 5. სევილია | 37 | 19 | 4 | 14 | 71-48 | 61 |
| 6. რასინგი | 37 | 16 | 9 | 12 | 41-41 | 57 |
| 7. მალიორკა | 37 | 14 | 14 | 9 | 66-52 | 56 |
| 8. დეპორტივო | 37 | 15 | 7 | 15 | 46-45 | 52 |
| 9. ბილბაო | 37 | 13 | 11 | 13 | 39-39 | 50 |
| 10. ალმერია | 37 | 13 | 10 | 14 | 39-44 | 49 |
| 11. ესპანიოლი | 37 | 13 | 9 | 15 | 42-50 | 48 |
| 12. ვალენსია | 37 | 14 | 6 | 17 | 45-61 | 48 |
| 13. ბეტისი | 37 | 12 | 10 | 15 | 44-50 | 46 |
| 14. ხეტაფე | 37 | 12 | 10 | 15 | 41-47 | 46 |
| 15. ვალიადოლიდი | 37 | 11 | 11 | 15 | 41-56 | 44 |
| 16. ოსასუნა | 37 | 12 | 7 | 18 | 37-43 | 43 |
| 17. რეკრეატივო | 37 | 11 | 10 | 16 | 39-59 | 43 |
| 18. სარაგოსა | 37 | 10 | 12 | 15 | 48-58 | 42 |
| 19. მურსია | 37 | 7 | 9 | 21 | 33-60 | 30 |
| 20. ლევანტე | 37 | 7 | 5 | 25 | 31-70 | 26 |

ტრანსფერი

# ბარსამ პალასიო იყიდა

კატალონიელებმა მომავალი სეზონისთვის ახალი ფეხბურთელი შეიძინეს. ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, **ჩიკი ბეგირისტაინმა "ბოკა ხუნიორსიდან" როდრიგო პალასიო** გადაიბირა. "ელ მუნდოს" თუ დავუჯერებთ, "ბარსამ" "სევილიასა" და "ჩელსის" უშელავათო ბრძოლა მოუგო. **ჟოან ლაპორტამ** პალასიოს სანაცვლოდ 17 მილიონი გადაიხადა. ლონდონელები კი ბაირესულ გრანდს 21 მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ როდრიგომ კლუბის ხელმძღვანელობას კატეგორიულად დაუყენა საკითხი - მხოლოდ "კამპ ნოუზე" მინდა თამაშიო. არგენტინელებსაც რაღა დარჩენოდათ, 4 მილიონზე უარი თქვეს და ფეხბურთელს ნატვრა აუსრულეს. კონტრაქტის მიხედვით, პალასიო "ბარსაში" ოთხ სეზონს გაატარებს. აღსანიშნავია, რომ ლაპორტას მისი შეძენა **იოჰან კრუიფმა** ურჩია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბრაზილია

# ამერიკაში, რონალდინიოსა და ადრიანოს გარეშე


კარლოს დუნგა

ბრაზილიის ნაკრები ამერიკულ ტურნეში მიემგზავრება. პენტაკამპეონები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ისინი 31 მაისს, სიეტლში, კანადის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან, ხოლო 6 ივნისს, მასაჩუსეტში, ვენესუელის ნაკრებს. **კარლოს დუნგამ** განაცხადში შეიყვანა **კაკა** და **რობინიო**. მსოფლიოს გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელმა "მილანის" შემადგენლობაში 17 გოლი შეაგდო. მის გუნდს სავალალო სეზონი ჰქონდა, მაგრამ კაკამ მაინც შთამბეჭდავად იასპარეზა. რობინიოს ანგარიშზე 11 გოლია. ის "რეალის" შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონი გახდა.

განაცხადშია **ალეშანდრე პატო**. სიაში ვერ მოხვდა **რონალდინიო**. ვერც **ადრიანო**, თუმცა დუნგამ განაცხადა, რომ ადრიანოს შესარჩევი მატჩებისთვის აუცილებლად გამიძახებს. რონალდინიოსთან დაკავშირებით მას ასეთი პირობა არ დაუდევს. რაც შეეხება შესარჩევ თამაშებს, 15 ივნისს ბრაზილია პარაგვაის (სტუმრად) შეხვდება, ხოლო 18 ივნისს - არგენტინას (შინ). სამხრეთამერიკული სუპერკლასიკოს ბელუ ორიზონტე უმასპინძლებს. ბრაზილიელთა შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები** - დიეგო ალვეში (ალმერია), დონი (რომა), ჟულიო სეზარი (ინტერი);

**მცველები** - დანიელ ალვეში (სევილია), ალექს კოშტა (ჩელსი), ჟილბერტო (ჰერტა), ჟუანი (რომა), კლებერი (სანტოსი), ლუსიო (ბაიერნი), ლუიზაო (ბენფიკა), მაიკონი (ინტერი), მარსელო (რეალი);

**ნახევარმცველები** - ანდერსონი (მანჩესტერ იუნაიტედი), დიეგო (ვერდერი), ელანო (მანჩესტერ სიტი), ჟოსუე (ვოლფსბურგი), კაკა (მილანი), მინეირო (ჰერტა), ჟილბერტო სილვა (არსენალი);

**თავდამსხმელები** - ადრიანო (სან პაულუ), ჟულიო ბაპტიშტა (რეალი), ლუის ფაბიანო (სევილია), ალეშანდრე პატო (მილანი), რობინიო (რეალი), რაფაელ სობისი (რეალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ჟაზგების გათამაშება. ფინალი

# ამერიდან იმერისკენ

**ზესტაფონი–ამერი**

**2:1**

16.05. თბილისი. ეროვნული
20 000 მაყურებელი

1:0 რ. ონიანი (55. ვიეირას პასით), 2:0 ბ. გოცირიძე (60. საჯაიას პასით), 2:1 ტატანაშვილი (88. ჩიკვილაძის პასით)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე – ლობჟანიძე, საჯაია, თოდუა, აკუასაგა – ნ. კვასხვაძე (70. დაუშვილი), კესანი, ხიდეშელი, რ. ონიანი, ვიეირა (84. იონანიძე) – ბ. გოცირიძე (79. შ. ლონლაძე)

*სათადარიგოები:* ჭანტურია, სანტოსი, გელაშვილი, ბიტოო

ამერი: ნადირაშვილი – მემარნიშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (63. ტატანაშვილი) – დოლიძე (80. ჩიმაკაძე), დიდავა, დობროვოლსკი, შალამბერიძე (59. ა. ალავიძე), დეკანოსიძე – რ. გოცირიძე

*სათადარიგოები:* ქვაჩახია, მესხი, მჭედლიშვილი, სილაგავა

გაფრთხილება: კესანი (39), დიდავა (65), ხიდეშელი (69), აკუასაგა (76), დობროვოლსკი (85), საჯაია (90)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი



ზესტაფონს" თავის არსებობის ისტორიაში ჯერ არ გაუცდენია თასის ფინალი, თუმცა სანუკვარი ჯილდო მეოთხე ცდაზელა მოიპოვა. როგორ მივიდნენ ფეროელები ფინალამდე, ეს ცალკე თემაა, უშუალოდ ფინალში კი **თემურ მახარაძის** გუნდის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. "ზესტაფონმა" მეორე ტაიმში მეტოქე პირწმინდად დაჯაბნა და ახლად დამზადებულ ჯილდოს დამსახურებულად დაეუფლა.

"ამერი" ამ სეზონში რომ ძველებურად ველარ თამაშობს, არაერთხელ გამოჩნდა. მართალია, გუნდმა სეზონის მეორე ნახევარი შედარებით მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ პრობლემები პრობლემებად დარჩა. ბუნებრივია, ამის თაობაზე კლუბის მესვეურები უფრო ღრმად იმსჯელებენ, უცხო თვალით კი ყველაზე კარგად საკადრო პრობლემები ჩანს. "ამერს" თითქმის ყველა რგოლში აქვს შემსრულებლების საკითხი მოსაგვარებელი. შარშანდელი თასის მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს **ქვაჩახიამ, ბოლქვაძემ, წინამძღვრიშვილმა, დავითაშვილმა, ჯელაძემ**... მათი ნაწილი გუნდში აღარაა, ნაწილს კი სხვადასხვა მიზეზების გამო, გუშინ არ უთამაშია.

გასულ ზაფხულს წარმოებულმა საკადრო პოლიტიკამ ვერ გაამართლა. "ამერის" ერთ ახალწვეულზეც კი ვერ ვიტყვით, რომ გუნდი გააძლიერა. მწვრთნელის აზრს, ცხადია, პატივს ვცემთ, მაგრამ მაინც ყველასთვის გაუგებარია, რატომ ვერ ელირსა გლდანელთა საუკეთესო ბომბარდირი **დიმიტრი ტატანაშვილი** ძირითადში თამაშს. გუშინაც ასე იყო, როგორც ხშირად ხდება ხოლმე – მეორე ტაიმის შუაწელამდე "ამერის" წინა ხაზი უნიათო იყო, ტატანაშვილის მოედანზე შესვლამ კი მისი გუნდი გააცოცხლა. დიმამ რამდენიმეჯერ გაამწვავა თამაში მეტოქის საჯარიმოში, მატჩის მიწურულს ულამაზესი გოლი გაიტანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

შეხვედრის პირველი ტაიმი მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. შესვენებამდე რეალური საგოლე მომენტი არ გვინახავს, მაგრამ თამაში მაინც სანახაობრივი იყო. ფინალისტებს იდენტური ტაქტიკა ჰქონდათ, ოთხი მცველით, ხალხმრავალი ცენტრითა და ერთი გამოკვეთილი ფორვარდით.

"ზესტაფონის" უპირატესობა კი მეტწილად ფლანგელების აქტიურობამ განაპირობა. თუკი ამერელთაგან მხოლოდ ტატანაშვილისა და მებრძოლი საყრდენების გამორჩევა შეიძლება, "ზესტაფონის" შემადგენლობიდან თითქმის ყველამ მაღალ დონეზე ითამაშა – მცველები საკუთარ ფუნქციებსაც ხეირიანად ასრულებდნენ და წინაც შედეგიანად მიდიოდნენ, **ონიანი, კესანი, ვიეირა** და **გოცირიძე** კი მეტოქე მცველებს ხშირად უქმნიდნენ დისკომფორტს. კიდევ ერთი, შესანიშნავი იყო **ბექა გოცირიძე**, რომელმაც ბლომად შავი საქმეც შეასრულა და ცენტრფორვარდის პოზიცაზეც ეფექტური იყო. მეკარე **კვასხვაძეს** ბევრი საქმე არ ჰქონია, მაგრამ დამაჯერებლად კი იდგა.

შეხვედრის ბედი ხუთწუთიან მონაკვეთში გადაწყდა. პირველი გოლისას ონიანმა "ამერის" დაცვის უყურადღებობით ისარგებლა, მეორე ბურთი კი **ნადირაშვილის** შეცდომას მოჰყვა.





**1** ნიკა კვასხვაძემ ჩააწოდა, ვიეირამ კარს ახლო მანძილიდან ააცილა.

**2** დეკანოსიძემ შორიდან არცთუ სახიფათოდ დაარტყა, როინ კვასხვაძე ბურთს იოლად დაეუფლა.

**32** ბექა გოცირიძის ჩაწოდებულს ვიეირა ალბათ, კარში გადაგზავნიდა, მაგრამ ბურთი დოლიძემ ჩაჭრა.

**41** დიდავას დარტყმულ ჯარიმას კვასხვაძე ადვილად გაუმკლავდა.

**55**  **1:0** - ვიეირამ ჩააწოდა, როინ ონიანმა ახლო მანძილიდან თავით გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

მახარაძემ ჩვეულებას არ უღალატა და მატჩის მინურულს დაცვა გააძლიერა. "ამერმა" შტურმისმაგვარი მოაწყო, მაგრამ ტატანაშვილის გოლის გარდა, ნაღდი საგოლე მომენტი **გიორგი ჩიხრაძის** ფეხბურთელებს არ ჰქონიათ.

მოკლედ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ზესტაფონელი გულშემატკივრების სამწლიან იმედგაცრუებას წერტილი დაესვა და ფეროელთა ქალაქშიც დადგა ზეიმის დრო. "ზესტაფონს" პირველ ქართული ჯილდოს ვულოცავთ, ამასთანმ ერთად კი გაძლიერებასა და შარშანდელზე უფრო წარმატებულ ევროასპარეზს ვუსურვებთ.

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში ისევ "ზესტაფონი"-"ამერია", ოღონდ უკვე ალარაფრისმთქმელი. გლდანელები ინტერტოტოზე უარს ამბობენ (ამ ტურნირზე რუსთავის „ოლიმპი ითამაშებს") და ამ ზაფხულს ევროტურნირებისგან დაისვენებენ, იმერლები კი უეფას თასისთვის მოემზადებიან.

ფეხბურთელებზე არანაკლებ შექებას მატჩის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** იმსახურებს, რომელმაც თავისი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა და თავისი საქმე, ფაქტობრივად, უნაკლოდ შეასრულა.

პროფლიგამ კი საორგანიზაციო საქმეს ამჯერადაც რიგიანად მოაბა თავი და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ეროვნულ სტადიონზე საფეხბურთო ზეიმი ყოფილიყო. ეს კი ქომაგთა გარეშე ვერ მოხერხდებოდა – გუშინ ეროვნულ სტადიონზე შიდაქართული დაპირისპირებისთვის უჩვეულოდ ბევრი მაყურებელი შეიკრიბა.

პრესკონფერენცია

## თემურ მახარაძე:

"მთელი ზესტაფონი ბედნიერია. როგორც იქნა, თასი ჩვენმა გუნდმა მოიპოვა. მოხარული ვარ, რომ ეს ღირსეულ მეტოქესთან ჭიდილში შევძელით. დიდი მადლობა ქომაგებს, უკანდასახევი გზა აღარ გვქონდა, კიდევ ერთი ფინალი ცოცხალი თავით აღარ უნდა წაგვეგო..."

## გიორგი ჩიხრაძე:

"მეტოქეს გამარჯვებას მთელი გულით ვულოცავ. სამწუხაროდ, უპატიებელი შეცდომები დავუშვით და ამჯერად უტიტულოდ დავრჩით. ორი მილებული გოლის შემდეგ, თამაშის გადარჩენა ურთულესი საქმე იყო. მარცხის მიუხედავად, ჩვენს ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს თავდადებისთვის მადლობას ვუხდი".

**პოლ კესანი (ზესტაფონი):**

- უზომოდ ბედნიერი ვარ, მეც და მთელი ჩვენი გუნდი. ქართულ კარიერაში პირველი ტიტული მოვიპოვე. ჩვენ ეს თასი დავიმსახურეთ... გაბონში ასპარეზობისას ერთხელ ჩემპიონი გავხდი და ერთხელ თასი მაქვს მოპოვებული. ქართული ტიტული ჩემთვის განსაკუთრებულია.

**სევასტი თოდუა (ზესტაფონი):**

- თასი ჩვენია და ყველანი უზომოდ ბედნიერები ვართ. ორმაგად ბედნიერი იმით ვარ, რომ ჩვენი ქომაგები გავახარეთ. ეს „ამერი" რაღაცნაირი გუნდია, მთელი თამაშის განმავლობაში ერთხელ დაგვირტყეს კარში და ისიც გაგვიტანეს.

**ბექა გოცირიძე (ზესტაფონი):**

- მეოთხე ცდაზე თასი ჩვენია. ვფიქრობ, ეს ტიტული დავიმსახურეთ. გამარჯვებას ზესტაფონელ გულშემატკივარს ვუძღვნი.

**როინ ონიანი (ზესტაფონი):**

- თასი ავიღეთ, მაგრამ ისე ვარ გახარებული ამ ტიტულის მოპოვება ჯერ კიდევ ბოლომდე არ მაქვს გათავისებული. ეს ჩემთვის მეოთხე თასია. საოცარია, მაგრამ ერთი თასის ფინალი სწორედ ჩემს ახლანდელ გუნდს, „ზესტაფონს" მოვუგეთ... შარშან ფინალი არ უნდა წაგვეგო, მაგრამ დავმარცხდით და დღეს რევანში ავიღეთ.

**არჩილ ალავიძე (ამერი):**

- ყველაფერი გავაკეთეთ თამაში რომ მოგვეგო, მაგრამ ჩვენი დღე არ იყო და წავაგეთ. „ზესტაფონს" ვულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ.

**გიორგი დავითნიძე (ამერი):**

- საინტერესო და დაძაბული თამაში იყო. ვფიქრობ, არ უნდა წაგვეგო, მაგრამ ფეხბურთია და რას ვიზამთ?

**გრიგოლ დოლიძე (ამერი):**

- დასანანია რომ წავაგეთ. ორი მოულოდნელი ბურთი გაგვიტანეს და დავმარცხდით, ჩემი აზრით, წაგებას არ ვიმსახურებდით. ანგარიშში სხვაობა ცოტა ადრე რომ შეგვემცირებინა, თამაშის გადარჩენას შევძლებდით. დამატებით დროში ან პენალტების სერიაში ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
**დავით ცაბაძე**






**60**  **2:0** – საჯაიამ ნადირაშვილს დაასწრო და ცარიელი კარის წინ მდგომ ბექა გოცირიძეს დაუგორა.

**73** დოლიძემ ორი მეურვე ჩამოიცილა და მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

**74** ონიანის მოჭრილი დარტყმა "ამერის" მეკარემ მოიგერია.

**88**  **2:1** –ჩიკვილაძემ ბურთი "ზესტაფონის" საჯარიმოში ჩაჰკიდა, ტატანაშვილმა ყველას დაასწრო და ეფექტური თავური გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ელადიდან წარმატებით დაბრუნდნენ


კოკა ბუკია


საქართველოს გუნდი

რამდენიმე დღეა, საბერძნეთიდან დაბრუნდა ქართველ მოჭადრაკეთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ქალაქ ჰალკიდიკში ევროპის პირველ სასკოლო ჩემპიონატზე იასპარეზა. სულ 11 მოჭადრაკე - 6 ვაჟი და 5 გოგო გაემგზავრა საბერძნეთში. აქედან დიდი ნაწილი საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის წევრები არიან. უფრო სწორად ამ საჭადრაკო სკოლაში იმაღლებენ ოსტატობას. შეგახსენებთ, აღნიშნული სკოლა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეშია განთავსებული და მისი ხელმძღვანელი ქალბატონი **ნანა ალექსანდრიაა**. რამდენიმე მოჭადრაკე ფოთიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდანაც დაიმატეს. დელეგაციას **დავით გურგენიძე** ხელმძღვანელობდა, მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გოგი მაჭარაშვილი** ეხმარებოდა.

ევროპის სასკოლო ჩემპიონატი პირველად ჩატარდა და მთლად დახვეწილი სატურნირო გეგმით ვერ გამოირჩეოდა, მაგრამ სხვა დანარჩენში სასაყვედურო არავის არაფერი ჰქონდა, - აღნიშნა დავით გურგენიძემ. გუშინ, კლუბ ნტნ-ში მოჭადრაკეებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და ქალბატონმა ნანა ალექსანდრიამ მოჭადრაკეებს წარმატება მიულოცა; სამახსოვროდ კი ყველა მათგანს საკუთარი წიგნები გადასცა.

ჩემპიონატი ჩატარდა როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური პრინციპით. სულ 21 გუნდი მონაწილეობდა, თითოეულ გუნდში 5 მოჭადრაკე ირიცხებოდა. შეჯიბრი რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა და ინდივიდუალური შედეგების გათვალისწინებით ითვლებოდა გუნდური ქულები. საქართველომ ორი გუნდი წარადგინა და საბედნიეროდ, წარმატებაც მოიპოვეს: პირველი გუნდი ჩემპიონი გახდა 34 ქულით და 3.5 ქულით გაუსწრო რუსულ „თათარსტან-ვოლგას". მესამეზეც რუსული კლუბი „სოკოლი" გავიდა 30 ქულით, ხოლო მეოთხეზე საქართველოს მეორე გუნდი აღმოჩნდა 29 ქულით.

პირად პირველობაში ქართველებმა ოქროს ორი და ვერცხლის ორი მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ **ნანი უნაფქოშვილი** და **ნოდარ ლორთქიფანიძე**. ნანიმ 13-წლამდელთა შორის ცხრიდან 8 ქულა დააგროვა, ხოლო ნოდარმა 15-წლამდელთა შორის გაიმარჯვა 7.5 ქულით. 13-წლამდელ გოგონებში 6.5 ქულა დააგროვა **თეკლა მაჭარაშვილმა** და მეორე ადგილზე აღმოჩნდა, **ანა კუჭავამ** კი 6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო და კოეფიციენტით ერგო მეოთხე ადგილი.

ამათი წარმატება, ასე თუ ისე, მოსალოდნელი გახლდათ, მაგრამ 7 წლის **კოკა ბუკიას** შესანიშნავი თამაში და ვერცხლის მედალი აშკარად სასიამოვნო სიურპრიზი გახდა ჩვენებურთათვის. ასაკიდან გამომდინარე, კოკას საერთაშორისო ასპარეზზე თამაში პირველად უწევდა და უცხო გარემოში მოხვედრა მისთვის პირველ დღეებში მცირე შოკის მომგვრელიც კი გამხდარა - პირველ პარტიაში მომავალ ჩემპიონთა თამაშისას ნერვებმა უმტყუნა და ცრემლიც კი წამოსვლია - მეტოქე ნელა რატომ თამაშობსო. არადა, ბერძენ ყმაწვილს წესი არ დაურღვევია. ამის შემდეგ კოკამ ყველაფერს ალღო აუღო და ზედიზედ 8 პარტია მოიგო; მისი ბრწყინვალე თამაში გახდა საქართველოს პირველი გუნდის გამარჯვების მთავარ პირობად...

აშკარად უკეთეს შედეგს ველოდით ფოთელი **ნინო ანაკიძისგან**, რომელიც 15 წლის გოგონებში ასპარეზობდა, - ნინომ 6 ქულა დააგროვა ცხრიდან და მეხუთე ადგილზე გავიდა; და ეს მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა.

მედლის შანსი გვქონდა 9 წლის ვაჟებში, სადაც **სანდრო ურდულაშვილი** თამაშობდა. ბოლო ტურში სანდროს ყაიმიც ჰყოფნიდა მესამე ადგილისთვის, მოგებით კი მეორეზე გადიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, წააგო და მეოთხეზე გავიდა.

გარდა ამ წარმატებებისა, ქართველებმა, კერძოდ **ნოდარ ლორთქიფანიძემ**, რომელიც ბათუმელია (მწვრთნელი ლეონიდ ნეჟრონოვი) ოქროს მედალი აიღო საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაშიც. ტურნირის ორგანიზატორი ბატონი დავით გურგენიძე გახლდათ, რომელიც ორი წელიწადია მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების მიმდინარეობისას იგივე რანგის ჩემპიონატებს მართავს კომპოზიციების ამოხსნაში. აქვე დავძენთ, რომ ბატონი დავითი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია საჭადრაკო კომპოზიციების შედგენაში.

ოქრო-ვერცხლთა ბრწყინვალება კარგია, მაგრამ კიდევ მეტად გასახარი ის ფაქტია, რომ ნანი უნაფქოშვილმა და ნოდარ ლორთქიფანიძემ 2008 წლის ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების საგზური მიიღეს. ორგანიზატორები სასტუმროსა და კვებას უზრუნველჰყოფენ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საზრუნავი კი მხოლოდ მგზავრობის ხარჯებია, რაც, დამეთანხმებით, არცთუ ძვირი რამ გახლავთ. ასეთი პატივი აღნიშნულმა ტურნირმა ფიდეს ერთ-ერთი ჩინოსნისა და სასკოლო ჩემპიონატის ორგანიზატორის ბატონ კოსტეევის დამსახურებაა. ეჭვი არაა, რომ მსგავსი შეღავათის გამო მომავალ წელს ტურნირი კიდევ უფრო მასშტაბური და ძლიერი იქნება. იმედია, ქართველები არც გაისად შეირცხვენენ თავს. ბოლოს იმაზეც ვიტყვით, ვინც ქართული დელეგაციის საბერძნეთში გამგზავრება ფინანსურად უზრუნველჰყო: საჭირო თანხა ქალაქ თბილისის მერიამ გამოძებნა, რისთვისაც დელეგაციის ყველა წევრისგან გულითადი მადლობა მიიღეს...

**ზვიად შათირიშვილი**


## გრძელდება ხელმოწერა "ლელოზე" 2008 წლის მეორე ნახევრისთვის

ხელმოწერას გააფორმებენ სააგენტოები: "საქპრესა", "მაცნე", "პლანეტაფორტე", "ინფოსერვისი", "პრესექსპრესი", პგს, ელვა-სერვისი"...

სპორტულ ფედერაციებს, სპორტულ სკოლებს, კლუბებს და სხვა ორგანიზაციებს ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

"ლელოს" გავრცელების სამსახური


# ბენიძე, გოგონა დღეს გაირკვევა

დასრულდა საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი, მაგრამ ბოლო წერტილი კიდევ დასასმელია: გოგონათა შორის **მარიამ დანელიამ** და **მერი ჟორჟოლიანმა** 7.5 ქულა მოაგროვეს და წესის თანახმად, დამატებით მაჩვენებლებს უნდა გაერკვია გამარჯვებული; ამისთვის პროგრესის სისტემა შემოიღეს, თუკი აქაც თანაბრობა იქნებოდა, მაშინ პროგრესის რეგრესი უნდა დათვლილიყო. ასეთ დროს უიშვიათესია, რომ ერთნაირი მაჩვენებლები აღმოაჩნდეთ, მაგრამ ამჯერად სწორედ ასე მოხდა და დაინიშნა ორი 25-წუთიანი პარტია, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. თუმცა შეხვედრები დღეს გაიმართება. თუ აქაც ვერ ვიხილეთ გამარჯვებული, მაშინ 5-წუთიანი პარტიები გაარკვევენ უძლიერესს, აქაც ყოველ სვლაზე 10 წამი დაემატება. ბოლო შესაძლებლობა კი მოჭადრაკეებს „არმაგედონში" მიეცემათ, სადაც თეთრებს 6 წუთი აქვთ მთელ პარტიაზე, შავებს კი - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე გამოცხადდება.

ჟორჟოლიანმა შავებით **სოფო ხუციძე** დაამარცხა, დანელიამ კი **ლელა უგულავას** აჯობა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მოულოდნელად ჩაება **ფატი რიჟამაძე**. ფატიმ შავებით ნინო კეკელიძე დაამარცხა და ამით ერთი კონკურენტი ჩამოიშორა, მეორე კი - სალომე ხაჟომია „თავისით" ჩამოშორდა - **ნათია ჯალაბაძესთან** დამარცხდა. რიჟამაძე მესამე ადგილის მფლობელი გახდა.


დავით ბენიძე

ჭაბუკებში ყველაფერი გუშინვე გაირკვა: პირველ ორ დაფაზე ყაიმები დაფიქსირდა: **ლუკა პაიჭაძემ** თეთრებით ქულა **ირაკლი ჯანიაშვილს** გაუყო; **დავით ბენიძე** კი შავებით დაუზავდა **ქეთი ნანალაშვილს**. ვინაიდან კოეფიციენტი ბენიძეს უკეთესი ჰქონდა, ჩემპიონიც ის გახდა და მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება. პაიჭაძე ევროპის პირველობაზე ცდის ძალებს. მესამე ადგილზე **დავით ლომსაძე** გავიდა, რომელმაც თეთრებით **ზვიად ფაცია** დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ სამეულში სწორად პირველი სამი ფავორიტი მოხვდა, მხოლოდ განლაგება შეიცვალა: ბენიძე მესამე იყო, პაიჭაძე - პირველი, ლომსაძე კი - მესამე.

ათეულები: გოგონები: **1-2. მერი ჟორჟოლიანი, მარიამ დანელია-7.5, 3. ფატი რიჟამაძე-6, 4. სალომე ხაჟომია-5.5, 5. ნინო კეკელიძე-5.5, 6. თინათინ ბერიძე-5.5, 7. ნატო იმნაძე-5, 8. ლელა უგულავა-5, 9. ნათია ჯალაბაძე-5, 10. სოფო ხუციძე-5**

ჭაბუკები: **1. დავით ბენიძე-7, 2. ლუკა პაიჭაძე-7, 3. დავით ლომსაძე-7, 4. ირაკლი ჯანიაშვილი-6.5, 5. გიორგი ნიკოლაძე-6.5, 6. ზურაბ ჯავახაძე-6, 7. ქეთი ნანალაშვილი-6, 8. მერი არაბიძე-5.5, 9. ზვიად ფაცია-5.5, 10. დიმიტრი კვარაცხელია-5.5**

**ზვიად შათირიშვილი**

# აჭარაში სპორტის განვითარებაზე ისაუბრეს

**ამ დღეებში** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე - **დავით ნამგალაური**, სპორტის 18 სხვადასხვა სახეობის (მათ შორის ფეხბურთის, რაგბის, კალათბურთის, ხელბურთის, ძიუდოს, ჭიდაობის, ჭადრაკის, მძლეოსნობის, მშვილდოსნობის, კრივის...) ფედერაციების პრეზიდენტებთან და წარმომადგენლებთან ერთად აჭარის რეგიონს ეწვია.

სპორტული სამყაროს მესვეურები ბათუმში აჭარის სპორტის, კულტურისა და განათლების მინისტრს – **მათე ტაკიძეს** შეხვდნენ და რეგიონში არსებულ სპორტულ რეალობაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობების სამომავლო განვითარებასა და სპორტული ინფრასტრუქტურის პრობლემებზე ისაუბრეს.

დავით ნამგალაურის თქმით, მინისტრთან შეხვედრაზე საუბარი კონკრეტულ თემებზე წარიმართა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაზეც გამახვილდა ყურადღება, იყო სათამაშო სახეობებში – კალათბურთში, რაგბში და ფეხბურთში უმაღლეს ლიგებში თავის დამკვიდრება და წარმატება.


დავით ნამგალაური

აჭარის სპორტის, კულტურისა და განათლების მინისტრის განცხადებით, რეგიონის მთავრობა სრულ ინფორმაციას ფლობს არსებულ მდგომარეობაზე. სამომავლოდ კი უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება და სათანადო რეაგირებით გადაიჭრება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აჭარაში გამოიყოფა ტერიტორია რაგბის კავშირისთვის სარაგბო მოედნის ასაშენებლად. ასევე აჭარის მთავრობა უზრუნველყოფს ბათუმში საერთაშორისო სტანდარტების სტადიონის აგებას 20 000 მაყურებელზე და არენა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მძლეოსნებისათვისაც იქნება ხელმისაწვდომი.

შეთანხმდნენ იმაზეც, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება ქობულეთის სტადიონის რეაბილიტაცია. რეგიონის ხლისუფლება შესაბამისი ინვენტარით მოამარაგებს ტანვარჯიშის ფედერაციას, ასევე მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელთა გადამზადებისა და განათლების საკითხსაც, ხოლო მშვილდოსნობაში ივლისში გასამართ **იუნიორთა ევროპის თასს** ბათუმი სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*

აღმოსავლური ორთაბრძოლები. აიკიდო

# ჩემპიონატიც, ფესტივალიც...

**თბილისში, სპორტსაზოგადოება „მართვეს" დარბაზში, გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატი და ფესტივალი აიკიდოში. ორგანიზატორი საქართველოს ტომიკი-აიკიდოს ფედერაცია იყო. მონაწილეობდა აიკიდოს სხვადასხვა მიმართულების ოთხი ფედერაცია, დაახლოებით 60 სპორტსმენი. საბოლოო შედეგები ასეთია:**

**თავისუფალი კატა**

1. ზურაბ ყოლბაია/ლაშა როსტომაშვილი (ლოკომოტივი)
2. ალექსანდრე ხეროდინაშვილი/ დავით მამათელაშვილი (მე-20 სკოლა)
3. ნიკოლოზ ჯახუა/ თემურ ავსაჯანიშვილი (მე-20 სკოლა)

**რანდორი**

**ბავშვები (7-9 წ)**

1. ალექსანდრე მადიანი (ვარკეთილი)
2. არარატ საიადიანი (ვარკეთილი)
3. თორნიკე როსტიაშვილი (55-ე სკოლა) და ლევან ჩხაიძე (სოლოლაკი)

**ბავშვები (10-11 წ)**

1. ნიკოლოზ ბენდიანაშვილი (ვარკეთილი)
2. მარტინ ისაიანი (ვარკეთილი)
3. რევაზ ცქიფურიძე (55-ე სკ) და ნიკოლოზ მირიანაშვილი (55-ე სკ)

**მოზარდები (12-13 წ)**

1. ნიკოლოზ ჯახუა (მე-20 სკ)
2. საბა ჯოხაძე (ლოკომოტივი)
3. თინათინ ავსაჯანიშვილი (ლოკომოტივი) და ზაზა თოფურია (ვარკეთილი)

**უფროსები (14+)**

1. ალექსანდრე ხეროდინაშვილი (ლოკომ.)
2. ლაშა როსტომაშვილი (მე-20 სკ)
3. ლაშა ხადურიძე (ვარკეთილი) და ლევან ველიჯანაშვილი (მე-20 სკ)



საქართველოს აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო ტურნირების ორგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა **ვახტანგ სიხარულიძემ** აღნიშნა:

*„ასპარეზობის მთავარი მიზანი იყო ჩვენი ნაკრების მომზადება ევროპის პირველი ჩემპიონატისთვის, რომელიც 27-28 სექტემბერს ჩეხეთში გაიმართება. იმედია, იქიდან ხელცარიელი არ დავბრუნდებით. გამოცდილება გვაქვს, გვყავს საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონები და პრიზიორები, ორჯერ ვმონაწილეობდით მსოფლიო ჩემპიონატში".*

*ცნობისთვის, საქართველოს ჩემპიონატი აიკიდოში მეოთხედ ჩატარდა, ფესტივალი კი მესამედ.*

კალათბურთი

# ქართული პასპორტი აარონ მაილზისთვის?



აირომ მაილზი

ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია ესპანურ გაზეთ "დიარიო დე სევილიაში". მასში საუბარია "კახასოლის" უკანახაზელის **აარონ მაილზის** შესახებ, რომელიც საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის **ტაირონ ელისის** თანაკლუბელია და ესპანეთში არაევროპელებზე დაწესებული ლიმიტის გამო, ქართული პასპორტი სჭირდება.

და იქნებ, მაილზიც სჭირდება საქართველოს ნაკრებს? იქნებ, კალათბურთის ფედერაციის ინიციატივაა ამერიკელის გაქართველება?

ჯერ "დიარიო დე სევილიას" მასალას გავეცნოთ და შემდეგ ფედერაციის წარმომადგენელთა კომენტარი მოვისმინოთ.

- "კახასოლის" მწვრთნელ მანელ კომასს ორი ამერიკელი გამთამაშებელი ჰყავს – ტაირონ ელისი და აარონ მაილზი. გაისად გუნდში კიდევ ერთმა ოკეანისგაღმელმა, ელმერ ბენეტმა უნდა ითამაშოს. აქედან გამომდინარე, აარონ მაილზი გაისად შეიძლება არაევროპელებზე დაწესებულმა ლიმიტმა შეიწიროს... თუმცა, არის ერთი გამოსავალი – მაილზმა ევროპული პასპორტი უნდა აიღოს. მაგალითად, საქართველოსი...

გვაქვს რამდენიმე მაგალითი ამერიკელთა გაქართველებისა. ასეთთა შორისაა კახასოლელი ტაირონ ელისი, რომელიც მეორე წელიწადია ქართველებს ოფიციალურ მატჩებში ეხმარება. "ჯორჯიელთა" ნაკრებში თამაშობდა ვალენსიას "პამესას" უკანახაზელი შემონდ უილიამსი. იგი კავკასიელთა გუნდში 2005 წლის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

ესპანეთში კიდევ ერთი ქართული პასპორტის მქონე ამერიკელი თამაშობს – უნიკახელი მელვინ სენდერსი, რომელსაც ქართველთა ნაკრებში ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. როგორც ჩანს, ექს-საბჭოთა რესპუბლიკაში ადგილობრივი პასპორტის მიღება შედარებით გაიოლებულია, ვიდრე დასავლეთევროპულ ქვეყნებში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ თანაგუნდელი მაილზის გაქართველებით დაინტერესებულია ტაირონ ელისი, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან.

მაილზი 1983 წელსაა დაბადებული და 186 სმ. სიმაღლისაა. იგი 2005-06 წლების სეზონში "გოლდენ სტეიტ უორიორზის" ღირსებას იცავდა, NBA-ში 19 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.2 წუთში 0.8 მოხსნასა და 1.3 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. გასულ სეზონში "კახასოლში" საშუალოდ 24 წუთში 9.3 ქულა და 3.5 პასი ჰქონდა. ტაირონ ელისის ანგარიშზე კი 32 წუთში 12.9 ქულა, 2 შედეგიანი გადაცემა და 2.8 მოხსნა იყო.

კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლაშა ძიძავა** განმარტავს:

- აარონ მაილზის გაქართველებაზე კალათბურთის ფედერაციაში საუბარი არ ყოფილა. მოქალაქეობის მიღების პროცედურა იოლი ნამდვილად არ არის, ამისთვის ქვეყნის პრეზიდენტის ხელმოწერაა საჭირო. ამიტომ მაშინ, როცა ნაკრებში ტაირონ ელისის დონის კალათბურთელი გვყავს, სხვის დამატებაზე საუბარი არც არის. თანაც, ერთზე მეტი ნატურალიზებული მოთამაშის გამოყვანა არც ერთ ნაკრებს არ აქვს. ელისთან გვაქვს ურთიერთობა და დანამდვილებით ვიცი, რომ მას კვლავ სურს საქართველოს ნაკრების მაისურით თამაში და ამ ზაფხულს შეკრებაზე ველით."

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ისიც გვითხრა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** სამწვრთნელო შტაბს უახლოეს დღეებში დაასახელებს.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო

# გველეშაპების და ფენიქსების ხახაში



კოკაი-კაკურიო

მაისის ბაშოზე ქართველებს ველარ იცნობთ – **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ზედიზედ მეექვსე მარცხი იგემა, ხოლო დებიუტანტმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** – ზედიზედ მესამე.

კოკაის მეტოქე მესამე მაეგაშირა **კაკურიუ** იყო. ბობოლა სუმოისტებისგან დაჩაგრული ქართველი ერთობ მოწადინებული გავიდა დოჰიოზე, რაც კარგად გათვალა „ჟირაფად" მონათლულმა კაკურიუმ და გადამწყვეტ მომენტში ქართველს ოსტატურად გაეცალა - ჰატაკიკომიზე დაიჭირა. კოკაის 0-6 ბალანსი აქვს, დღეს ის კვლავ მასზე რანგით მაღალ სუმოისტს ხვდება, „ნითელ გველეშაპად" წოდებულ მონღოლ კომუსუბის, **ასასეკირიუს**. ბოლო 6 ბაშოს განმავლობაში ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან. კოკაის ასეთი კატასტროფული სტარტი არასოდეს ჰქონია, რაც პროფესიონალი სუმოისტი გახდა.

171 კილო **ტოიოჰიბიკისთან** ცუკიოტოშით დამარცხდა 20 წლის ტოჩინოშინი, რომელმაც დადებითი ბალანსი სულ გაანიავა – 3-3. დარჩენილი 9 ორთაბრძოლიდან ქართველმა ხუთი აუცილებლად უნდა მოიგოს, თორემ ისევ ძურიოს დივიზიონში გადაბარგდება. დღეს ტოჩინოშინი 26 წლის ოს **ბათრაზ ბარაძოვს**, იგივე **ჰაკუროძანს**, შეხვდება. მარტის ბაშოზე მათ ძურიოს დივიზიონში იჭიდავეს და **როჰოს** ძმამ იმარჯვა.

ბაშოს ორი დაუმარაცხებელილა შემორჩა, მას შემდეგ რაც უდაბლეს ელიტელს, **ტოიონოშიმას** (169 სმ.) იაპონელთა კუმირმა **ტაკამისაკარიმ** აგემა პირველი მარცხი. 6-6 მოგება დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** („თეთრი ფენიქსი") და ბულგარელ ოძეკის, **კოტოოშუს** აქვთ. მათ კვალში ხუთი რიკიში უდგას თითო მარცხით, მათ შორის კი **ასაშორიუ** („ცისფერი გველეშაპი").

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ნაცუ ბაშო**

**მაისის სუპერტურნირი**

11-25 მაისი. ტოკიო (იაპონია)

VI დღე: კოკაი (1)-კაკურიუ (3) 0:1 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (14)-ტოიოჰიბიკი (15) 0:1 (ცუკიოტოში); ჰაკუჰო (ი)-ვაკანოჰო (2) 1:0 (ცუკიდაში); ასაშორიუ (ი)-კიოკუტენჰო (2) 1:0 (იორიკირი); კაიო (ო)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0 (ჰატაკიკომი); ამა (ს)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0 (ოშიდაში); კოტოოშუ (ოძეკი)-ბარუტო (1) 1:0 (იორიკირი); კოტომიცუკი (ო)-მიაბიამა (3) 1:0 (იორიკირი); კისენოსატო (კ)-ასასეკირიუ (კ) 1:0 (სუკუინაგე); ამინიშიკი (4)-ტოჩიოძანი (5) 1:0 (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა. 6-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); კოტოოშუ (ოძეკი); 5-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); კისენოსატო (კომუსუბი); ტოიონოშიმა (მაეგაშირა 5); ტამანოშიმა (მ 13); ტოიოჰიბიკი (მ 15).

VII დღე: კოკაი (1)-ასასეკირიუ (კ); ტოჩინოშინი (14)-ჰაკუროძანი (15); ასაშორიუ (ი)-კაკურიუ (3); ჰაკუჰო (ი)-მიაბიამა (3); ჩიოტაიკაი (ო)-კოტოშოგიკუ (ს); კოტოოშუ (ო)-კისენოსატო (კ); კოტომიცუკი (ო)-ტოკიტენკუ (4); კაიო (ო)-ამა (ს); ბარუტო (1)-კიოკუტენჰო (2); ვაკანოჰო (2)-ამინიშიკი (4).

# ფოსტით მიღებული ხინკლის რეცეპტი




**გ**იორგი ცინცაძის დღიურების გამოქვეყნება სამშაბათს დავიწყეთ და დღეს დავასრულებთ. მართალია, მასთან ერთად მხოლოდ ესტონეთის ჩემპიონატის ორი ფინალი გავაანალიზეთ, მაგრამ გპირდებით, სერიის დანარჩენი მატჩების შედეგებს ოპერატიულად შეგატყობინებთ, ხოლო ბოლოს ვრცელ ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

- ერთი კვირის განმავლობაში საკალათბურთო დღიურს ვავსებდი. ჩემთვის ეს საქმე საინტერესო იყო, თუმცა მთავარი არა ავტორის, არამედ მკითხველის შეფასებაა. ძალიან მაინტერესებს, საქართველოში რას ფიქრობენ ჩემი დღიურის შესახებ.

ახლა პარასკევზე ვისაუბროთ. ოფიციალური მატჩების შემდეგ მწვრთნელი დასვენების საშუალებას გვაძლევს და ორის ნაცვლად ერთხელ გვავარჯიშებს. თუმცა დღევანდელი წვრთნა დიდხანს გაგრძელდა...

რადგან ვარჯიში 16 საათზე იწყებოდა, თავს უფლება მივეცი და 13 საათამდე ვიძინე. დილით, უფრო



სწორად, გალვიძების შემდეგ, ჩაის ვსვამ და ხან ძეხვს ვაყოლებ, ხან ყველს, ხან თაფლს... სხვათა შორის, დედაჩემმა საქართველოდან ყველი და თაფლი უხვად ჩამოიტანა, მაგრამ ახლა თითქმის გამითავდა. ყველი აქაც იყიდება, მაგრამ სამშობლოდან ჩამოტანილს სულ სხვა გემო აქვს.

როცა ტარტუში მეუღლე და დედაჩემი მყავს, არა მიჭირს, დილას, შუადღისას და სალამოს გემრიელი კერძები მელის. მარტო როცა ვიყავი, კვების რაციონი მთლიანად ყავისფერი იყო - ძალიან მიყვარს შოკოლადები, განსაკუთრებით „სნიკერსი". ხშირად შიმშილს სწორედ შოკოლადით ვიკმაყოფილებ.

დღიურის ორ გვერდზე დავწერე - იტალიური რესტორანი მიყვარს-მეთქი. ახლა ტკბილეულზე ვსაუბრობ. ისე არავინ გაიგოს, თითქოს ტრადიციულ ქართულ კერძებს პატივს არ ვცემ. ევროთასის ფინალური ოთხეულისას „ფიბა-ევროპის" ვებგვერდის ჟურნალისტმა მკითხა, ყველაზე მეტად რა საჭმელი გიყვარსო - ხინკალი-მეთქი. მან თავიდან ვერ გაიგო რაზე ვლაპარაკობდი, მაგრამ ერთ-ორ დღეში რეცეპტიც უშოვნია და ელფოსტით გამომიგზავნა.

ესტონეთში ხინკლის მირთმევის ბედნიერება არ მაქვს, სამაგიეროდ, დედაჩემი თავისი ჩამოტანილი ნიგვზით უგემრიელეს ბაჟეს ამზადებს.

ესტონურ ტრადიციულ კერძებს კი ვერაფერი გავუგე. აქაურებში მეტად პოპულარულია სისხლიანი სოსისი, მაგრამ რომ გასინჯო, ხომ უნდა დაგაინტერესოს?

დღეს ტელევიზორს ორჯერ მივუჯექი, ჯერ ვარჯიშამდე ერთი ფილმი ვნახე, შემდეგ მწვრთნელის, ულარ კერდესა და თანაგუნდელების გვერდით „ტარტუ როკი"-"კალევის" მეორე ფინალის ჩანაწერი გავშიფრეთ.

მწვრთნელმა არაერთი შეცდომა გვიპოვნა, მათ შორის თვალშისაცემი იყო შეტევისას აჩქარება. თავიდანვე 20 ქულის სხვაობით ვიგებდით, მაგრამ მაინც ვჩქარობდით. აგრეთვე გვითხრა, რომ კიდევ გვაქვს სამუშაო „კალევის" ზონური დაცვის დაშლაზე. თუმცა, ულარ კერდემ იქვე დადებითი მხარეებიც გვიპოვნა და ზომიერად შეგვაქო კიდეც. ეს მწვრთნელის პლუსია, როცა კალათბურთელს შეცდომებზე უთითებ, ისიც უნდა დაინახო, რა გააკეთა კარგი. „ტარტუ როკის" შარშანდელი მწვრთნელი მხოლოდ უარყოფითზე საუბრობდა და ხალისსაც გვიკარგავდა. ამიტომაც არ მსურდა მის გუნდში დარჩენა, მაგრამ საბედნიეროდ, ამ სეზონის წინ მწვრთნელთა შტაბში ცვლილება მოხდა და მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ულარ კერდემ ჩაიბარა. მის სწორ მუშაობას შედეგიც მოაქვს - „ტარტუმ" წლეულს პირველად ითამაშა ევროთასის ფინალურ ოთხეულში. მისი ორი კალათბურთელი ამ ტურნირის ვარსკვლავთა მატჩში მოვხვდით. ახლა კი ესტონეთის ჩემპიონობისკენ მივდივართ. შინ ორი მატჩი უკვე მოვიგეთ და ახლა ტალინში გვიწევს ორი შეხვედრის ჩატარება. ორიდან ერთი მაინც თუ მოვიგეთ, ჩემპიონობას ძალიან მივუახლოვდებით. თუკი არჩევანზე მიდგა საქმე, უმჯობესი იქნებოდა ტალინში პირველი მატჩი მოგვეგო. რა გამოგვივა, კვირას ვნახავთ.

ბევრი ვიფიქრე, როგორ შეიძლება დღიურის დასრულება-მეთქი. თავში სულ ფინალები მიტრიალებს და ბოლოსიტყვაობას მოკლედ ასე დავწერ: იმედი მაქვს, ესტონეთში ოქროს მედალს ავილებ, რაც პირველ რიგში ქართული კალათბურთის წარმატება იქნება. ქართველი ლეგიონერის გაჩემპიონება ხომ რიგით გულშემატკივართან ერთად მეც ძალიან გამიხარდება. ესტონეთის ჩემპიონატს რომ დავამთავრებ, ახალი საფიქრალი გამიჩნდება - საქართველოს ნაკრები.

ტეიმ-აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი



1964 წელი. თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

დასაწყისი „ლელო“ №88, 92, 97, 103, 109

ბაბანაია სოციალიზმის ეპოქაში ბათუმის სტადიონის აღმოსავლეთი ტრიბუნა საბჭოთა ჯარის ნაწილის ღობეს ესაზღვრებოდა. მატჩების დროს ღობეზე რუსი ჯარისკაცები წამოსკუპდებოდნენ და ყოველთვის აქტიურად ქომაგობდნენ სტუმრების ნებისმიერ გუნდს. მერე რა, იტყვის მავანი, საქართველოში შორიდან იყვნენ ჩამოსულნი და თავისიანების დანახვა უხაროდათ. ბუნებრივია, ეს ყოველივე გასაგები იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა - ბათუმელები მაშინ საქართველოს პირველობაზე ასპარეზობდნენ და უკლებლივ ყველა სტუმარი კოლექტივი, ქართული გუნდი იყო. ამის გაშიფვრა მკითხველისთვის მიგვინდვია.

ყველამ იცის, სსრკ-ში ბლანტერის მართლაცდა შესანიშნავი „საფეხბურთო მარში“ ყოველი მატჩის წინ სრულდებოდა, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ 60-იან წლებში ყველა მატჩის შემდეგ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ლაღიძის „!თბილისოს“ ასრულებდნენ მუდამ.

მოგეხსენებათ, თბილისელები 1964 წელს ტაშკენტიდან სსრკ-ს ჩემპიონების რანგში ჩამოფრინდნენ. აეროპორტში ათეულობით ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ყველა ახლადდამშვებულ ტუ-104-ს ეძგერა და ამ დროს მეგაფონში გაისმა: „მეგობრებო! გილოცავთ გამარჯვებას და გთხოვთ ნუ აცოცდებით ფრთებზე, ისინი მომავალშიც ჩამოგვიყვანენს ჩემპოინებს!“

ევროტურნირების სათავეებთან. როდესაც თბილისის „დინამომ“ 1964 წელს სსრკ-ს ჩემპიონობა მოიპოვა, კიეველებმა თასი მოიგეს. ფედერაციას ადრევე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ 1965 წლიდან სსრკ ევროთასების გათამაშებაში მონაწილეობას დაიწყებდა. კიეველები ჩაებნენ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, თბილისელები კი ჩემპიონთა თასის გათამაშებაში არა... ევრომაყურებელმა ვერ იხილა მეტრეველის, მესხისა და მათი ვირტუოზი თანაგუნდელების ოსტატობა. კიეველებმა კი მასპინძელთა უფლებით საქართველოს დედაქალაქში მიიღეს გლაზგოს „რეინჯერსი“. კითხვა: რატომ მოხდა ასე? პასუხი-კითხვა: მსოფლიოს 1\6-ში ასეთები ხდებოდა?

სამოციანი წლების დასაწყისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ოფიციალურად მიმართეს რექტორს თხოვნით - საფეხბურთო მატჩების საათებში ლექციების გადატანის თობაზე. თხოვნა მაქსიმალურად დაკმაყოფილდა. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. გასული საუკუნის სამოციან წლებში ქართული ტელევიზიით ერთმა მოსკოველმა სპორტულმა ჟურნალისტმა განაცხადა: „მე მოვისმინე თბილისელთა მცველის **ზურაბ სოტკილავას** სიმღერა და მინდა განვაცხადო - თუ თქვენში მცველები ასე მღერიან, წარმომიდგენია რა ხმა ექნება ცენტრალურ თავდამსხმელს!“

გასული საუკუნის 60-იან წლებში მოსკოვის იუმორისტულმა ჟურნალმა „კროკოდილმა“ დააწესა „პრიზი“ „კრივაია ნოგა“-„მრუდე ფეხი“. იგი უნდა გადაცემოდა ყველაზე უშედეგო თავდამსხმელს. გატანილი ბურთით „ჯილდოს“ მოპოვების კანდიდატად დასახელდა... **მიხეილ მესხი**. ეს ის დროა, როდესაც მისი სახელი გრგვინავდა მსოფლიოს სტადიონებზე. ქართული ვირტუოზი მსოფლიოს ნაკრებშიც მიიწვიეს და შემდეგ სსრკ-ს მესვეურთა მეცადინეობით „საუკუნის მატჩში“ 1963 წელს ინგლისთან არ ათამაშეს, გარდა ამისა, თბილისელთა თავდამსხმელებს და უპირველესად **ზაურ კალოევს**, ბურთბეის უდიდესი რაოდენობა, სწორედ მესხის საფლანგო გადაცემების შემდეგ გაჰქონდათ. იგივე იყო სსრკ-ს ნაკრებშიც. მაგალითისთვის: ევროპის ჩემპიონმა საბჭოთა ნაკრებმა, ეს ტიტული **პონედელნიკის** გოლის წყალობით მოიპოვა. ბურთი თავზე ცენტრფორვარდს მიხეილ მესხმა „დაასვა“.

1964 წელს, საბჭოთა ეპოქის მძვინვარების ხანაში სსრკ-ს ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ კაპიტანმა **შოთა იამანიძემ**, ქართული ტელევიზიით შემდეგი განაცხადა: „ჩვენ სხვებთან შედარებით უფრო შებორკილები ვართ!“ დღევანდელი გადასახედიდანაც ეს გმირობის ტოლფასი განცხადებაა. ყოჩაღ, კაპიტანო!

**კონსტანტინე გამსახურდიას** ჰკითხეს - ბატონო კონსტანტინე, ფეხბურთზე რატომ არ დადიხართ? მე იქ ვერ წავალ, სადაც თერთმეტი ქართველი, თორმეტ მოწინააღმდეგეს ვერ ჯაბნისო. - უპასუხა დიდოსტატმა.

1969 წელი. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მიხეილ მესხს დიდი ფეხბურთიდან აცილებდნენ. თამაშის შემდეგ („დინამო“ თბილისი - „ნასიონალი“ მონტევიდეო), სტუმართა ბრაზილიელმა მწვრთნელმა **ზე მორეირამ** შეჰყვირა: „როგორ, ეგ მიდის, დანარჩენები კი რჩებიან?!“

სპორტლინგვისტიკა: საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთმა სპორტსმესვეურმა წინასასეზონო ტელეინტერვიუში ვარაუდი გამოთქვა - ქუთაისელები მომავალ სეზონში შვიდეულში ან რვაში მოხვდებიანო. ენას ძვალი ნამდვილად არა აქვს...

ფეხბურთის ისტორიაში უნიკალური თაღლითობა მოხდა სამოციანი წლების თბილისში. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სანდომიანი გარეგნობის სამკლაურიანი მამა-შვილი მატჩების დროს დარაჯობდა სტადიონის შემოგარენში, სანაპიროზე დაყენებულ ავტომანქანებს (სათანადო გასამრჯელოს ფასად, რასაკვირველია). მრავალ შსს მაღალჩინოსანსაც ესალმებოდნენ ზოლიანი კვერთხის აწევით. როდესაც ვილაცას ეჭვი შეეპარა მათ ლეგიტიმურობაში, მამაკაცები სასწრაფოდ გაქრნენ. ძიება ამაო გამოდგა. სამაგიეროდ, თვითმარქვია დარაჯების გაუჩინარების შემდეგ, საკმაოდ ხშირად უპატრონოდ დარჩენილმა ავტორებმა იწყეს გაქრობა...

სპორტდეტექტივი: სამოცდაათიანი წლები. დასავლეთ საქართველო. თამაშის მიწურულს გაავებული მასპინძელი ფეხბურთელები მთავარ მსაჯს გამოუდგნენ, რომელიც კარგი სპრინტერი გამოდგა, და მდევრებს საკმაო მანძილით მოწყდა, მაგრამ როდესაც აქციას მაყურებლებიც შეუერთდნენ, რეფერის სიმაღლეზე ხტომის ოსტატობის ჩვენებაც მოუხდა - იგი ჯეირანივით გადაევლო სტადიონის ღობეს, რკინიგზის ლიანდაგზე დაეშვა და სამანევრო ორთქლმავალის ბრიგადის ხელშეწყობით, ლოკომოტივის კაბინაში აღმოჩნდა.

და აი, სწორედ აქ უმუხთლა ბედმა - რკინიგზელები ადგილობრივი საუწყებო გუნდის თავგამოდებული გულშემატკივრები აღმოჩნდნენ... დრამა დეპოში დასრულდა.

შედეგი: მსაჯი საავადმყოფოში გააქანეს, მემანქანეთა ეკიპაჟი წინასწარი დაკავების იზოლატორში, სტადიონმა კი ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მიიღო თავის გუნდიანად.

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 17-22 მაისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

17 მაისი, 1928 წელი. ზუსტად 80 წლის წინათ, ამსტერდამში გაიხსნა ზაფხულის IX ოლიმპიური თამაშები, რომელშიც მონაწილეობდა 2883 სპორტსმენი მსოფლიოს 46 ქვეყნიდან. თამაშები თითქმის სამ თვეს გაგრძელდა და საზეიმოდ დაიხურა 12 აგვისტოს.

18 მაისი, 1884 წელი. ნიუ-იორკში გაიმართა სენსაციური ასპარეზობა - პირველი მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალ მოჭიდავეთა შორის. ორსაათიან ორთაბრძოლაში გერმანელმა კარლო აბსმა დაამარცხა ამერიკელი უილიამ მალდუნი და პლანეტის პირველი ჩემპიონი გახდა.

18 მაისი, 1912 წელი. ამ დღემდე წარმოუდგენლად მიაჩნდათ, რომ ადამიანი შეძლებდა 2 მეტრზე მაღლა გადახტომას. მაგრამ ეს შეძლო სტენდფორდის უნივერსიტეტის 21 წლის სტუდენტმა ჯორჯ ჰორაინმა, რომელმაც 2 მ და 007 სმ სიმაღლე დაძლია. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ეს შედეგი მოგვიანებით აღიარა, მაგრამ რეგისტრაციაში გაატარა, როგორც 2 მეტრი.

19 მაისი, 1934 წელი. ოლიმპიური ჩირაღდნით რბენის ცერემონიალის გეგმა პირველად განიხილეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 31-ე სესიაზე. გადაწყდა 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე თამაშების გახსნის დღეს ოლიმპიურ ცეცხლს აანთებდნენ სტადიონზე. ჩირაღდანი კი ოლიმპიიდან ბერლინამდე მორბენლების ხელიდან ხელში გააცემით 3075 კმ-ს გაივლიდა.

19 მაისი, 1986 წელი. ამ დღეს, დასავლეთ ბერლინში გამართულ საერთაშორისო ტურნირში 16 წლის შტეფი გრაფმა (გფრ) სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია იმ დროს მსოფლიოს №1 ჩოგბურთელ ქალთან მარტინა ნავრატილოვასთან შეხვედრაში.

22 მაისი, 1983 წელი. 25 წლის წინათ, ქ. ლესელიძეში (საქართველო), ოლიმპიურ ბაზაზე, რუსმა მძლეოსანმა გალინა სავინკოვამ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში - 73,26 მ.

## მთავარია უსაფრთხოება

„მერსედეს ბენცს“ კიდევ ერთხელ მიეცა შანსი დაიცვას ფორმულა 1 ოფიციალური უსაფრთხოების მანქანით, რომელიც შექმნილია SL63AMG -ს ბაზაზე. „მერსედესი“ ასეთ უსაფრთხოების მანქანებს 1996 წლიდან უშვებს. მანქანა საქმეში ერთვება იმ მომენტიდან, როცა რბოლაში შეფერხებაა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს უამინდობისა ან პილოტის შეცდომის მიზეზით. Safety Cav-ს უკვე დიდი ხანია გერმანელი პილოტი, **ბერნდ მაილანდერი** მართავს. მანამდე ამ მოვალეობას ბრაზილიელი **ალექს რიბერო** ასრულებდა.

როგორც კი ვითარება ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოსვლას საჭიროებს, მაილანდერი პელოტონის სათავეში ექცევა, სიტუაციას არეგულირებს და ნელ ტემპში მიუძღვება წინ მსოფლიოს უსწრაფეს ავტომრბოლებს.

**დავით ჩუბინიძე**

## იყო ასეთი შემთხვევა

### მეტოქე შემოაკვდა...

ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში მუშტი-კრივი ერთ-ერთ პოპულარულ სპორტის სახეობად ითვლებოდა. წესები მაშინაც მკაცრი იყო - მეტოქეებს ერთმანეთისთვის არ უნდა მიეყენებინათ სასიკვდილო დარტყმა. 496 წელს (ჩვ.წ.ა.) ასტიპალიელი **კლეომენე** გამარჯვებულად არ აღიარეს, რადგან ორთაბრძოლაში მას მეტოქე შემოაკვდა.

### ცხენს აჯობა

ადამიანის შესაძლებლობების გამოცდა, გარდა ოფიციალური სპორტული ასპარეზობისა, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ალბათ, გინესის რეკორდების წიგნში ყველაზე თავგამოდებული და ამბიციური მსურველიც ვერ გაბედავს ისეთი უცნაური მიღწევით უკვდავყოს თავისი სახელი, როგორიცაა ცხენთან სირბილში გაჯიბრება. არადა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 404 წელს ოლიმპიური ჩემპიონი **ლასთენე** სწორედ ცხენს გაეჯიბრა და მოუგო კიდეც 30 კმ-ზე შეჯიბრება.

## ვინ რა თქვა...

**ჟოაო აველანჟი:** „ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია. მთელი ცხოვრება მას შევალიე. ასაკის მიუხედავად, ფეხბურთით მაინც არ დავღლილვარ.“

**მარტინა ნავრატილოვა:** „მდიდრები ფეხბურთის გუნდს ყიდულობენ, ღარიბები კი მხოლოდ ბურთს.“

## კვიმატი ოზიექტივი



## თქვენთვის, ერუდიტებო

მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში

**1. რომელ წელს და სად ჩატარდა IV ჩემპიონატი?**

ა - შვეიცარიაში, 1954 წელს

ბ - საფრანგეთში, 1938 წელს

გ - ბრაზილიაში, 1950 წელს

**2. ვინ იყო X ჩემპიონატის გამარჯვებული?**

ა - ჰოლანდია

ბ - გფრ

გ - ბრაზილია

**3. XI ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა**

ა - კემპესი (არგენტინა)

ბ - რენსენბრინკი (ჰოლანდია)

გ - კუბილასი (პერუ)

**4. XIV ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობდა**

ა - 16 გუნდი

ბ - 20 გუნდი

გ - 24 გუნდი

**5. XVI ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ**

ა - ხორვატია-ჰოლანდია

ბ - საფრანგეთი-ბრაზილია

გ - საფრანგეთი-ჰოლანდია

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

# კროსვორდი

თარაზულად: 1. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, იოჰან... 4. მწვერვალი კავკასიონზე; 9. რაგბის ავსტრალიელი მსოფლიო ვარსკვლავი, ჯონ... 10. დოლის სახელწოდება, რომელიც დაწესდა ლორდ დერბის მიერ; 11. ცურვის ყაიდა; 14. პროფესიონალი მოკრივე, რიდიკ... 15. ცნობილი შვეიცარიელი ჩოგბურთელი, როჯერ... 17. ბურთი გვერდითი ხაზის მიღმა; 18. ინგლისელი ფეხბურთელი, ლე... 19. ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ქართველი ფალავანი; 22. მსოფლიო ჩემპიონი (1954) გერმანელი ფეხბურთელი; 23. ლეგენდარული ვეტერანი ეთიოპელი მარათონელი, აბებე... 24. საქართველოს ჩემპიონი საფეხბურთო კლუბი; 25. მძლეოსნობის იარაღი.

შვეულად: 2. ფეხბურთის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი; 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 5. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური პრიზიორი; 6. „ფეიენოორდის“ ვეტერანი ფეხბურთელი, მეკარე; 7. სპორტის საწყლოსნო სახეობა; 8. ვეტერანი ავსტრიელი სპორტსმენი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ციგაობასა და ბობსლეიში, პაული... 12. ქართული ხალხური თამაშობა ქამრით; 13. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული; 16. სახელი, რომელიც ერთხანს ერქვა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს; 20. გაფრთხილება ძიუდოში; 21. ცნობილი ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; 22. ოლიმპიური ჩემპიონი (1972) და რეკორდსმენი 200 მ. ბატერფლაით ცურვაში (აშშ) კარენ...



### წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. გობი, 2. ფარიკაობა, 8. დუბლიორი, 9. ოში, 11. ბრაიანტი, 15. რაში, 16. ლიპა, 18. ჩიმიშკიანი, 20. „რეალი“, 21. სატო, 22. სორელი.

შვეულად: 1. გადუარი, 2. ბობი, 3. ფეოლა, 4. რაისა, 5. კოე, 6. ონო, 7. აზია, 10. „ვილიამსი“, 12. რალი, 13. ნაიკი, 14. სპრინტი, 17. ფრეი, 18. ჩილე, 19. იუკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. ევროპის ჩემპიონატი

# ჩვენთვის დასრულებულია

სამწუხაროდ, ჩვენი ქალთა ნაკრები (ნარიმანიძე, ესებუა, დიასამიძე) ფრანგულ ვიტელში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის გუნდურ პირველობას პირველივე წრიდან გამოეთიშა - ბერძნებთან ერთი ქულით, 210:211 დამარცხდნა.

თავად ბერძნებმა ჩვენს შემდეგ უშუალო მეზობლები - იტალიელებიც ჩამოიცილეს (205:198), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აპენინელებს ლიდერი აკლდათ - მსოფლიო ჩემპიონი ნატალია ვალეევა. ბერძენთა წინსვლა ნახევარფინალში პოლონელებმა შეაჩერეს - 216:211. ფინალში პოლონელები მეზობელ გერმანელებს გაეჯიბრებიან, რომლებმაც გზიდან სლოვენიელები, თურქები და რუსები ჩამოიცილეს. ბრინჯაოსთვის ბერძნების მეტოქე სწორედ რუსეთის ძლიერი ნაკრებია, რომელმაც ლატვიისა და საფრანგეთის გუნდები დაამარცხა. არადა, პირად პირველობაზე ერთ-ერთი ფინალისტი სწორედ მასპინძელია - ბერანჟერ შუ, რომელიც ბრიტანელ ნაომი ფოლკარდს ხვდება. ფინალური შეხვედრები როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ პირველობაში ხვალ გაიმართება და ამით წლევანდელი ევროპირველობაც დასრულდება.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# სუპერთასზე მეორე გუნდით

23-25 მაისს მოსკოვში მსოფლიოს იმართება სუპერთასი, რომელშიც საქართველოს ნაკრები მეორე შემადგენლობით გამოვა: **ბეთქილ შუკვანი და ამირან პაპინაშვილი** (60), **ვახტანგ ხოსიტაშვილი და მინდია ხომიზური** (66), **დავით კუპრაშვილი და თენგიზ პაპოშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი და დავით ლორიაშვილი** (90), **ლევან რაზმაძე და ნოდარ მეტრეველი** (100), **გიორგი ყიზილაშვილი და ადამ ოქრუაშვილი** (+100).

მოსკოვში პირადი პირველობა 23-24 მაისს გაიმართება, 25-ში კი გუნდური ტურნირი ჩატარდება. ოღონდ გუნდში მხოლოდ 5 მოჭიდავეა - 66, 73, 81, 90 და +90 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი, ფინალი

# სტუ მეთვრამეტედ თუ თბილისი პირველად?

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დღეს პირველი ფინალური მატჩია. შარშანდელის მსგავსად, ოქროს მედალს ერთმანეთს შეეცილებიან სტუ-"თელავი" და „თბილისი".

შარშანდელი ფინალის პირველი მატჩი სტუ-მ 6-ბურთიანი სხვაობით მოიგო. საპასუხო მატჩში კი „თბილისმა" იმარჯვა 5 ბურთით და ერთიც რომ გაეტანა, საკუთარ მოედანზე გაშვებული ნაკლები გოლის წყალობით, ჩემპიონი გახდებოდა. თუმცა, ვერ მოახერხა და ვერცხლს დასჯერდა.

ამდენად, საინტერესოა, ამჯერად მაინც თუ მოახერხებს „თბილისი" სტუ-ს 17-წლიანი ჰეგემონიის დამხობას. რაც ეროვნული ჩემპიონატი არსებობს, ყოველთვის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ხდება ჩემპიონი.

რეგულარული სეზონის პირველ ნახევარში, სტუ-"თელავმა" ორჯერ დაამარცხა უშუალო კონკურენტი. მესამე წრიდან კი „თბილისი" ეროვნული ნაკრების გამოცდილი წევრით - **ტიტე კალანდაძით** გაძლიერდა, რომელმაც მოთამაშე მწვრთნელობა იკისრა. ამის შემდეგ, „თბილისმა" ზედიზედ სამჯერ მოუგო სტუ-ს და რეგულარული ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაამთავრა.

თავის მხრივ, „თელავმა" შარშანდელი შემადგენლობიდან გვარიანი დანაკლისი განიცადა - საზღვარგარეთ გაუშვა 3 საკვანძო ხელბურთელი - **რატი მსხვილიძე, ლევან ბერძენიშვილი** და **მამია კობახიძე**. მართალია, ახლახან შვედეთიდან დაუბრუნდა ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე **შოთა თევზაძე**, მაგრამ დანაკარგი უფრო დიდია, ვიდრე შენაძენი. ეს გუნდის მიერ წლეულს ნაჩვენებ შედეგებშიც ნათლად ჩანს...

როგორც რეგულარული სეზონის მომგებს, „თბილისს" შარშანდელის მსგავსად, ახლაც საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს. მართალია, თბილისურ გუნდებს შორის საკუთარი გულშემატკივრის ფაქტორი ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ მეორე მატჩში მასპინძლობა მცირე უპირატესობას მაინც ნიშნავს.

მაგალითად, თუკი ტიტე კალანდაძის შეგირდები ვთქვათ, პირველ მატჩს წააგებენ 15:20-ს და საკუთარ მოედანზე იმარჯვებენ 19:14-ს, ჩემპიონობა მათ დარჩებათ მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი გოლი გამო. აქვს ისიც ვთქვათ, რომ თანაბარი ბალანსის შემთხვევაში, პირდაპირ პენალტების სერია გაიმართება.

**დღევანდელი მატჩი სტუ-ს დარბაზში 15 საათზე დაიწყება. საპასუხო შეხვედრა კი 19 მაისს, ასევე 15 საათზე, ასკ-ის მოედანზე შედგება.**

**კობა ხატისაშვილი**

# ალბათ, ივნისში აირჩევენ

როგორც უკვე გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ თევზაძემ** თანამდებობა დატოვა. როდის გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები? ვინ გაუძღვება არჩევნებამდე ქართულ ხელბურთს? - ამ საკითხებზე გვესაუბრება ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე**.

- ჩვენი წესდების თანახმად, როდესაც პრეზიდენტი საკუთარ უფლებამოსილებას ვადით განსაზღვრულ თარიღამდე ვერ ასრულებს, ახალ არჩევნებამდე, მის უფლებამოსილებას იბარებს ვიცე-პრეზიდენტებიდან ერთ-ერთი. ამჟამად გვყავს სამი ვიცე-პრეზიდენტი - ჯემალ ცერცვაძე, მერაბ მეტრეველი და ბიძინა მინდელი. თუ ვინ იქნება დროებითი პრეზიდენტი, ამას 28 მაისს პრეზიდიუმი გადაწყვეტს.

ასევე 28 მაისს გაირკვევა, თუ როდის ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. ოფიციალური თარიღით, არჩევნები უნდა შემდგარიყო პეკინის ოლიმპიადის შემდეგ - აგვისტოს ბოლოს, ან სექტემბრის დასაწყისში.

თუმცაღა, აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ეროვნული ნაკრები მალე მზადებას დაიწყებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის. ივნისის დასაწყისში, გუნდი შეკრებას გაივლის თბილისში, რასაც 19 ივნისიდან მოჰყვება მინსკის საერთაშორისო ტურნირი. ბელარუსიდან დაბრუნებული ნაკრები კვლავ თბილისში ივარჯიშებს და 3-8 ივლისს, მსოფლიო უნივერსიადაზე ითამაშებს. ამ ყველაფერს სერიოზული ორგანიზაცია სჭირდება, რაც პრეზიდენტის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომაც სავარაუდოდ, პრეზიდიუმი არჩევნებს ალბათ უფრო ივნისში დანიშნავს, სადაც პრეზიდენტი ოთხწლიანი ვადით აირჩევა.

**კობა ხატისაშვილი**

# სენსაციები არ მოხდა

გუშინ ასკ დარბაზში დამთავრდა ახალგაზრდათა საქართველოს ჩემპიონატი, რომელმაც შემოდგომაზე ევროპა-მსოფლიოზე წასაყვანი შემადგენლობა უნდა გამოავლინოს - ჩემპიონობა სანაკრებო განაცხადია, თუმცა იქამდე ერთ ტურნირზე კიდევ გამოცდიან. შეგასხენებთ, რომ ევროპირველობა პოლონეთში ტარდება. მსოფლიო - ზუსტად ერთ თვეში ტაილანდში.

გუშინდელმა დღემაც სენსაციების გარეშე ჩაიარა და მედალოსნებში კვლავ ძველი სახეები ვიხილეთ, თუმცა მათ შორისაც რამდენიმე ფაქტია აღსანიშნავი. ასე მაგალითად, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **კონსტანტინე მუკვანმა** (100), რომელიც ამ თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ფალავანია. მისი მისამართით უკვე არაერთი ქება გაისმა და სპეციალისტები დიდ იმედებსაც უკავშირებენ. მოლოდინი გაამართლა ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ლევან მუქერიამაც** (+100), რომელიც აქ გამოკვეთილი ლიდერია. ამავე წონაში ფრიად საყურადღებოა **ვაჟა დაბრუნდაშვილის** ბრინჯაოც - იგი ჯერ კიდევ შარშან ჭაბუკთა ნაკრებში გამოდიოდა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორიც გახდა. მისასალმებელია, რომ ასაკობრივი ნაკრების შეცვლამ ვერაფერი დააკლო და თუმც ნახევარფინალში **ივანე გოგოლაშვილთან** დამარცხდა, მედალი მაინც მოიპოვა. ამ ბიჭსაც ძალზე პერსპექტიულად მიიჩნევენ და ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. 90-ში ოლიმპიური გუნდის წევრ ლომერ ჟორჟოლიანის ბიძაშვილმა **ბეთქილ ნავერიანმა** იმარჯვა, რომელიც კარგა ხანია, ასაკობრივი ნაკრებების უცვლელი წევრია.

დაბრუნდაშვილის გარდა, ყველა ზემოჩამოთვლილი ახალგაზრდა ამ ნაკრების ძველი წევრია და მათი ჩემპიონობა დიდად გასაკვირი არაა. აი, შედარებითი სიახლეები 81-შია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იქაურ მედალოსნებს აქამდე თავი არაფრით გამოუჩენიათ - უცნობებს ვერც მათ ვუწოდებთ. უბრალოდ, აქ ლიდერები ძალიან სწრაფად იცვლებიან.

**ირაკლი თავაძე**

| |
|---|
| **81 კგ.** |
| 1. ზაზა დავაძე (ქვემო ქართლი) |
| 2. არჩილ შინჯიკაშვილი (ქვემო ქართლი) |
| 3. შოთა ვანიშვილი (შიდა ქართლი) |
| 3. ოთარ ტვილდიანი (რაჭა-ლეჩ., ქ. სვანეთი) |
| **90 კგ.** |
| 1. ბეთქილ ნავერიანი (ქვემო ქართლი) |
| 2. ლევან ნოზაძე (თბილისი) |
| 3. გიორგი ეპიტაშვილი (ქვემო ქართლი) |
| 3. ბექა ბერძენიშვილი (თბილისი) |
| **100 კგ.** |
| 1. კონსტანტინე მუკვანი (ქვემო ქართლი) |
| 2. გიორგი გოლოთაშვილი (შიდა ქართლი) |
| 3. ლაშა გურული (იმერეთი) |
| 3. ალექსანდრე თევდორაშვილი (კახეთი) |
| **+100 კგ.** |
| 1. ლევან მუქერია (რაჭა-ლეჩ., ქ. სვანეთი) |
| 2. ივანე გოგოლაშვილი (თბილისი) |
| 3. ვაჟა დაბრუნდაშვილი (თბილისი) |
| 3. ზაზა ბალაშვილი (კახეთი) |

ჩოგბურთი

# ანა წყვილთა ნახევარფინალში



ანა ტატიშვილი

რალის (აშშ) 25-ათასიანი ტურნირის წყვილთა ბადეში ნახევარფინალში გაალწიეს **ანა ტატიშვილმა** და ამერიკელმა **კიმბერლი კაუტსმა**. მათ მეოთხედფინალში ტყუპი დები **თომპსონები** (აშშ), **კატრინა** და **კრისტიანა** დაამარცხეს – 7:5, 6:0. ნახევარფინალში მათი მეტოქეები ამერიკელები, **მერი გემბეილი** და **მამი ინუე** იქნებიან, რომელთაც მეოთხედფინალში მეტოქეები არ გამოუცხადნენ. ერთეულთა თანრიგის მერვედფინალში დამარცხდა საკვალიფიკაციო წრიდან გასული 21 წლის **სალომე დევიძე**, მას პირველ ნომრად განთესილმა უკრაინელმა, **ტატიანა ლუჟანსკამ** მოუგო – 1:6, 5:7. რალიში გამოსვლა დევიძისთვის მაინც წარმატებულია – შარშანდელი სექტემბრის შემდეგ მან პირველად მოახერხა ზედიზედ სამი მატჩის მოგება.

# ქართული ფინალი?

სტამბოლში მიმდინარეობს „ენკას თასი", რომელიც 18-წლამდელ ჩოგბურთელთა მე-5 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირია. გოგონათა ძირითად ბადეში სამი ქართველი იყო: მე-14 განთესილი **დიანა დავითაია**, მე-15 ნომრად განთესილი **ნინო მებუკე** და **ნინო სუჯაშვილი**. დავითაია და მებუკე პირველ წრეში ისვენებდნენ, სუჯაშვილმა კი თურქ **ულქერ იურეგირთან** წააგო – 1:6, 2:6. მეორე წრეში ნინო მებუკემ ინდოელი **რაჩიტა სარდა** დაამარცხა – 6:0, 6:1. დიანა დავითაია კი ავსტრალიელ **სკაი ჰოპერს** გაუსწორდა იოლად – 6:1, 6:1. მერვედფინალში მებუკემ მე-3 ნომრად განთესილი **მია რადულოვიჩი** (ჩერნოგორია) დაამარცხა – 3:6, 6:1, 6:3. დავითაიამ კი კვლავ იოლად იმარჯვა, თანაც მე-2 ნომრად განთესილ ინდოელ **გოპიკა კაპორთან** – 6:3, 6:3. მეოთხედფინალში მებუკემ ბრიტანელი **ნიკოლ პეტერსონი** დაამარცხა – 6:3, 6:2. დავითაიამ კი მე-6 ნომრად განთესილი თურქი **მელის სეზერი** დაიფრინა – 6:0, 7:5. ნახევარფინალში ნინო მებუკე პირველ ნომრად განთესილ ავსტრალიელ **ჯეიდ ჰოპერს** ეთამაშება, ხოლო დიანა დავითაია – ბრიტანელ **მანიშა ფოსტერს** (10). ბიჭების ძირითად ბადეში მხოლოდ **ბექა ბუჩუკური** იყო, რომელიც პირველივე ეტაპზე დაამარცხა საკვალიფიკაციო წრიდან გასულმა ფრანგმა **სედრიკ კომინმა** – 0:6, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# 120 ქულა შეიმატეს




საქართველომ სეულში ასპარეზობა შეწყვიტა. მსოფლიო ტურის კორეული ეტაპი ჩვენი ფრენბურთელებისთვის მესამე შეხვედრაში დასრულდა. მოწინააღმდეგე ბერძნული წყვილი, კარანთასიუ და არვანითი იყო. პირველი სეტი ბერძენმა ფრენბურთელებმა თითქმის უპრობლემოდ მოიგეს 21:15. მეორეში კი საქართველომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა, სეტი კი პლაჟბურთისთვის იშვიათი ანგარიშით 28:26 მოიგო. როგორც ჩანს, მეორე სეტს ჩვენმა ფრენბურთელებმა მთელი ძალა შეალიეს. მესამე სეტი ისევ ბერძნების იყო 15:10.

ამრიგად საქართველომ სეულში რეიტინგს 120 ქულა შემატა და ჯილდოდ 2 500 ამერიკული დოლარი ერგო. კორეიდან საქართველო იაპონიაში გაემგზავრება, 20-25 მაისს ოსაკაში მორიგ ეტაპზე საასპარეზოდ. დღეისათვის საოლიმპიადო კვალიფიკაციაში საქართველო 1 300 ქულით 25-ე ადგილზეა და საოლიმპიადო 24-ე ადგილზე მყოფ ლატვიურ წყვილს 100 ქულით ჩამორჩება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. ანონსი

| უმაღლესი ლიგა. III ტური | |
|---|---|
| **17 მაისი. შაბათი** | |
| 15:00 | ლელო-აკადემია, ვაკე |
| 17:00 | უნივერსიტეტი-დინამო, ვაკე |
| **18 მაისი. კვირა** | |
| 17:00 | არმაზი-აია, ვაკე |
| ლოკომოტივი-ყოჩები გადაიდო | |

| პირველი ლიგა. III ტური | |
|---|---|
| **17 მაისი** | |
| 17:00 | ბათუმი-ხარები, ანგისა |
| **18 მაისი** | |
| 15:00 | დევები-აია 2, ვაკე |
| 15:00 | ლელო2-ლოკომოტ. 2, სინათლე |
| 17:00 | თი ბი სი-ხულიგ., სინათლე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მარია ანენის ადგილს იკავებს



უახლოეს ორშაბათს, 19 მაისს, ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) რეიტინგს ახალი ლიდერი ეყოლება. დიდი სპორტიდან წასული **ჟუსტინ ანენის** ადგილს რუსი **მარია შარაპოვა** დაიკავებს.

პირველად ეს ჩოგბურთელი კლასიფიკაციას 2005 წლის 22 აგვისტოს ჩაუდგა სათავეში, თუმცა ის ძალიან მალე ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** შეცვალა. ამის შემდეგ, მარიამ ისევ პირველ ადგილზე გადაინაცვლა და იქ 6 კვირა დაჰყო, სულ კი, კარიერის განმავლობაში, შარაპოვა პირველი ჩოგნის სტატუსით 15 კვირა სარგებლობდა.

"დიდი სლემის" ტურნირების შვიდგზის ჩემპიონი ჟუსტინ ანენი პირველი ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც აქტიური სპორტი პირველი ჩოგნის რანგში დატოვა. ბელგიელი 117 კვირის განმავლობაში ედგა სათავეში WTA-ს კლასიფიკაციას. ორი დღის წინათ, თავისი ცნობილი განცხადების გაკეთებისას, 25 წლის ბელგიელმა ასოციაციას სთხოვა, რომ ის დაუყოვნებლივ ამოეღოთ ორგანიზაციის რეიტინგიდან. შესაბამისად, მომავალი კვირიდან პირველი ჩოგნის ტიტული, ავტომატურად მარია შარაპოვას საკუთრება ხდება.

*"25 წლის ასაკში "დიდი სლემის" შვიდი ტურნირი რომ მომეგო, მეც აუღელვებლად წავიდოდი სპორტიდან. ჩოგბურთის დატოვება არც ჩემთვის გახდება დიდი ტრაგედია, რადგან ცხოვრებაში სპორტის გარდა, ბევრი სხვა საინტერესო პროფესია არსებობს. ჟუსტინს გრძელი და შთამბეჭდავი კარიერა ჰქონდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ის ისევ დაბრუნდეს ქალთა ტურში"*, - ამბობს შარაპოვა და იქვე ამატებს, რომ მისთვის რეიტინგში ადგილი არასოდეს ყოფილა მნიშვნელოვანი.

აქვე გთავაზობთ იმ ქალი ჩოგბურთელების სიას, რომლებიც სხვადასხვა წელს სათავეში ედგნენ WTA-ს რეიტინგს:

| | |
|---|---|
| 1. შტეფი გრაფი | 377 კვირა, 17.08.1987 |
| 2. მარტინა ნავრატილოვა | 332, 10.07.1978 |
| 3. კრის ევერტი | 260, 03.11.1975 |
| 4. მარტინა ჰინგისი | 209, 31.03.1997 |
| 5. მონიკა სელეში | 178, 11. 03.1991 |
| 6. ჟუსტინ ანენი | 117, 20.10.2003 |
| 7. ლინდსი დავენპორტი | 98, 12.10.1998 |
| 8. სერენა უილიამსი | 57, 08.07.2002 |
| 9. ამელი მორესმო | 39, 13.09.2004 |
| 10. ტრეისი ოსტინი | 21, 07.04.1980 |
| 11. კიმ კლაისტერსი | 19, 11.08.2003 |
| 12. ჯენიფერ კაპრიატი | 17, 15.10.2001 |
| 13. მარია შარაპოვა | 15, 22.08.2005 |
| 14. არანჩა სანჩესი | 12, 06.02.1985 |
| 15. ვენუს უილიამსი | 11, 25.02.2002 |
| 16. ივონ გულაგონგი | 2, 26.04.1976 |

**გია თვალაბეიშვილი**

მძლეოსნობა. პეკინი 2008

# უფეხო კაცი პეკინში სარბენლად დაუშვეს

არაა გამორიცხული, რომ პეკინის ოლიმპიადაზე, მამაკაცებს შორის, 400 მეტრზე სპრინტში მოასპარეზე უფეხო ადამიანი ვიხილოთ – სპორტის საქმეთა სააპელაციო სასამართლომ, სამხრეთაფრიკელ მორბენალ **ოსკარ პისტორიუსს**, ვისაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს, პეკინის ოლიმპიადის საგზურისთვის ასპარეზობის უფლება მისცა.

სასამართლომ გააუქმა მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, პისტორიუსს ჯანმრთელ მეტოქეებთან ოფიციალურ ტურნირებზე ასპარეზობის უფლება არ ეძლეოდა. IAAF-ის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც არაერთ მეცნიერთან ჰქონდა კონსულტაცია, პისტორიუსის ულტრათანამედროვე პროთეზი უპირატესობად ჩათვალა და სწორედ ამის საფუძველზე აუკრძალა უნარმოკლებულ ადამიანს ჯანმრთელ სპორტსმენებთან პაექრობა.



ახლა ჯერი პისტორიუსზეა, რომელმაც ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება უნდა მოიპოვოს, თუმცა სამხრეთი აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციას უფლება აქვს, ის უკონკურსოდ მიიწვიოს ესტაფეტის გუნდში.

IAAF-მა თავისი გადაწყვეტილება იანვარში მიიღო. პისტორიუსმა დაუყოვნებლივ მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს, რომლის სამკაციანმა კომისიამაც საქმე პირველად ერთი თვის წინათ მოისმინა.

პისტორიუსს 400 მეტრზე სპრინტში პარაოლიმპიური მსოფლიო რეკორდი (46.56 წამი) ეკუთვნის, თუმცა ეს დრო სულაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ მან პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზური მიიღოს. ამისათვის, ამავე დისტანციის 45.55 წამზე ნაკლებში გარბენა მოუწევს. არადა, IAAF-მა რომ ოფიციალურ ტურნირებზე გამოსვლის უფლება ჩამოართვა, მას შემდეგ პისტორიუსმა ინტენსიური ვარჯიში შეწყვიტა: ის უფრო მეტ დროს აპელაციისთვის მზადებას უთმობდა.

ესტაფეტაში ყოველი ქვეყნის გუნდს ექვსი მორბენლის გამოყვანა შეუძლია. სამხრეთაფრიკელებს შეუძლიათ, ის განაცხადში სათადარიგო მორბენლად შეიყვანონ. იმავდროულად, პისტორიუსს უფლება აქვს, პეკინში, პარაოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზოს, რომელიც 6-17 სექტემბერს ჩატარდება.

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ პისტორიუსს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის სრულფასოვნად მომზადების საშუალება ექნება.

როცა თავის გადაწყვეტილებას ლებულობდა, IAAF-მა დაამტკიცა, რომ თავისი ნახშირბადოვანი კომპოზიტისგან დამზადებული დანისებრი პროთეზების მეშვეობით, ჯანმრთელ მორბენლებთან შედარებით, პისტორიუსი გარკვეულ უპირატესობას ფლობს, რადგან პროთეზი მას ნაკლები ენერგიის ხარჯზე რბენის საშუალებას აძლევს. თუმცა მორბენლის დაცვის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელშიც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები მონაწილეობდნენ, დაამტკიცა, რომ პისტორიუსს მისი პროთეზი, ჯანმრთელ მორბენლებთან არანაირ უპირატესობას არ ანიჭებს.

საარბიტრაჟო სასამართლოს დასკვნით, IAAF-მა ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ პისტორიუსს პროთეზი რაიმე უპირატესობას ანიჭებს. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში მისი გამოტანის მომენტიდან შედის და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ცნობისათვის, პისტორიუსი 11 თვის იყო, როცა მას ორივე ფეხზე, მუხლებს ქვემოთ ამპუტაცია ჩაუტარდა. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ მას დაბადებისთანავე აკლდა წვივის წვრილი ძვლები (ფიბულები), რომლებიც მუხლსა და ტერფს ერთმანეთთან აკავშირებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჩოგბურთი. ტურნირები

# უილიამსების გარეშე

იყო დრო, როცა ამერიკელი დების, **ვენუს და სერენა უილიამსების** დამარცხება საჩოგბურთო სამყაროში გამორჩეულ მოვლენად ითვლებოდა. დღეს კი სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი და არც არავის უკვირს, როდესაც ერთი ტურნირი ერთდროულად ორივეს კარგავს.

გუშინ, იტალიის ღიას მეოთხედფინალში, ვენუსმა სამ სეტში წააგო ტურნირის მოქმედ ჩემპიონთან, სერბ **ელენა იანკოვიჩთან**, სერენა კი კორტზეც არ გამოსულა, ნახევარფინალში ისე გაუშვა ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილი ფრანგი **ალის კორნე**. სერენამ თამაშისგან ტრავმის გამო შეიკავა თავი, თუმცა პრესკონფერენციაზე განცხადა, ტრავმა უმნიშვნელოა და საფრანგეთის ღიაზე თამაშში ხელს არ შემიშლისო.

სერენამდე კორნემ ტურნირი შარშანდელ ფინალისტს, რუს **სვეტლანა კუზნეცოვას** დაატოვებინა. ნახევარფინალში კი საქმე კიდევ ერთ რუსთან, **ანა ჩაკვეტაძესთან** ექნება, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვას** დასამარცხებლად. სხვათა შორის, კორნე მეორედ ითამაშებს პირველი კატეგორიის ტურნირის (მამაკაცების მასტერსის ტოლფასია) ნახევარფინალში. პირველად მას ასეთი შედეგი ერთი თვის წინათ, ჩარლსტონის ტურნირზე ჰქონდა, სადაც ფინალის საგზურისთვის შეხვედრაში ტურნირის მომავალ ჩემპიონ სერენასთან წააგო.

ვენუსისა და იანკოვიჩის შეხვედრის დასაწყისში, ორივე ჩოგბურთელი იოლად ახერხებდა საკუთარ სერვის-გეიმზე ქულის აღებას და თითქოს, საქმე ტაიბრეიკამდე უნდა მისულიყო, მაგრამ მე-11 გეიმში ამერიკელმა იმარჯვა და ბრეიკი აილო. მომდევნო გეიმი მან იოლად მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტი სერბის უპირატესობით დაიწყო. ვენუსმა კი შეცდომებს უხშირა და ამით, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრებაში ხელი შეუწყო. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ამერიკელი კი დაწინაურდა, მაგრამ ისევ თავისივე შეცდომების წყალობით, ჩემპიონს ზედიზედ ხუთი გეიმის მოგების საშუალება მისცა და შეხვედრაც იანკოვიჩის გამარჯვებით დასრულდა.

ჩაკვეტაძემ პირველი სეტი იოლად მოუგო ჩოგბურთელს, ვინც მეორე წრეში ტურნირი მასზე პირველ ნომრად განთესილ სერბ **ანა ივანოვიჩს** დაატოვებინა. მაგრამ მეორეში ყურადღება მოადუნა და უმალვე დაისაჯა – პირონკოვამ, ვისაც ექიმის დახმარება დასჭირდა, სეტებში ანგარიშის გათანაბრება შეძლო. გადამწყვეტ სეტში ჩაკვეტაძეს მოუხდა რამდენჯერმე კორტზე მასაჟისტის მოხმობა, რომელმაც მხარი დაუმუშავა. ტკივილების მიუხედავად, რუსი იოლად გაუმკლავდა მეტოქეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**ჰამბურგის მასტერსი**

ჰამბურგი (გერმანია).
მასტერსის სერია. თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 2 270 000 ევრო**

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეი, 1)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:3, 6:3

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-კარლოს მოია (ესპ) 6:1, 6:3

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბ, 3)-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:2, 6:3

**ანდრეას ზეპი** (იტა)-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:3, 5:7, 7:5

**WTA**

**იტალიის ღია**

რომი (იტალია).
პირველი კატეგორია. თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი**

**1/4 ფინალი**

**მარია შარაპოვა** (რუს, 2)-პატი შნიდერი (შვეი, 9) 6:7(3), 7:5, 6:2

**ელენა იანკოვიჩი** (სერბ, 4)-ვენუს უილიამსი (აშშ, 7) 5:7, 6:2, 6:3

**ალის კორნე** (საფრ)-სერენა უილიამსი (აშშ, 5) სერენამ არ ითამაშა

**ანა ჩაკვეტაძე** (რუს, 6)-ცვეტანა პირონკოვა (ბულგ) 6:2, 3:6, 6:1

ფორმულა 1

# რენო ნელსინიოთი უკმაყოფილოა

ცუდი დღეები უდგას "რენოს" მეორე პილოტს, **ნელსინიო პიკეს**. წლევანდელი ჩემპიონატის განვლილ ხუთ ეტაპზე ბრაზილიელმა ვერცერთი ქულა ვერ მოიპოვა, ხუთივე შემთხვევაში ვერ მოახერხა ათეულში შესვლა და ყველა კვალიფიკაციაზე თავის ტიტულოვან თანაგუნდელს, **ფერნანდო ალონსოს** მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.

"რენოს" სპორტული მენეჯერი **სტივ ნილსენი** პიკეს მობილიზებასა და უახლოეს მომავალში შედეგების შესამჩნევად გაუმჯობესებას ურჩევს.

*"რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ეს მისი პირველი სეზონია ფორმულა 1-ში. გასულ წელსაც, ჰეიკი კოვალაინენს ჩვენთან პრობლემები შეექმნა, მაგრამ შემდეგ შეძლო სიტუაციის გამოსწორება. ახლა იმავეს ნელსინიოსგანაც ველით.*

*ვერ ვიტყვი, რომ ბრაზილიელისთვის ეს სეზონი კატასტროფულად მიმდინარეობს: პოზიტიური მომენტებიც არსებობს, მაგრამ ნეგატიური უფრო მეტია. მან რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიაღწიოს პროგრესს, რადგან ფორმულა 1 - ბიზნესია, თანაც საკმაოდ მკაცრი. ის, ვინც აქ შედეგებს ვერ აღწევს, ეჭვგარეშეა, უნდა წავიდეს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნელსონი შეძლებს თავისი საქმეების გამოსწორებას"*, - ამბობს სტივ ნილსენი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასულ წელს, "რენოს" ფინელი დებიუტანტი **ჰეიკი კოვალაინენი**, ხუთი ეტაპის შემდეგ ჩამორჩებოდა თანაგუნდელ **ჯანკარლო ფიზიკელას**, მაგრამ მის ანგარიშზე სამი ქულა იყო, შემდეგ კი, ფინელმა შედეგიანად წარმართა დარჩენილი რბოლები. ვნახოთ, რა იქნება პიკესთან მიმართებაში. ამ ეტაპზე ცხადია, რომ ფრანგული საჯინიბოს შეფებს მოთმინების ფიალა ევსებათ.

**გია თვალაბეიშვილი**

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

მე-7 ეტაპი. ვასტოდან
პესკოკოსტანცომდე (180 კმ)

1. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR ბრეიკსი) 4:45.05 (37.041 კმ/სთ); 2. ვასილ კირიენკა (ბელარუსი, ტინკოფი) 0.46; 3. ემანუელე სელა (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 1.02; 4. ფელიქს რაფაელ კარდენასი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 1.33; 5. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 2.04; 6. რიკარდ რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 2.04; 7. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალი) 2.07; 8. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 2.10; 9. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 2.55; 10. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგაზი) 2.55...

კლასიფიკაცია 7 ეტაპის შემდეგ

1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 32:03.01; 2. მათიას რუსი (გერმანია, გეროლშტაინრი) 0.09; 3. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR ბრეიკსი) 5.43; 4. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 7.27; 5. ემანუელე სელა (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 7.36; 6. ფელიქს რაფაელ კარდენასი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 7.46; 7. რიკარდ რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 7.53; 8. დანიელე ნარდელო (იტალია, სერამენტი) 7.53; 9. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 7.56; 10. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგაზი) 8.11...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ბინძური რობერტი



მიმდინარე პლეი ოფის ყველაზე დაძაბულ დაპირისპირებაში, "სან ანტონიო სპურსისა" და "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" სერიაში მეშვიდე მატჩი უნდა გაიმართოს. გადამწყვეტ შეხვედრაში საეჭვო გახდა ამ სერიის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის, "ჰორნეთსის" მძიმე ფორვარდის, **დევიდ უესტის** თამაში.

მეხუთე შეხვედრაში, უესტმა **ტიმ დანკანთან** შეჯახებაში ზურგი იტკინა, თუმცა ის მატჩი მაინც ბოლომდე ჩაამთავრა და 38 ქულასაც მოუყარა თავი. მეექვსე თამაშის წინ, "ჰორნეტსის" თავკაცი **ბაირონ სკოტი** იმედს არ კარგავდა, რომ უესტი და გუნდის კიდევ ერთი დაშავებული წევრი, ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი** ბოლომდე გამოჯანმრთელდებოდნენ და მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ ითამაშებდნენ.

ერთიცა და მეორეც მოედანზე გავიდა, თუმცა ბოლო მეოთხედში, როცა "სპურსის" გამარჯვებაში ეჭვი ალარავის ეპარებოდა, "სან ანტონიოს" ბებერმა ფორვარდმა **რობერტ ორიმ** უესტს ზურგში იდაყვი ჩააზილა და ნიუორლეანელი მოედანზე გაიშხლართა. უესტმა მატჩი ველარ გააგრძელა, ხოლო გაცხარებული სკოტი კი, ორისკენ გაიწია და რომ არა მსაჯების ჩარევა, საქმე იქნებ მარტო შელაპარაკებით არ დასრულებულიყო.

*"რობერტ ორის ჩემპიონობა ბევრჯერ მოუგია და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეპლეიოფეა, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, ბინძური კალათბურთის გარდა სხვა არაფერი ეთქმის. დევიდი სერიის მეშვიდე მატჩი მოედანზე რომ ვერ გავიდეს, "სპურსისთვის" კარგი, მაგრამ მთლიანად კალათბურთისთვის ძალიან ცუდი იქნება"*, - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ბაირონ სკოტმა.

თუ უესტი ვერ ითამაშებს, მის ადგილს სასტარტო ხუთეულში **მელვინ ელი** დაიკავებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

# კლივლენდს დანაკლისი აქვს

"კლივლენდ კავალიერსის" მსროლელი, **დენი გიბსონი** მხარის ტრავმის გამო "ბოსტონ სელტიქსთან" სერიის მეექვსე შეხვედრას გამოტოვებს.

მეხუთე მატჩის მეოთხე მეოთხედში, გიბსონი **რეი ალენს** შეეჯახა და მხარის არეში მწვავე ტკივილი იგრძნო, რამაც "კავალიერსის" მთავარ მწვრთნელს **მაიკ ბრაუნს** იძულებითი წუთშესვენება აალებინა. დენი მაშინვე გასახდელში გააქანეს, მოგვიანებით კი რენტგენზე გამოჩნდა, რომ გიბსონს მყესები ჰქონია დაჭიმული.

*"გიბსონის გარეშე გაგვიჭირდება, მაგრამ მოთამაშის ჯანმრთელობის მდგომარეობას კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დავაყენებთ"*, - აღნიშნა მოგვიანებით ბრაუნმა. შეგახსენებთ, რომ დენი გიბსონმა სახელი შარშან, "დეტროიტთან" კონფერენციის ფინალში გაითქვა, როდესაც მეექვსე მატჩში ფავორიტ "პისტონზს" 6-ში 6 სამიანი ჩაუგდო.

**ზურაბ თალაკვაძე**

# ბილაპსი ფინალში იქნება

"დეტროიტ პისტონზის" ლიდერი, გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი** "მეჯიქთან" მეოთხედფინალური სერიის ორი შეხვედრის გამოტოვების მერე, თავს უკეთ გრძნობს და გუნდის ხელმძღვანელთა თქმით, კონფერენციის ფინალში კვლავ სასტარტო ხუთეულში იქნება.

ბილაპსს საზარდული და მარჯვენა კოჭი ჰქონდა ნატკენი, თუმცა გუნდმა მის გარეშეც მოახერხა "მეჯიქის" ბარიერის გავლა და ახლა "ბოსტონსა" და "კლივლენდს" შორის გამარჯვებულს ელის. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელთა სერიაში წინ **კევინ გარნეტ**ის "სელტიქსია" - 3:2.

ჩონსი ბილაპსის ნაცვლად, **ფლიპ სონდერსმა** სასტარტოში ახალბედა **როდნი სტაკი** დააყენა, რომელმაც სერიის ბოლო შეხვედრაში 15 ქულა დააგროვა.

**ზურაბ თალაკვაძე**

## კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**დასავლეთი**

**ს. ანტონიო-ნ. ორლეანი 99:80**

36:24, 22:27, 20:12, 21:17

ს-ა: ჯინობილი (25), დანკანი (20+15 მოხსნა+6 პასი), პარკერი (15), უდოკა (13).

ნ-ო: პოლი (21+6 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (14+6 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (13+6 მოხსნა), დევიდ უესტი (10+6 მოხსნა).

**სერია 3:3**

## NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ფილადელფ (6)-პიტსბურგ (2) 4:2**

3:0, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 ლუპული-3 (ჰარტნელი-2, პარენტი-1), 2:0 ბრიერი-9 (რ. ჯონსი-2, ჰარტნელი-3), 3:0 ჯ. კარტერი-6 (უმბერგერი-5, მოდრი-3), 3:1 ჯ. სტაალი-4 (კენედი-3, ტელბოტი-2), 3:2 ჯ. სტაალი-5 (კენედი-4, ტელბოტი-3), 4:2 ლუპული-4 (ჰარტნელი-4).

**სერია 1:3**

# TV სპორტი

## 17 მაისი. შაბათი

### რუსთავი 2

13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ამერიკა (მექსიკა)-სანტოსი (ბრაზილია).
14:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:40 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:25 შოტლანდიის ჩემპიონატი. მოზერველი-რეინჯერსი (LIVE).
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი (LIVE).
19:20 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-შალკე
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-არმინია.
22:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი (LIVE).
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-ბორდო.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:20 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. II დღე. კოტბუსი. გერმანია.
10:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. სან პაულუ (ბრაზილია)-ფლუმინენსე (ბრაზილია).
12:09 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. IV მატჩი. დალასი-დეტროიტი.
13:55 ფეხბურთი. Barca TV.
14:03 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:31 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
17:31 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. კარდიფი-პორტსმუთი (LIVE).
20:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:33 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:00 სპორტის სამყარო.
21:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. V მატჩი. დეტროიტი-დალასი (LIVE).
00:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. დიდი ბრიტანეთი.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-ბოტაფოგო (LIVE).
03:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:39 სპორტის სამყარო.
04:08 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
04:42 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ატალანტა.
06:27 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

### EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
11:00 ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. I დღე. იტალია.
11:45 ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. იტალია (LIVE).
14:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
17:45 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი (LIVE).
19:30 ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. იტალია (LIVE).
20:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. I მატჩი. უმეო (შვედეთი)-აინტრახტი (გერმანია) (LIVE).
22:30 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. კ. ვიტუ (საფრანგეთი)-გ. პეტროსიანი (სომხეთი). პონტოდემერი. საფრანგეთი (LIVE).
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
15:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. 1/4 ფინალი. ესპანეთი.
16:15 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
17:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. 1/4 ფინალი. ესპანეთი.
18:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. I მატჩი (LIVE).
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. 1/2 ფინალი. ესპანეთი (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. I მატჩი.
23:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. 1/2 ფინალი. ესპანეთი.
00:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.
02:30 ახალი ამბები.

## 18 მაისი. კვირა

### მზე

21:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.

### რუსთავი 2

12:20 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-შალკე.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი. ფინალი. საპასუხო მატჩი. აიაქსი-ტვენტე (LIVE).
18:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სარაგოსა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ოსასუნა.

### SPORT 1 (უკრაინა)

06:55 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. IV მატჩი. ფილადელფია-პიტსბურგი.
08:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
09:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
12:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-ბოტაფოგო.
14:01 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. გერმანია (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სარაგოსა (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე (LIVE).
23:57 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანაენსე-სან პაულუ.
01:45 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
02:14 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
02:40 ფეხბურთი. Barca TV.
03:18 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი.
05:05 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-ბოტაფოგო.
06:50 სპორტის ისტორია.

### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
12:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. 125 cc (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. 250 cc (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IX ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. რომი. იტალია.
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა.
00:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. ა. აბრაჰამი (გერმანია)-ე. აიალა (აშშ). კილი. გერმანია.
01:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
02:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. იტალია.
02:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. იტალია.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
12:00 ახალი ამბები.
12:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ვალენსია. ესპანეთი.
13:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
14:45 ახალი ამბები.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. იტალია (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. იტალია (LIVE).
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. იტალია (LIVE).
19:00 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. ესპანეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:15 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის ეროვნული ლიგა. ფინალი.
22:45 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
00:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| UNDER 17. ფინალი | |
|---|---|
| საფრანგეთი-ესპანეთი | 0:4 |

**ინგლისი**

| I ლიგა. პლეიოფი | |
|---|---|
| დონკასტერი-საუთენდი | 5:1 |

**გერმანია**

| რეგიონალლიგა (ჩრ) | |
|---|---|
| ვუპერტალი-დინამო | 1:1 |

| რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| შტ. კიკერსი-უნტერჰახინგი | 2:0 |
| ზიგენი-ბურგჰაუზენი | 1:0 |

**საფრანგეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-დიჟონი | 1:1 |
| ამიენი-გენიონი | 4:4 |
| ანჟერსი-ბრესტი | 0:0 |
| ბულონი-ნიორი | 1:0 |
| შატორუ-კლერმონი | 1:0 |
| გინგამი-ტრუა | 5:0 |
| ჰავრი-ბასტია | 6:0 |
| მონპელიე-ლიბურნი | 5:0 |
| რეიმსი-ნანტი | 3:3 |
| სედანი-გრენობლი | 2:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ტრომსიო | 2:0 |
| ფრედრიქსტადი-აალესუნდი | 5:0 |
| ლინი-სტაბეკი | 0:2 |
| მიოლდე-ვიკინგი | 2:3 |
| რუსენბორგი-ლილესტრიომი | 4:0 |
| ბრანი-ვოლერენგა | 1:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ბრინი-სპარტა | 1:0 |
| ჰაუგესუნდი-ჰიოდი | 3:1 |
| მოსი-ნიბერგსუნდი | 2:1 |
| ოდ გრენლანდი-ლოვ ჰამი | 3:1 |
| სანდეფიორდი-ალტა | 2:1 |
| სანდნესი-ჰიონეფოსი | 1:2 |
| სტარტი-კონგსვინგერი | 2:0 |

**შვედეთის თასი**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ერებრუ | 3:1 |

**ავსტრია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| შვადორფი-კაპფენბერგი | 1:3 |
| აუსტრია (ლ)-ბად ოსი | 3:1 |
| გრატკორნი-ზალცბურგი II | 1:3 |
| კერნტენი-პარნდორფი | 2:0 |
| ლეობენი-ლუშტენაუ | 1:1 |
| შვანენშტადტი-აუსტრია II | 0:2 |

**თურქეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| საქარია-ბოლუ | 2:2, პენ. 1:3 |
| ესქისეჰირი-დიარბაქირი | 0:0, პენ. 6:5 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| დერი-კობ რამბლერსი | 1:0 |
| დროგედა-სტ. პატსი | 2:2 |
| უნივერსიტი-გალვეი | 0:1 |
| ფინ ჰარპსი-შემროკი | 1:1 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ხიმკი-ლოკომოტივი | 2:2 |
| დინამო-ტერეკი | 2:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| უიპეშტი-დიორი | 1:3 |

**კალათბურთი**

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ტაუგრესი-ვალენსია | 87:79 |
| ხუვენტუდი-ხირონა | 85:72 |
| ბარსელონა-ბილბაო | 75:64 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-მონტეგრანარო | 83:86 |

**ჰოკეი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| 1/2 ფინალი | |
|---|---|
| რუსეთი-ფინეთი | 4:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ჰამბურგი | |
|---|---|
| ფედერერი-ვერდასკო | 6:3, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-მონტანიესი | 6:2, 6:3 |
| კიფერი-სეპი | 3:6, 7:5, 5:7 |
| ნადალი-მოია | 6:1, 6:3 |

| WTA. რომი | |
|---|---|
| ჩაკვეტაძე-პირონკოვა | 6:2, 3:6, 6:1 |
| იანკოვიჩი-ვ. უილიამსი | 5:7, 6:2, 6:3 |
| შარაპოვა-შნიდერი | 6:7, 7:5, 6:2 |

# ბეის-ჯამპინგი

## თვითმკვლელობის ყველაზე ეფექტური საშუალება



**ბეის-ჯამპერებს ერთი მკაცრი წესი აქვთ: ფულის სანაცვლოდ არასდროს და არავის არ ასწავლიან ხტომას. მხოლოდ რჩევების მიცემა შეუძლიათ. მთავარი რჩევა ასე ჟღერს: "ხტება ის, ვინც ფიქრობს, რომ ცოცხალი გადარჩება". დღეს გავარკვევთ, რა არის ბეის-ჯამპინგი და რა რისკზე მიდის ამ ექსტრიმის მიმდევარი.**

### პარაშუტით მოსაწყენია

თავის დროზე, ბეის-ჯამპინგი საპარაშუტო სპორტს (სკაი-დაივინგი) გამოეყო. მას კლასიკური ხტომებისგან მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნები აქვს. ბეისერები თვითმფრინავებიდან ან ვერტმფრენებიდან არ ხტებიან, ისინი ამისთვის უძრავ ობიექტებს ირჩევენ. თავად დასახელება "ბეისი" ინგლისური აბრევიატურიდან წარმოსდგება - B.A.S.E. ის ასე იშიფრება - Building-Antenna-Span-Earth (შენობა-ანტენა-ხიდის მალი-მიწა). ეს ოთხი სიტყვა მთლიანად მოიცავს ხტომებისთვის საჭირო ობიექტების ჩამონათვალს (აქ ცნება "მიწა" აერთიანებს კლდეებს, კანიონებსა და სხვა ბუნებრივ ამაღლებებს).

ბეის-ჯამპინგის დედააზრი ისაა, რომ სიმაღლე, საიდანაც ნახტომი სრულდება და ფრენის დრო, იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს საპარაშუტო სპორტშია დაშვებული. ჩვეულებრივ, ბეის-ნახტომის სიმაღლე 400 მეტრს არ აღემატება, ფრენა კი, 6-7 წამიდან 15 წამამდე გრძელდება. შესაბამისად, შეგრძნებებიც სულ სხვაა. თუ პარაშუტისტი მიწასთან მიახლოებას მხოლოდ ნახტომის ბოლოსკენ გრძნობს, ბეისერს იგივე შეგრძნება თავიდანვე ეუფლება. ცნობილი ფაქტია, რომ ამ ექსტრიმის მიმდევართა უმეტესი ნაწილი საპარაშუტო სპორტით იწყებდა. მაგრამ რაღაც ეტაპზე ის მოსაწყენი გახდა და ამის შემდეგ, პარაშუტისტები ბეისში გადავიდნენ.

ერთი შეხედვით, ბეისი გაცილებით მარტივი ჩანს, ვიდრე ჩვეულებრივი საპარაშუტო სპორტი. თითქოს, მისთვის საჭირო არ არის არანაირი სპეციალური ტექნიკა: უბრალოდ რაიმე შემაღლებაზე ადიხარ და ქვემოთ ხტები. სინამდვილეში ასე არ არის. საპარაშუტო სკოლის გარეშე ხტომა უბრალოდ, არ შეიძლება - დამწყებ ბეისერს პარაშუტით მინიმუმ 300 ნახტომი მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეიძლება თვითმკვლელობად იქცეს. რა თქმა უნდა, ზოგიერთები საპარაშუტო გამოცდილების გარეშეც გადიან ფონს, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან - მათ ჩონჩხის განსაკუთრებული აგებულება აქვთ. ბეის-ჯამპინგის ამერიკელი ლეგენდის, **დენის** სახელს ბეისის ისტორიაში შთამბეჭდავი მომენტი უკავშირდება. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ნახტომის შესრულებისას პარაშუტი არ გაიხსნა და ის რამდენიმე ასეული მეტრიდან მიწაზე დაენარცხა. სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა - არცერთი მთელი ძვალი არ შერჩენია და სასტუმროში სპეციალური გასაბერი სკაფანდრით გადაიყვანეს. თუმცა ორ თვეში დენმა სირბილი დაიწყო, ნახევარ წელიწადში კი, ჭანჭიკებით აწყობილი ხერხემლით ხტომები განაახლა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბეის-ჯამპინგი აკრძალულია. ბეის-მოძრაობის ერთ-ერთი პოსტულატი ასე ჟღერს: "სკაი-დაივინგი - სპორტია, ბეისი - ფსიქოდელია". ამ წრის ავტორიტეტულ წარმომადგენლებს "გურუს" ეძახიან. ეს ჩაკეტილი საზოგადოებაა, რომელში მოხვედრაც არც ისე მარტივია. იქ მხოლოდ რეკომენდაციით იღებენ.

### მთავარია მანევრირება

ბეისი მხოლოდ ექსტრემალური გასართობი არ არის, ესაა ადამიანის მიერ მოგონილი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო საქმიანობა. ამ მოძრაობის კიდევ ერთი ძირითადი წესი შემდეგს გვეუბნება: "საუკეთესო ბეისერი - ძველი ბეისერია". ყველა გამოცდილი ბეისერის ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყოფილა ისეთი ეპიზოდი, როცა ის სიცოცხლეს ემშვიდობება. თუმცა ამის გახსენება, მაინცა და მაინც, არ უყვართ. ერთი ძველი ბეისერი დღეს ყავარჯნებით დადის. საფრანგეთში შესრულებული ნახტომისას, გაშლილმა პარაშუტმა ის 170 კილომეტრი საათი სიჩქარით კლდისკენ გააქანა. მხოლოდ თავისი რეაქციის წყალობით გადარჩა: დროულად დაიმორჩილა პარაშუტი და ორივე ფეხი მოიტეხა.

საერთოდ, ბეის-ჯამპინგში უბედური შემთხვევების დიდი ნაწილი სწორედ მაშინ ხდება, როცა გახსნილი პარაშუტი მხტომელს ობიექტისკენ მიაქანებს. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია პარაშუტით ისე მანევრირება, რომ რაც შეიძლება მეტად დაცილდე ობიექტს. უფრო ხშირად, ასეთი რამ კლდეებზე ხდება ხოლმე, ხანდახან შენობიდან ხტომის დროსაც. ყველაზე უხიფათოდ ხიდებიდან და ანძებიდან ხტომა ითვლება. თუმცა სასიკვდილო რისკი აქაც არსებობს. ერთი გამოცდილი ბეისერი ჰყვება, რომ მის თვალწინ მისი მეგობარი აალებულ ჩირაღდანს დაემსგავსა, რადგან არ გაითვალისწინა, რომ ბოძებს შორის გაბმულ მავთულებში მაღალი ძაბვა გადიოდა.

არაერთი ბეისერი იმის გამო დაიღუპა, რომ პარაშუტი დროულად არ გაიხსნა. ბუნებრივია, იგივე შეიძლება დაემართოს ჩვეულებრივ სკაი-დაივერს. მაგრამ მათ სათადარიგო პარაშუტიც აქვთ. ბეის-ჯამპერს კი, ეს მოწყობილობა ნებისმიერ შემთხვევაში ვერ დაეხმარება - ხშირად პირველის გახსნასაც ვერ ასწრებს. აქ ხომ ნახტომის მინიმალური სიმაღლე - 25 მეტრია. ამიტომაც, ბეისისთვის პარაშუტების კონსტრუქცია ჩვეულებრივისგან განსხვავდება. სინამდვილეში, ბეისის პარაშუტი - ეს უბრალო ჩვარია, კონვერტის ფორმით დაკეცილი. მას არ გააჩნია ჩვეულებრივი პარაშუტისთვის დამახასიათებელი კვანძები, რამაც შეიძლება ხანმოკლე ფრენის დროს დაალალატოს.

ზოგიერთები საერთოდ უარს ამბობენ პარაშუტებზე. ყველაზე განვითარებული ბეის-ჯამპერები სპეციალური კოსტიუმით ასრულებენ ნახტომებს. მას wing-suit ჰქვია და ერთგვარ აპკს წარმოადგენს, რომელიც ხელებიდან ფეხებამდეა გაჭიმული და ფრთის იმიტაციას იწვევს. ასეთი კოსტიუმი ჰორიზონტალურ ფრენას უზრუნველყოფს და შეუძლია 15-წამიანი ვარდნა ნახევარწუთამდე გაზარდოს. მთელს მსოფლიოში wing-suit-ის სპეციალისტები თითზე ჩამოსათვლელნი არიან.

ბეის-ჯამპინგში კლასის განმსაზღვრელი ერთადერთი კლასიფიკაცია არსებობს - ე.წ. "ბეისერის ნომერი", რომლის მფლობელი პროფესიონალ მხტომელად ითვლება. თანაც, ამ კლასიფიკაციას ოფიციალურსაც ვერ ვუწოდებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბეისერებს დარეგისტრირებული ორგანიზაცია არ გააჩნიათ: მთელს სტატისტიკას ერთი ამერიკელი აწარმოებს. მის სიაში მოხვედრა საპატიო და რთულია: უნდა გქონდეს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ყველა სახის ობიექტიდან გაქვს შესრულებული ნახტომები.

### როგორ ვიფრინოთ

ბეის-ჯამპის ნახტომის ტექნიკა ჩვეულებრივისგან განსხვავებულია. უპირველეს ყოვლისა, ობიექტიდან "ჩაყვინთვა" არ შეიძლება, უნდა გადახტე მკერდით ჰორიზონტისკენ, თითქოს ხელებით წარმოსახვით ორძელს ებღაუჭები. ეს იმით არის განპირობებული, რომ ფრენის დასაწყისში ბეისერი არ ხვდება 200 კილომეტრი საათი სიჩქარის ჰაერის ნაკადში, როგორც ეს თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდან გადმოხტომისას არის ხოლმე. ბეისერმა ფეხი ძლიერად უნდა დაკრას, განსაკუთრებით მაშინ, როცა კლდიდან ან შენობიდან ხტება. გადახტომიდან პირველი ორი წამი აკრობატიკით არის დაკავებული - იმისთვის, რომ ორიენტაცია არ დაკარგოს. ჩვეულებრივ, ამის შემდეგ ბეისერს ჰგონია, რომ ჰაერის ნაკადში მოხვდა. მაგრამ ეს ილუზიაა. ნამდვილი ნაკადი ხტომის მეხუთე წამზე ჩნდება. მასში რომ მოხვდე, ხელები ტანის გასწვრივ უნდა გაშალო და ქარის მიმართულებით ორიენტაცია უნდა შეძლო.

შემდეგი ნაბიჯია პარაშუტის გახსნა. აი აქ შეიძლება მოხდეს ყველაზე უსიამოვნო - ის, რაზეც ზემოთ ვთქვით, ანუ პარაშუტმა შეიძლება ობიექტისკენ გაგაქანოთ. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია მკვეთრად დაქაჩოთ თოკები და პარაშუტს "უკან დაახევინოთ". როცა ხიფათი უკან რჩება, შეგიძლიათ მოდუნდეთ - ყველაფერი საშიში უკან დარჩა. ფრენის ბოლო ფაზაა დაშვება - ის თვითმფრინავიდან ჩვეულებრივი ნახტომისგან არაფრით განსხვავდება.





**გია თვალაბეიშვილი**